

მომავალ ორშაბათამდე!

B1



როდემდე!

B4



250 ათასი დოლარი მანქანის გაჩერებისთვის

B8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 28 მარტი, 2005 წელი. №69 (929) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

ზურაბ ჟვანიას სურვილით

ლეონ რუთი საქართველოში ჰუმანიტარული მისიით იმყოფებოდა და ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვებს ოპერაციები გაუკეთა.



A4

მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

# ყოფილი გენერალური პროკურორის დავალება ნაწილობრივ შესრულებულია

*გენერალურმა პროკურატურამ ყოფილ შეფს მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ შეუსრულა – ირაკლი ოქრუაშვილის მიერ იანვრის დასაწყისში თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნებისადმი წაყენებული ბრალდებების გამოძიებისას ვერც დროში ჩაეტია და ვერც ყოფილი გენპროკურორისა და ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრის მიერ დასახელებულ ყველა მაღალჩინოსანს გასწვდა ციხეში ჩასასმელად.*

სოფიკო ჩხაიძე

**"მინდა, რომ ჩემს მიერ ჩამოთვლილი თავდაცვის სამინისტროს ყველა ყოფილი მაღალჩინოსანი ერთი თვის მანძილზე ციხეში ვიხილო,"** - განაცხადა 4 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრად ახალდანიშნულმა ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და ასევე, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა მას შემდეგ, რაც წინამორბედი მინისტრის დროინდელ ასეულ ათასობით ლარის გაფლანგვებზე ისაუბრა.

როგორც ცნობილია, საქმე ეხებოდა ყაზარმების მშენებლობასა და რემონტს, რაზეც ოქრუაშვილის განმარტებით, რეალურად, ნაკლები თანხებია დახარჯული, ოფიციალურ დოკუმენტებში კი "გაბერილი" ციფრებია მითითებული.

მაშინ ირაკლი ოქრუაშვილმა გენერალურ პროკურატურას თავდაცვის უწყებაში არსებული ფინანსური დარღვევების შესწავლა, ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილ დამნაშავეთა გამოვლენა და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა მოსთხოვა; მეტიც, ეჭვმიტანილთა სავარაუდო კანდიდატურებიც თავადვე მიაწოდა. ესენი გახლდნენ: თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი, ინფრასტრუქტურის და ლოგისტიკის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარეები - მერაბ ხიდაშელი და ვასილ მარგალიტაძე, არმიის განვითარების ფონდის დირექტორი აკაკი ჩხენკელი და ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე ზურაბ ხუციშვილი.

გაგრძელება A7 გვერდზე

# სააკაშვილმა, ამ ეტაპზე, "ეროვნული გამოცდა" ჩააბარა

*შარშანდელი გაზაფხული, თურმე, ისეთივე "ენერგოპრობლემური" ყოფილა, როგორც წლევანდელი - როგორც ენერგეტიკოსები აცხადებენ, სწორედ 2004 წლის მარტში, თურმე, სწორედ ასევე იყო გათიშული საქართველოს რეგიონების უმეტესობა, ენერგეტიკული კრიზისი აღწევდა თბილისსაც და სიტუაციის სიმძიმით ის დრო დღევანდელს სულაც არ ჩამოუვარდებოდა. დღეს გასული გაზაფხულის ენერგეტიკული კრიზისი საქართველოში აღარ ახსოვთ - არც მოსახლეობას, არც ჟურნალისტებს, არც - პოლიტიკოსებს. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მახსოვრობა ყველას ერთბაშად და ერთნაირად ღალატობს - უბრალოდ, გასულ გაზაფხულზე ქვეყანას სულ სხვა მიზნები და ინტერესები ჰქონდა - პოსტრევოლუციურ საქართველოში აჭარის პრობლემა გახლდათ მოსაგვარებელი და ეს პრობლემა ყველა სხვა დანარჩენს აშკარად ფარავდა და უკანა პლანზე აჩოჩებდა.*

თამარ ხორბალაძე

შემდეგ იყო სამაჩაბლო. მაგრამ აჭარისგან განსხვავებით, მოვლენები ხელისუფლებისთვის საკმაოდ წამგებიანად განვითარდა. სამაჩაბლოს საკითხი გახლდათ პირველი დარტყმა, რომელიც რევოლუციურმა ხელისუფლებამ იგემა. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, თუმცა მეორე და უმთავრესი დარტყმა, ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ზურაბ ჟვანიას დაღუპვა გახლდათ.

ეს ტრაგიკული ფაქტი აღმოჩნდა კატალიზატორი როგორც ხელისუფლების შიგნით არსებული წინააღმდეგობების გამძაფრებისა, ისე - ოპოზიციის, მათ შორის - აშკარად რევანშისტულის, გამოცოცხლების; სამედიცინო კოლეჯთან დაკავშირებით ატეხილი უმსგავსო აჟიოტაჟის და სოციალურ ნიადაგზე საპროტესტო გამოსვლებისაც, რომლებიც ენერგოკრიზისის ფონზე საოცარი სიზუსტით - მაინცდამაინც ერთ დღეს - საქართველოს მთელი მასშტაბით დაიწყო.

გასული კვირისთვის საქართველოს ხელისუფლებას "დაუგროვდა" მთელი რიგი პრობლემებისა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტისგან აქტიურ და კატეგორიულ რეაგირებას მოითხოვდა. საქართველოს პრეზიდენტი კი არ აქტიურობდა, პრაქტიკულად - იგი დღემდე დუმს, თუმცა ამაზე ცოტათი ქვემოთ.

რაც შეეხება პრობლემებს, რომლებმაც ერთბაშად იჩინა თავი: პირველი და საკმაოდ მნიშვნელოვანი გახლდათ სამედიცინო კოლეჯის სტუდენტთა თუ მოსწავლეთა დროში გაწელილი საპროტესტო აქციები, ამ აქციის დაშლითა და შიმშილობით "გამყარებული". ამ კოლეჯთან მიმართებაში დაშვებული სახელისუფლებო შეცდომები, ამ საკითხის ირგვლივ აგორებული პოლიტიკური სპეკულაციები და გაცხარებული ოპოზიციურ-რევანშისტული ვნებები. შედეგად ამ, ერთი შეხედვით აშკარად კერძო საკითხთან მიმართებაში ქვეყანაში შეიქმნა ჩიხური სიტუაცია, სადაც უკან დახევა სახელმწიფოსთვის და ხელისუფლებისთვის რეფორმისტულ კურსზე უარის თქმას და დამარცხებას ნიშნავდა. შესაბამისად - უკან დახევა მიუღებელი გახლდათ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „რევოლუციის" სამართლებრივი კაზუსები

*ყირგიზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქვეყნის ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილება ცნო. არჩევნების გაყალბების მოტივით დაწყებული "რევოლუციის" ლიდერები გუშინ არჩევნების შედეგების დამტკიცებას დასთანხმდნენ. აშკარაა - "ტიტების რევოლუციად" წოდებული მოვლენების შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ძალები ხელისუფლებაში ლეგიტიმიზმის ვაკუუმის შევსებას უჩვეულო და, ამავდროულად, საშინლად არაპოპულარული ნაბიჯებით ცდილობენ.*

ყირგიზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც არჩევნების შედეგები საკამათოა, ხელმეორე არჩევნები ჩატარდება. ახალ მთავრობაში ძალოვანი უწყებების კოორდინატორმა ფელიქს კულოვმა პარლამენტის ახალ შემადგენლობას არჩევნებთან დაკავშირებით ცსკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღიარებისაკენ მოუწოდა და დეპუტატებს,

გაგრძელება A3 გვერდზე



*არჩევნების გაყალბების მოტივით დაწყებული "რევოლუციის" ლიდერებმა პარლამენტის ლეგიტიმურობა აღიარეს.*




იხილეთ B3 გვერდზე

# 9 მაისს მოსკოვს სტუმრები მოაკლდება

ნინო გომართელი

ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მოსკოვი უცხოელი დელეგაციების და სახელმწიფო მეთაურების მისაღებად ემზადება. თუმცა, იუბილემ პოლიტიკური ელფერის შეძენა უკვე მოასწრო და აშკარად გამოკვეთა რუსეთის საგარეო პოლიტიკური პრობლემები.

ჯერ კიდევ გასულ წელს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებდა, რომ გამარჯვების 60 წლისთავზე 54 ქვეყნის მეთაური იქნებოდა მოწვეული. მაშინ, საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე ვალერი ლოშინინი ხაზგასმით ამბობდა, რომ სტუმრების შერჩევის კრიტერიუმი **"ამ სახელმწიფოებთან რუსეთის ურთიერთობები"** იყო.

"ნარინჯისფერი რევოლუციის" მეშვეობით სულ ცოტა ხნის წინ კრემლის ზეგავლენისგან გათავისუფლებული უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ გუშინ განაცხადა, რომ იგი 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობას არ მიიღებს.

**"მე თავს უხერხულად ვიგრძნობ, თუ კიევში ომის ვეტერანები შეიკრიბებიან, ხოლო მე სხვა ტრიბუნაზე ვიდგები. ვფიქრობ, ამას პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც და სხვებიც გაგებით მოეკიდებიან,"** – თქვა მან.

გუშინვე, "ბი-ბი-სი"-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მოსკოვში ჩასვლას არ აპირებს ასევე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რადგან იგი "აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტისთვის უნდა მოემზადოს, რომელიც საქართველოს 10 მაისს ეწვევა." თუმცა, როგორც პრეზიდენტის პრესსამსახური აცხადებს, მიხეილ სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტის საკითხი, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სინამდვილე ქართულ მედიაში

## მედიაში არსებული პრობლემების მოგვარება ჯერ კიდევ შესაძლებელია

ნინია კაკაბაძე

*"სახელმწიფო გადატრიალებისათვის არავითარ აუცილებლობას აღარ წარმოადგენს სამხედრო არსენალი, ერთი ნებისმიერი ტელერადიო სადგურის დაკავება ამისათვის სრულიად საკმარისია," - უმბერტო ეკო, ("დუჩეს თვალები", 26 იანვარი, 2004 წელი).*

თანამედროვე მსოფლიოში მედია ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დღევანდელ დღეს თითქმის ვერც ერთი ხელისუფლება ვერ იღებს გადაწყვეტილებებს მედიის გარეშე, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავრი მონაწილე და შემქნელია.

რა მდგომარეობაა დღეს ქართული მედიის სივრცეში ?

**1.** საქართველოში ყველაფერი, და მათ შორის მედიის სხვადასხვა საშუალებები, პერსონიფიცირებულია. დღეს ჩვენ გვაქვს პატარკაციშვილის, ჩხარტიშვილის, ბეჟუაშვილის, ხალვაშის, აბაშიძის, საპატრიარქოს, პოლიციის და ა.შ. ტელევიზიები, გაზეთები თუ რადიოები. ერთი სიტყვით, მათგან არც ერთი საზოგადოებას არ ეკუთვნის. ამიტომ ინფორმაციის მოსმენისას თუ წაკითხვისას, ნაცვლად ობიექტური ინფორმაციისა, ჩვენ ვიგებთ, უკეთეს შემთხვევაში, რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ფრთის, "უარეს შემთხვევაში" კი კონკრეტული ოლიგარქი "მფლობელის" დამოკიდებულებას, ინტერპრეტირებული ფორმით, ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ეს რაც გარედან ჩანს, რა ხდება შიგნით?!

გაგრძელება A4 გვერდზე

## ამინდი

| | 28/3 | 29/3 | 30/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 14 | 16 |
| ქუთაისი | 16 | 16 | 14 |
| ბათუმი | 14 | 14 | 11 |
| სოხუმი | 15 | 12 | 12 |
| ფოთი | 16 | 16 | 13 |
| თელავი | 14 | 13 | 11 |
| ზუგდიდი | 17 | 16 | 13 |
| გორი | 12 | 12 | 12 |
| ახმეტა | 14 | 14 | 13 |
| ჭიათურა | 13 | 14 | 12 |
| გაგრა | 13 | 9 | 12 |
| სამტრედია | 16 | 16 | 14 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8349 |
| ევრო | 2.3789 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4344 |
| რუბლი | 0.0662 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| უცხოეთი | A3 | რევიუ | B3 |
| თვალსაზრისი | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# სააკაშვილმა, ამ ეტაპზე, "ეროვნული გამოცდა" ჩააბარა

პირველი გვერდიდან

ამას თან დაერთო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოულოდნელი და საკმაოდ მძიმე საგაზაფხულო ენერგოკრიზისი. "კავკასიონის" გადამცემი ხაზის დაზიანება რუსეთის ტერიტორიაზე(!), რამაც საქართველოს ხელისუფლება აიძულა, გადაევადებინა ენგურჰესის გაჩერების და, შესაბამისად - რეაბილიტაციის პროცესი, ჰესების დაცლა წყლისგან, დასავლეთ საქართველოში კი - სიცივეების გამო წყლის შემცირება ჰიდროელექტროსადგურებზე. პარალელურად, ავარიები გარდაბნის გრესში და სომხეთთან დამაკავშირებელ გადამცემ ხაზზე. შედეგი - მთლიანად გათიშული საქართველოს რეგიონები, ენერგოშეზღუდვები თბილისში, საპროტესტო გამოსვლები სამეგრელოში, აჭარაში, თბილისში...

ამ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავიხსენოთ გორის ინციდენტი – ანუ, როგორც მოინათლა, ზედაპირზე გამოსული შიდასახელისუფლებო დაპირისპირება. ესეც სერიოზული დარტყმაა სააკაშვილის ხელისუფლებისათვის. “ვანო მერაბიშვილის და ირაკლი ოქრუაშვილის ომი", თუკი ასეთი არსებობს, უდავოდ კატასტროფულად დაასუსტებს არა მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებას, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობას. მით უმეტეს, რომ კომპრომატების "ფრიალით" სახელისუფლებლო წრეების აბსოლუტურად ყველა წარმომადგენლის დისკრედიტაცია ხდება.

ამას თან დაერთო მოთამაშეების შეცვლა დიდ პრივატიზაციაში, რაც გარკვეულ ეჭვებს უქმნის დამატებით საფუძველს.

გავრცელდა ხმები იმის თაობაზეც, რომ USAID ამცირებს დახმარებებს საქართველოს არასამთავრობო სექტორისადმი, აჩერებს მიმდინარე პროექტების გარკვეულ ნაწილს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აგვისტოსთვის პროექტების რაოდენობა მინიმუმამდე დავა. ამის მიზეზად ორი, ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული მოტივები სახელდება - ერთი ვერსია გვამცნობს, რომ ეს საქართველოსადმი მთლიანი დახმარების შეჩერების ნიშანია, მეორე ვერსია კი ამბობს, რომ სახელმწიფო ამ თანხების თავისკენ გადაქაჩვას ცდილობს.

ეს ყველაფერი მიმდინარეობდა საქართველოს პარლამენტის მიერ რუსული ბაზების გაყვანის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ფონზე, რომელმაც კიდევ უფრო დაძაბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.

აღნიშნულმა პროცესებმა საკმაოდ დააჩქარა "შიდა დინებები" ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში, კერძოდ - დაიწყო საუბრები თავად უმრავლესობის გახლეჩაზე, იმაზე, რომ უმრავლესობის "მოაზროვნე ნაწილი" აპირებდა დამოუკიდებელი ფრაქციის ჩამოყალიბებას, რომელსაც პერსპექტივაში, შესაძლოა, მოენახა საერთო პრო-სააკაშვილისეულ "რესპუბლიკელებთან".

ეს პროცესები გახდა საფუძველი ოპოზიციის "ძიების" დაწყებისაც, რომლის დროსაც ისეთი ტიპის პოლიტიკოსები, როგორიც ირაკლი ბათიაშვილია, ისევ "ამოალაგეს" პოლიტიკური სკივრიდან; გია მაისაშვილის ტიპის "მომავლის ადამიანები" გამოამზეურეს ტელეეკრანზე; და შექმნეს ისეთი ტიპის ოპოზიციური "ალიანსები", რომლებიც ზემოთქმულებთან, ბარემ, შალვა ნათელაშვილსაც აკავშირებდა...

ყველაფერმა კი თანდათან შექმნა საფუძველი სააკაშვილის ხელისუფლების სისუსტეზე საუბროდ, გააჩინა მოლოდინი მისი ძალაუფლების შერყევისა და ბოლომდე აამღვრია როგორც პოლიტიკური, ისე - სოციალური ფონი ქვეყანაში.

ამ სიტუაციას პრეზიდენტ სააკაშვილისგან ადეკვატური და მეტად წონადი პასუხი სჭირდებოდა. სააკაშვილი კი დუმდა - ყოველ შემთხვევაში, სახალხოდ. ჯერ კიდევ გასული კვირის ოთხშაბათს ნებისმიერ ანალიტიკოსს გაუჭირდებოდა ეთქვა ის ნაბიჯი, რომელიც შექმნილ სიტუაციას, შესაძლოა, არ განმუხტავდა, თუმცა - მასში მნიშვნელოვან გარდატეხას მოახდენდა.

ხუთშაბათს საზოგადოებამ ეს პასუხი მიიღო - გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჩამოდის.

ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია პოლიტიკაში, აცნობიერებს ამ ვიზიტის უზარმაზარ მასშტაბებს და მნიშვნელობას. აცნობიერებს იმას, რომ ეს პრეზიდენტ ბუშის მასპინძელი ხელისუფლების უსერიოზულესი განაცხადია სტაბილურობაზეც, სიძლიერეზეც.

ეს ვიზიტი, ცხადია, ვერ მოხსნის ისეთ პრობლემებს, როგორიც ენერგოკრიზისია, სამაგიეროდ ხელისუფლებას აძლევს იმის სითამამეს, რომ მოსახლეობას განუცხადოს - კრიზისი უახლოეს პერიოდში ვერ აღმოიფხვრებაო.

ეს ვიზიტი, ცხადია, ვერ გადაწყვეტს სამედიცინო კოლეჯის პრობლემას, თუმცა ამ კოლეჯელებსაც და იმათაც, ვინც მათ უკან იდგა და პოლიტიკური ქულების დაგროვებას ცდილობდა, გაუქარწყლებს თუნდაც ქვეყნის ხარჯზე გამარჯვების მიღწევის ცრუ შეგრძნებას, რასაც მოჰყვა კიდეც ახალი რექტორის დანიშვნა და საპროტესტო აქციების შესუსტება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

რა თქმა უნდა, აშშ-ს პრეზიდენტის ჩამოსვლა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს საგაზაფხულო პოლიტიკური და სოციალური კრიზისის განმუხტვა, თუმცა ამაზე პოლიტიკური მიმომხილველები ძალიან ბევრგან და ძალიან ბევრს იტყვიან. დღეს ჩვენი საუბრის თემა სხვა გახლავთ...

სხვათა შორის, შიდაპოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი ჯერ ისევ დუმს. მართალია, ამბობენ, რომ უახლოეს პერიოდში იგი საკადრო ცვლილებებს გეგმავს, თუმცა პოლიტიკური და ჟურნალისტური პრაქტიკა და გამოცდილება მოწმობს, რომ საქართველოში პროგნოზირება უმადური საქმეა.

ერთის თქმა კი უდავოდ შეიძლება - მიუხედავად დაშვებული საკმაოდ ბევრი შეცდომისა, მიუხედავად საკითხებისა, სადაც საქართველოს ხელისუფლებების ქმედებები აშკარად სცილდება საერთაშორისო სამართლის ფარგლებს, მიუხედავად მედიის საკმაოდ მძიმე სიტუაციისა, მიუხედავად მძიმე ენერგო და სოციალური ფონისა, მიუხედავად ბევრი, არცთუ სასიამოვნო ფაქტორისა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამ ეტაპზე "ეროვნული გამოცდის" ჩაბარება, პრაქტიკულად, შეძლო.

სხვა თუ არაფერი - აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტი და მისი მნიშვნელობა უდავოდ გახლავთ თემა, რომელიც უახლოეს პერიოდში ყველა სხვა თემას წარმატებით გადაფარავს.

P.S. აღარაფერს ვამბობთ უკრაინაში ვიზიტზე და სუუამთან ერთად ბალტიის ქვეყნების ხსენებას, რაც მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვან პროცესებს უდებს სათავეს.

# 9 მაისს მოსკოვს სტუმრები მოაკლდება

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს, მარტის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ მოსკოვში, 9 მაისს დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად არ ჩავლენ ესტონეთისა და ლატვიის პრეზიდენტები არნოლდ უიტელი და ვალდას ადამკუსი. ბალტიის სახელმწიფოების ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათი ქვეყნებისთვის მეორე მსოფლიო ომის დასასრული არა გამარჯვებას, არამედ ოკუპაციას ნიშნავდა.

ბალტიის სახელმწიფოთაგან მოსკოვში ჩავა ლატვიის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრაიბერგი. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ ევროპას მისი არჩასვლა სხვანაირად არ გაეგო. **“ომის დასასრულმა, რომელმაც ასე ბევრ ადამიანს მისცა მშვიდობა, ჩემს ქვეყანას ტირანია და ოკუპაცია მოუტანა. ამიტომაც, სავსებით ცხადია, რომ მოსკოვში მე შერეული გრძნობებით ჩავალ,”** - აღნიშნა მან და პირობა დადო, რომ აღნიშნულ შესაძლებლობას გამოიყენებს და მთელს მსოფლიოს უახლოესი ისტორიის საკუთარ ინტერპრეტაციას გააცნობს.

ვაირა ვიკე-ფრაიბერგი აპირებს, მოსკოვში ისაუბროს ლატვიელებისთვის 9 მაისის მნიშვნელობის შესახებ და იმაზე, რომ მეორე მსოფლიო ომში გერმანიის არმიის განადგურებამ ლატვიას არა თავისუფლება, არამედ ნახევარსაუკუნოვანი საბჭოთა ოკუპაცია მოუტანა.

რაც შეეხება პოლონეთის პრეზიდენტს ალექსანდრ კვასნევსკის, იგი მოსკოვში 9 მაისს სპეციალური პრესკონფერენციის გამართვას გეგმავს, სადაც 1945 წლის იალტის შეთანხმებების თაობაზე ვარშავის პოზიციაზე ისაუბრებს. კვასნევსკი აღნიშნავს, რომ შეთანხმებებმა, რომელმაც ევროპაში გავლენა გაანაწილა, ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, პოლონეთს დამოუკიდებლობის დაბრუნების შესაძლებლობა არ მისცა. რუსეთის მიმართ მთელი რიგი ისტორიული პრეტენზიების მუხედავად, პრეზიდენტი იუბილეს ბოიკოტირებაში აზრს ვერ ხედავს.

მოსკოვში წასვლაზე უარი თქვა ასევე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაგებიცაა - 5 მაისს ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. თუმცა, რუს პოლიტიკოსებს ყურადღების მიღმა არ რჩებათ ბოლო დროს ბრიტანეთის ხელისუფლებისგან წამოსული კრიტიკა ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, ასევე, ბრიტანეთის მიერ ბორის ბერეზოვსკისთვის და ახმედ ზაკაევისათვის “თავშესაფრის” მიცემა. ამიტომაც, პოლიტოლოგები ტონი ბლერის მოსკოვში ჩასვლაზე უარის თქმას “ზრდილობიან უარად” მიიჩნევენ.

კიდევ ერთი არცთუ სასიამოვნო ამბავი მოსკოვში სულ ცოტა ხნის წინ აღმოსავლეთიდან ჩავიდა, როდესაც იაპონურმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა განცხადება იმის თაობაზე, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უარს აცხადებს, მოსკოვში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღოს. თუმცა, საბოლოოდ, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ ეს საკითხი, ჯერჯერობით, ღიად რჩება, რადგან პრემიერს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს.

მაგრამ, ყველაფერ ზემოთქმულის მიუხედავად, რუსეთს არც ისე ცუდად აქვს საქმე. ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, პუტინის მიწვევა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა, გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიიღეს.

# შავი ზღვა და ოცნება დიდ ევროპულ ტბაზე

მიმდინარე წელს ჩრდილში მოექცა ერთი ღირსსახსოვარი თარიღი - 9 თებერვალს 60 წელი შესრულდა იალტის შეთანხმებიდან, რომლის შედეგადაც, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა მსოფლიო ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყვეს. და თუ მაინც არსებობს რაღაც ისტორიული ფაქტი, რომელიც თავისი აქტუალობით გვაოცებს, ეს არის "ძველი სამყაროს" გაერთიანება კავშირის გაფართოების მომენტში.

შეუძლია თუ არა გუშინდელ საბჭოთა, დღევანდელ უკრაინულ და ხვალინდელ ევროპულ იალტას, გათავისუფლდეს წარსულის ტვირთისგან, რომელიც აიძულებს მას, დღევანდელ მოვლენებსაც კი 1945 წლის თებერვლის კონფერენციის პრიზმიდან უყუროს? ბოლო ხანს სწორედ ასეც ხდება. ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე იალტა საზღვაო გზების ცენტრში მოექცა. საბჭოთა "ტბა" აღარ არსებობს, შავი ზღვის ქვეყნები ახლა უკვე ევროპისკენ იყურებიან.

რუმინეთი და ბულგარეთი ცალი ფეხით ევროკავშირში არიან. თურქეთი ყველა ღონეს ხმარობს, რომ მათ შეუერთდეს. საქართველო და უკრაინაც სხვა არაფერზე ფიქრობენ. გასულ წელს ახალი ფურცელი გადაიშალა "სამეზობლო პოლიტიკის" სტატუსთან დაკავშირებით, რომელსაც ევროკავშირი უკრაინასა და კავკასიის ქვეყნებს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) დაჰპირდა. ავტორიტარული სახელმწიფოები, არჩევნებიდან არჩევნებამდე, სულ უფრო მეტ გამჭვირვალობას, ჩვევების თავისუფლებას და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს იძენენ. ორი წლის განმავლობაში, ამ ზონის ქვეყნებმა აღნიშნულ საკითხებში გაცილებით წინ წაიწიეს, ვიდრე 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემიდან ბოლო დრომდე. ხელისუფლების სათავეში მოსულმა ძალებმა ათწლეულობის განმავლობაში გაბატონებული რეჟიმების მეთოდებთან კავშირი გაწყვიტეს და ცდილობენ, ამ ტბის გარშემო საერთო ბედის მქონე თანამეგობრობა შექმნან.

დემოკრატიის გზაზე დადგომა რეგიონის ქვეყნებს განვითარების რამდენიმე დამატებით შანსს აძლევს.

1992 წელს შექმნილი და დღემდე პასიური შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია უფრო თვალშისაცემი და შეკავშირებული გახდება. ეს საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც შედის ექვსი ქვეყანა (ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა), სამოქმედოდ ირჩევს ევროკავშირის მოდელს. 1999 წლიდან "ბისეკი" ნამდვილ ეკონომიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. სხვა ქვეყნები (ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, ეგვიპტე, ისრაელი, იტალია, პოლონეთი, სლოვენია, ტუნისი) მასში დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ. იმ დროს, როდესაც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებმა ზღვაზე გასასვლელის საკითხი აქტუალური გახადა, მისი ტერმინალები (ოდესა, სუფსა, ნოვოროსიისკი), გაზსადენები ("ცისფერი ნაკადი", რომლითაც რუსული გაზი თურქეთში მიედინება) და ნავთობსადენები (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) "ბისეკის" პოლიტიკურ წონასაც ადასტურებს.

ნატო არ ცდება, როდესაც “რუსეთის პერიფერიებს” განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა უკრაინას. ამ ქვეყანამ 1997 წელს ნატო-სთან ხელი მოაწერა ქარტიას განსაკუთრებული პარტნიორობის შესახებ. იგი საშუალებას იძლევა, შეიქმნას კონსულტაციური მართვის მექანიზმი იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება კრიზისი და კიევი ჩათვლის, რომ მის უშიშროებას საფრთხე ემუქრება. 2004 წელს ბულგარეთი და რუმინეთი ალიანსში გაწევრიანდნენ, ამასთან, საკვანძო საკითხი იყო მათ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგება. საქართველო არასდროს მალავდა ნატო-ში გაწევრიანების სურვილს და დღესაც განაგრძობს ალიანსის ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალ-ახალი პროგრამების ხორცშესხმას. თავის მხრივ, თურქეთი, რომელიც დიდი ხანია, ნატო-ს წევრია, ზრუნავს თავის ქართველ "მოსწავლეზე", რითაც ნერგავს იდეას იმის შესახებ, რომ შავი ზღვა, დროთა განმავლობაში, ნატო-ს ტბა თუ ვერ გახდება, დასავლური სამყაროს კუთვნილებად მაინც იქცევა.

თუმცა, სრულფასოვან დემოკრატიამდე ჯერ კიდევ შორია. ზოგიერთ ამ ქვეყანას ახასიათებს ისტორიული მეხსიერების დაკარგვა ან საკუთარი ისტორიის ზოგიერთი ფურცლის უარყოფა. ბულგარეთსა და რუმინეთს - ბოშებთან მიმართებაში, თურქეთს - სომხეთის საკითხში, საქართველოს - ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულებაში, უკრაინას ყირიმელ თათრებთან ურთიერთობაში წარსულის გახსენება არ სიამოვნებს. როგორ რეაგირებს რუსეთი მომხდარ ცვლილებებზე? კვლავ აქტუალურია თუ არა მისი ოცნება თბილ ზღვებზე, მაშინ, როდესაც თავისი სტრატეგიული ინტერესების ზონა ხელიდან ეცლება?

რუსული ნავთობის ექსპორტისთვის კვლავ დიდი მნიშვნელობა აქვს ბოსფორის სრუტეს, რომელზეც ამ ექსპორტის, დაახლოებით, 30 პროცენტი მოდის. შავი ზღვის კოზირების ფლობამ ორი დაუძინებელი მტერი, რუსეთი და თურქეთი, უცებ დაააახლოვა, პირველ რიგში, ეკონომიკური მიზეზების გამო.

ბოსფორის სრუტის გვერდის ავლით ნავთობსადენის გატარების უამრავი პროექტის შესწავლა მიმდინარეობს. ბოსფორის ბუნებრივი გასასვლელი უამრავ საფრთხეს შეიცავს. 2004 წელს სრუტეში გაიარა 52 ათასმა გემმა, რომელთაგან 9 500 ნავთობპროდუქტებით იყო დატვირთული. ანკარა შემთხვევას არ უშვებს ხელიდან იმის ხაზგასასმელად, რომ ეს გადაზიდვები გარემოს დაბინძურების საფრთხეს ქმნის. რა მიმართულებით უნდა გაიაროს ნავთობსადენმა? ბურგასიდან (ბულგარეთი) მაკედონიაზე გავლით ვლორემდე (ალბანეთი)? იქნებ, სხვა გზით - ბულგარეთიდან ბერძნულ პორტ ალექსანდროპოლისამდე (ეგეოსის ზღვა)? ან, იქნებ, თურქეთის პორტ სამსუნიდან ჯეიჰანამდე?

უცნობია ისიც, რამდენად "დიადი" დარჩება რუსეთი. მთლიანად კარგავს რა გავლენას თავის ყოფილ სივრცეზე, ეს ქვეყანა აგვიანებს საკუთარი როლის განსაზღვრას შავი ზღვის ახალ კონფიგურაციაში, რომელმაც გეოგრაფიული გაგებიდან პოლიტიკურ-ეკონომიკური მასშტაბები შეიძინა. თავის დროზე, იალტამ მოსკოვს ზესახელმწიფოს სტატუსი მიანიჭა, 60 წლის შემდეგ კი, შავი ზღვის ახალი არქიტექტურა მას რევანშის აღების ყოველგვარ შანსს უსპობს. დარჩება მხოლოდ სიმბოლიკა - სტალინის, რუზველტის და ჩერჩილის ბრინჯაოს ქანდაკება, რომლის დადგმაც მოსკოვს ლივადიის პარკში სურს, სადაც, 60 წლის წინათ, ცნობილი კონფერენცია ჩატარდა.

*ლე მონდი*

## ორი სიტყვით

**სოხუმი.** სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლება ეგრეთ წოდებული სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაძლიერებაზე ზრუნვას იწყებს.

დე ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის თავმჯდომარეობით გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება საზღვაო საზღვრის გაკონტროლებას დაეთმო და აღინიშნა, რომ საზღვაო-სამხედრო ძალები მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყვნენ. პრიორიტეტად გამოცხადდა, აგრეთვე, შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადება.

ამასთან, სამხედრო კომისარიატებს მითითება მიეცათ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის პირობები გაამკაცრონ, მთავრობამ კი უარი უნდა თქვას იმ პირთა სახელმწიფო სამსახურში და სოხუმის მილიციის სკოლაში მიღებაზე, რომლებსაც სამხედრო სამსახური არ გაუვლიათ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრ ანქვაბმა აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მიღებისა და რუსეთის საზღვარგარეთის პასპორტების გაცემის პროცესის დაჩქარების მიზნით სპეციალური განკარგულება გამოსცა.

განკარგულების მიხედვით, აფხაზეთის გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალათ, გააკონტროლონ იმ ორგანიზაციების მუშაობა, რომლებსაც პასპორტებისა გაცემისა და მოქალაქეობის მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება ევალებათ.

ამასთან, შესაბამისმა სამსახურებმა, პირველ რიგში, პენსიონერების საბუთები უნდა მოამზადონ და დროულად გადააგზავნონ ქალაქ სოჭში, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობაში. 20 აპრილამდე კი უნდა შეიქმნას საინფორმაციო ცენტრი, რომელიც მოქალაქეებს შესაბამის კონსულტაციებს გაუწევს.

განკარგულების შესრულებაზე კონტროლი სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრემიერს ლეონიდ ლაკერბაიას დაევალა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**გურია.** გურიის რეგიონში, ურეკის მახლობლად, წყალწმინდის საგუშაგოზე გუშინ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მერვე განყოფილების პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებას საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ მიქაძე დაესწრო. ამ განყოფილებაში 28 თანამშრომელია დასაქმებული. აღნიშნული საგუშაგოს მოქმედების არეალია გურიის ავტომაგისტრალი - სოფელ ჯაპანადან ქობულეთამდე და ფოთის შესასვლელებამდე. საპატრულო პოლიციელებს ოთხი ავტომანქანა გადაეცათ. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

# ქართველმა პარლამენტარებმა აშშ-ში ცოდნა გაიღრმავეს

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია აშშ-დან, სადაც ისინი რესპუბლიკური ინსტიტუტის მიწვევით ორკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ, სამშობლოში დაბრუნდა.

დელეგაციაში საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები შედიოდნენ, მათ შორის დავით კირკიტაძე, მარიკა ვერულაშვილი, ზვიად ძიძიგური და მამუკა კაციტაძე.

ვიზიტის ძირითადი მიზანი იქაური გამოცდილების გაზიარება იყო.

დელეგაციის წევრებმა აშშ-ს რამდენიმე შტატში შეხვედრები გამართეს, მათ შორის - კონგრესის წარმომადგენლებთან. ასევე, საგადასახადო და ეკონომიკური ლობისტური ტიპის ორგანიზაციებთან.

დელეგაციის წევრები ვიზიტს დადებითად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ იქ მიღებული ცოდნა მათ მუშაობაში გამოადგებათ. **მედიანიუსი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე ემინეთ გადაცემას ღილის სასამართლო. გაესამართლოთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიგანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.





### სამართლდება ბუნების დაცვა

ბრალდება: დღევანდელი "თამაშის წესები" არაეფექტურიადა შეიძლება მანკიერიც
მოსამართლე: გაგა გოშრონიძე

ბრალმდებელი-თენგიზ კაკანაძე, აგრონომი: ადამიანი უსაზღვროდ ამპარტავანი არსებაა. იგი თვლის, რომ ბუნებაზე დაცვის კუთხით სერიოზული ზემოქმედება შეუძლია. ამის გაკეთება შეუძლებელია,ამგვარი ქმედებები მხოლოდ შემოსავლის წყარო ხდება მთელი რიგი ორგანიზაციებისათვის.
ადამიანის ქმედებები და გამოგონებები ისეთივე ბუნებრივი ფაქტორია, როგორც დათბობა,გამყინვარება... ბუნებას საკუთარი თავისგან დაცვა არ სჭირდება.

ადვოკატი ირაკლი მაჭარაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი : ბუნება დასაცავია ადამიანთა უმეცრებისგან,იმ ქმედებებისაგან,რომელსაც იგი სხიდის შედეგების გაუთვალისწინებლად. იმ ხალხს,რომელიც აპირებს თავისი საქმიანობა ბუნების შესწავლასა და დაცვას დაუკავშიროს,მინდა ვურჩიო - ეცადეთ სამყაროს იმ თვალით შეხედოთ,რომლითაც უყურებენ თქვენს მიერ დასაცავ არსებებს.

ვერდიქტი - ბუნებას დაცვა ესაჭიროება,იმ ფორმებით მაინც,რისი საშუალებაც არსებობს

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ანიკო ჯაფარიძე | (საჭიროა) | 7. მარინა აბულაძე | (საჭიროა) |
| 2. ვალერი ჯაშიშიძე | (საჭიროა) | 8. ანდრია აბაშიძე | (საჭიროა) |
| 3. გიორგი მღივანი | (არ არის საჭირო) | 9. იური ცინცაძე | (საჭიროა) |
| 4. ვასილ გაბუნია | (საჭიროა) | 10. თეა ლომიძე | (საჭიროა) |
| 5. ლიკო ქართველი | (საჭიროა) | 11. სოფო | (საჭიროა) |
| 6. თორნიკე ცირამუა | (საჭიროა) | 12. თბილისელი | (არ არის საჭირო) |

## ერაყის ახალ მთავრობაზე შეთანხმება მიღწეულია

ადგილობრივი გავლენიანი გაზეთის "აზ-ზამან"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 29 მარტს ერაყის ნაციონალური ასამბლეის (პარლამენტის) მეორე სხდომა გაიმართება. სხდომაზე პარლამენტის სპიკერს, საპრეზიდენტო საბჭოს წევრებსა და 2 ვიცე-პრეზიდენტს აირჩევენ.

ზემოაღნიშნული საინფორმაციო წყაროს თანახმად, მიუღწეველი შეთანხმების გამო, კვლავ ვერ სახელდება მთავრობის შემადგენლობა. ასევე გაურკვეველია ის პირობები, რომელშიც დროებითი მთავრობის პრემიერს აიად ალავის მოუხდება მოღვაწეობის გაგრძელება. ალავი მოითხოვს, ცვლილებები არ შეეხოს მის მიერ შექმნილ უსაფრთხოების სტრუქტურებს, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს. პრემიერის შეშფოთება შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში რიგი ერაყული პარტიების შეიარაღებული ფორმირებების შეყვანის შესახებ არსებულმა მოსაზრებამ გამოიწვია.

მთავრობის შემადგენლობის ფორმირების გზაზე კიდევ ერთი დაბრკოლება მოლაპარაკებებში სუნიტთა წარმომადგენლების არარსებობაცაა.

საუდის არაბეთის გაზეთის "ალ-ვატანის" მიხედვით კი, მთელ რიგ სამინისტროებზე, კერძოდ კი, ნავთობრესურსების სამინისტროზე კონტროლის დაწესებაზე ვერ შეთანხმდნენ შიიტური და ქურთების პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც პარლამენტში უმრავლესობის მანდატი მოიპოვეს. თუ ადრე ნავთობრესურსების მინისტრის პორტფელის პრეტენდენტებად ქურთთა პარტიის წარმომადგენლები განიხილებოდნენ, დღეს სავარაუდო კანდიდატურად შიიტთა პარტიის წევრ მუჰამედ ბაჰრ ალულუმს ასახელებენ. ***რიანოვოსტი***

## ევროკავშირში კუბასთან დიალოგის პერსპექტივას განიხილავენ

როგორც განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ევროკომისარი ლუი მიშელი აცხადებს, კუბის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, უპირველეს ყოვლისა კი, ქვეყნის ლიდერთან ფიდელ კასტროსთან შეხვედრის შემდეგ ორივე მხარე მზადაა, ორმხრივი ურთიერთობებისა და "ურთიერთპატივისცემის საფუძველზე", პოლიტიკური დიალოგის განახლებისათვის. 2003 წელს ოფიციალურ ჰავანასთან ევროპის ურთიერთობების "გაყინვის" შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ თავისუფლების კუნძულზე ლუი მიშელის ჩასვლას კუბაზე ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პირველი ვიზიტი შეიძლება ეწოდოს. ურთიერთობების "გაყინვის" შესახებ გადაწყვეტილება კი ბრიუსელმა კასტროს რეჟიმის მოწინააღმდეგე 75 პირის დაკავების საპასუხოდ მიიღო. მართალია, მას შემდეგ კუბის ხელისუფლებამ 14 დისიდენტი გაათავისუფლა, მაგრამ სამართალდამცავი ორგანიზაციების ცნობებით, კუბის ციხეებში დღემდე იხდის სასჯელს 300 პოლიტპატიმარი. ლუი მიშელმა მოუწოდა ფიდელ კასტროს, გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული კუბელი დისიდენტები.

სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოლაპარაკებებისას განიხილებოდა მნიშვნელოვანი პრობლემები, კერძოდ - "კუნძულზე ადამიანების, მათ შორის პატიმრობაში მყოფი პირების, უფლებების დაცვის შესახებ" საკითხი. მიშელის თქმით, შეიძლება ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთება ჰავანასთან დიალოგის განვითარების შესახებ. თუმცა, ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლებაა გადასალახი ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების თვალსაზრისით.

ურთიერთობების ნორმალიზების თვალსაზრისით, ევროკავშირმა უკვე გადადგა ნაბიჯი, როდესაც ესპანეთის ახალი სოციალისტური მთავრობის მოთხოვნით მიმდინარე წლის იანვარში ჰავანას დიპლომატიური სანქცია მოუხსნა.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
საუბრობთ საზღვარგარეთ?
თუ თქვენ სარგებლობთ
საერთაშორისო კოდით
8-10
მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...
საქართველოს ტელეკომი აწყობს ყოველთვიურ კონკურსს
"თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და
ერთგულ მომხმარებლებს.
გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო
სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.
ესაუბრეთ მსოფლიოს,
გადაიხადეთ დროულად,
დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც
მთავარია, უამრავ სიურპრიზს!
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10; 44 28 28 www.telecom.ge

## „რევოლუციის" სამართლებრივი კაზუსები

პირველი გვერდიდან

მოსახლეობის მონაწილეობით გამოსვლების ორგანიზების შემთხვევაში, დაპატიმრებით დაემუქრა. "თუ დეპუტატები ხალხის გამოყენებით მასობრივი საპროტესტო აქციების ორგანიზებას შეეცდებიან, მათ წინააღმდეგ უმკაცრესი ზომები გატარდება," - განაცხადა კულოვმა. ლიდერების ასეთი "კომპრომისული გადაწყვეტილება" სახალხო მღელვარების საფუძველი გახდა. ყირგიზეთის დედაქალაქში დაიწყო მთავრობის სასახლის დასაცავად სამი დღის განმავლობაში მდგომი სახალხო რაზმების გამოსვლები. "ახალმა ხელისუფლებამ ხალხისგან მინიჭებული ძალაუფლება აკაევის მომხრეებს გადააბარა. ლიდერებს შორის განხეთქილებაა, რადგან კოვზი ერთია, ხოლო ჯამიდან ხაპვა ყველას უნდა," - მომიტინგეთა ასეთ გამონათქვამს ავრცელებდა გუშინ საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტი". გამომსვლელთა თქმით, ხალხი უკმაყოფილოა თავისი ლიდერების ქმედებებით, რომლებიც ძველ ხელისუფლებასთან კომპრომისზე წავიდნენ.

"ჩვენ სიმშვიდე და მოსვენება გვინდა; გვინდა, რომ ახალი ხელისუფლება ხალხზე ზრუნავდეს და არა მხოლოდ საკუთარ ნათესავებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აჯანყება კვლავაც იქნება," - განაცხადა ერთ-ერთმა დემონსტრანტმა.

გუშინ კიდევ ერთი სენსაციური განცხადება გავრცელდა – როგორც ჩანს, გადაყენებული პრეზიდენტის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც მისი დაბრუნების სურვილს გამოთქვამენ, თუმცა, ბუნებრივია - სხვადასხვა მოსაზრებით. აკაევის მომხრეები მისი დაბრუნებით ძველი რეჟიმის გაცოცხლებაზე ოცნებობენ, ოპოზიციას კი იმედი აქვს, გადაყენებული პრეზიდენტის ყირგიზეთში ჩამოსვლით საკუთარი ლეგიტიმურობის პრობლემას მოაგვარებს.

საქმე ისაა, რომ აკაევმა ოფიციალურად უარყო 24 მარტს მთავრობის სასახლეში შეჭრილი ოპოზიციის ლიდერების განცხადებები გადადგომის შესახებ და აღნიშნა, რომ მისი ქვეყნიდან გამგზავრება მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო.

სათავეში მოსული "რევოლუციონერების" მდგომარეობას სხვა მიზეზიც ართულებს: ახალხან ცნობილი გახდა, რომ ყირგიზეთის დატოვების შემდეგ გადაყენებული პრეზიდენტი ასკარ აკაევი მოსკოვში იმყოფება. კრემლის წარმომადგენლის განცხადებით, აკაევმა რუსეთის ხელისუფლებას მოსკოვში ჩასვლის თხოვნით მიმართა და კრემლმა მას ამის საშუალება მისცა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჯერ კიდევ ხუთშაბათს გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთი მზადაა, მიიღოს აკაევი, თუ მას ამის სურვილი ექნება.

სააგენტო "ასოშიეიტიდ პრესის" ინფორმაციით, კრემლმა, შესაძლოა, გააგრძელოს აკაევის ყირგიზეთის ლიდერად მიჩნევა და მისი რუსეთში ყოფნა, არა პოლიტიკურ თავშესაფარს, არამედ დიპლომატიურ ნაბიჯს დაუკავშიროს.



*ფელიქს კულოვი*

თუმცა, ვრცელდება ზემოაღნიშნულის გამომრიცხავი სხვა ცნობაც - რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის ალექსეი გრომოვის ინფორმაციით, პუტინი ტელეფონით ესაუბრა ყირგიზეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ კურმანბეკ ბაკიევს და გამოხატა მზადყოფნა, განიხილოს ყირგიზეთში ვითარების სტაბილიზაციისკენ მიმართული კონკრეტული პროექტები.

თავის მხრივ, ყირგიზეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბაკიევმა გამოთქვა იმედი, რომ, რუსეთისა და ყირგიზეთის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების გათვალისწინებით, ყირგიზეთში ვითარების სტაბილიზაციისთვის რუსეთი ყირგიზეთს "ჰუმანიტარული მოსაზრებებით დაეხმარება".

აშკარაა, ყირგიზეთში შექმნილი ლეგიტიმიზმის ვაკუუმი პოსტრევოლუციურ ქვეყანას კარგს არაფერს უქადის. დასავლური გაზეთები უკანასკნელ დღეებში ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ყირგიზეთზე გავლენის მოხდენის ცდუნება, შესაძლოა, მეტისმეტად მიმზიდველი აღმოჩნდეს მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოებისთვისაც (მათ შორის, პირველ რიგში, აშშ-სთვის), და ასევე - მეზობელი ქვეყნებისთვის.

ნიშანდობლივი იყო ორი დღის წინ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მიერ გაკეთებული განცხადება. კონდოლიზა რაისის თქმით, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ირგვლივ დრამატული მოვლენები ვითარდება. თუმცა, რუსეთის გარშემო გარკვეული რკალის შექმნას არავინ ცდილობს.

"ფუნდამენტური ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის ირგვლივ სივრცე იცვლება და იცვლება დრამატულად," - განაცხადა რაისმა პარასკევს გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" რედკოლეგიასთან და ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

"რუსეთის ირგვლივ რკალის შეკვრას არავინ ცდილობს. რკალის შეკვრა XIX საუკუნის კონცეფციაა," - აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიზაციის პროცესები მიმდინარეობს, რასაც აშშ ხელს უწყობს. "ეს პროცესები რეგიონში ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის უფრო ფართო შესაძლებლობებს იძლევა, რაც რუსეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება," - განაცხადა რაისმა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ცვლილებების პროცესმა რუსეთის იზოლაცია და რუსეთსა და აშშ-ს, ასევე, დასავლეთის სხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუარესება არ გამოიწვიოს.

აშშ-ს დიპლომატიის მეთაური მოხარულია, რომ უკრაინაში და ყირგიზეთში დატრიალებულ მოვლენებს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის გაუარესება არ მოჰყოლია.

"რუსეთში არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთს ამ რეგიონიდან აძევებენ. თუმცა, ეს ის გზა არ არის, რომლითაც საერთაშორისო პოლიტიკა ვითარდება," - განაცხადა კონდოლიზა რაისმა.

*24 საათი*

## ლიბანში აფეთქებები გრძელდება

ბეირუთის ქრისტიანულ ნაწილში 26 მარტს ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა, რომელიც ამერიკული წარმოების ძველ ავტომობილში ჩადებულ 25-30 კგ ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედებას მოჰყვა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შემთხვევის ადგილზე გამნაღმველი სამუშაოები მიმდინარეობდა. ტერაქტის შედეგად დაშავებულია 8 ადამიანი, 2 კი დაღუპულია. დაზიანებულია აგრეთვე რაიონში არსებული 200-მდე მცირე საწარმოს შენობა-ნაგებობებიც.

14 თებერვალს ლიბანის პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობის შემდეგ, ეს უკვე რიგით მესამე აფეთქებაა. ქვეყნის უშიშროების სამსახურები აფეთქებათა სერიის უკან "ერთი და იგივე კვალს" ხედავენ.

ზემოაღნიშნულ მოვლენებს ქვეყანაში ვითარების კიდევ უფრო გართულებისა და ოპოზიციის მოთხოვნებისთვის მეტი დამაჯერებლობის მიცემის მცდელობად აფასებენ საკანონმდებლო ორგანოში. "აფეთქებათა სერიის მიზანი ქვეყნის მდგომარეობის კიდევ უფრო გართულება და უსაფრთხოების სამსახურების ხელმძღვანელების გადაყენების მოთხოვნის დაკმაყოფილებაა," - განაცხადა ლიბანის პარლამენტის წევრმა ნასირ კანდილმა.

*24 საათი*

The British Airways Sale.
FROM $420
LONDON HEATHROW RETURN
NOW 3 FLIGHTS A WEEK
To book, call us on (32) 940 719/20 or see a travel agent.
BRITISH AIRWAYS
Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and excludes all taxes, fees and charges correct as at 08/03/05. Flights must be booked on or before 05/04/05 and outbound travel completed on or before 30/06/05. Fares are subject to availability and are non-refundable. Please call for full terms and conditions. Services operated by BMED.

# სინამდვილე ქართულ მედიაში

პირველი გვერდიდან

**2.** ჟურნალისტის მთავარი ფუნქცია ხალხისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაა. ინფორმაცია, რომელშიც გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან ფაქტი, ჟურნალისტის თვალსაზრისი და მესამე პირის კომენტარი. მაგრამ რატომ არის დღეს ასე ძნელი ამ უმთავრესი და აუცილებელი პირობების შესრულება და რატომ ვისმენთ თუ ვხედავთ ცალსახა ტენდენციურ ინფორმაციას?

ჟურნალისტი ექვემდებარება რედაქტორს, რედაქტორი საინფორმაციო განყოფილების უფროსს, საინფორმაციო განყოფილების უფროსი გაზეთის მთავარ რედაქტორს თუ ტელე არხის თავმჯდომარეს, თავმჯდომარე თუ ხელმძღვანელი მფლობელს, მფლობელი რომელიმე ჩინოვნიკს თუ ოლიგარქს, რომელიმე ჩინოვნიკი ხელისუფლებას, ხელისუფლება კი პრეზიდენტს - ჯაჭვი იკვრება და როგორც ხედავთ, ხალხი, ვინც მედიის ყველაზე აქტიური მომხმარებელია, თამაშგარე მდგომარეობაში ხვდება. მთელი ეს ჯაჭვი ხალხის გონების მანიპულირებით არის დაკავებული. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტი, რომელიც ქმნის საინფორმაციო ამინდს, ამ ბინძურ გარიგებაში ნებით თუ უნებლიეთ მონაწილეობს და ამიტომ, ინფორმაციის ავტორი ისევ ხელისუფლება გამოდის და არა ჟურნალისტი.

**3.** არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ საბჭოთა განათლება ჟურნალისტიკის დარგში, პრაქტიკულად სრულ გაუნათლებლობას უდრის. ალბათ აქედან გამომდინარეობს სწორედ ის, რომ საქართველოში ჟურნალისტმა არ იცის მისი პირველადი ფუნქცია და ამიტომ საინფორმაციო სტატია თუ რეპორტაჟი არის რიგ შემთხვევაში საკუთარი და რიგ შემთხვევაში, რომელიმე კონკრეტული პოლიტიკოსის მოსაზრების დემონსტრირება. ქართველი ჟურნალისტი დახელოვნებულია მხოლოდ ამა თუ იმ მოსაზრების ან მიმართულების პროპაგანდაში. ზემოთქმული შეკრული ჯაჭვიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, როდესაც არ არის ჩამოყალიბებული და გამოყოფილი ოპოზიცია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოება მეტწილად სახელისუფლო პროპაგანდის ქვეშ იმყოფება, პოლიტიკური საკითხების პროპაგანდა კი ყველაზე დიდი დანაშაულია, რაც შეიძლება ხელისუფლებამ მედიის დახმარებით ჩაიდინოს. ხალხი ყოველთვის დაივიწყებს, რა ვუთხარით ჩვენ მათ, რა გავაკეთეთ, მაგრამ არასდროს დაივიწყებს how you made them feel.

**4.** კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც მომხმარებლის ანუ საზოგადოების იგნორირებას იწვევს. ეთიკის საკითხები, რომელსაც ასევე არ იცნობს ჟურნალისტი. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ საინფორმაციო გადაცემა "კურიერის" ეთერში აღწერილი და ნაჩვენები იყო, ინცესტის მსხვერპლის სახე მსხვილი ხედით და სახელითა და გვარით მითითებული. მსხვერპლი არასრულწლოვანი იყო. მაგალითად, ჟურნალისტმა და არც მისმა უფროსმა არ იცის, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ბავშვების და იმ პირების პირად ცხოვრებას, რომელნიც ვერ აცნობიერებენ მათი განცხადებით ან ქმედებებით გამოწვეულ შედეგს. როდესაც საქმე სექსუალურ ძალადობას ეხება, ფაქტის დეკლარირება არ შეიძლება ბავშვის მეურვის თანხმობის გარეშე და მისი ეკრანზე მსხვილი ხედით ჩვენება ყველა შემთხვევაში დაუშვებელია. სხვა, შედარებით უმტკივნეულო დარღვევებზე საუბარიც კი ზემდეტია, ვინაიდან ასეთი დარღვევები თითქმის ყოველდღიურად არის ბეჭდვით თუ ტელე მედიაში.

**5.** ისევ ზემოხსენებულ ჯაჭვს დავუბრუნდებით და მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ რამდენად ირღვევა ამ შემთხვევაში არა დაზარალებულის, არამედ თავად ჟურნალისტის უფლება. დღეს საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს თავისუფალი ჟურნალისტი, ვინაიდან ყველა რადიო სადგურს, გაზეთს თუ ტელევიზიას მისი პოლიტიკა აქვს და ჟურნალისტი, ფაქტობრივად, ამ პოლიტიკის გამტარებელია, იმის მიუხედავად, უნდა თუ არ უნდა, ეთანხმება თუ არ ეთანხმება მას. მედიის მფლობელი გარანტირებული, ყოველთვიური ხელფასის სახით მის (ჟურნალისტის) სიჩუმეს ყიდულობს. ამიტომ დღევანდელ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა ჟურნალისტის უფლებები შეზღუდულია, არც ერთი მათგანი მინიშნებითაც კი არ აღიარებს ამას. თუმცა, ყველასათვის ცნობილია, რომ ხელისუფლების მხრიდან ისევ ხორციელდება ზარები სტუდიაში, ისევ მიმდინარეობს მოსალოდნელი სიუჟეტის თუ სტატიის წინანსწარი (გამოქვეყნებამდე) განხილვა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ გაზეთის რედაქტორი თუ ტელე არხის ხელმძღვანელი ჟურნალისტის მფლობელია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

**შედეგი.** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან გამომდინარე, შედეგი არის ის, რომ დღეს ქართული მედია სივრცე თავისი კრიზისის პიკში იმყოფება და გამოსავალი ამ ეტაპზე არ ჩანს. ვინაიდან ხელისუფლება, იქნება ის კარგი თუ ცუდი, ყოველთვის ეცდება, გააკონტროლოს მედია, მედიის მფლობელი ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დამოკიდებული ხელისუფლებაზე და ჟურნალისტი კიდევ უფრო დიდ ხანს იქნება მფლობელის პოლიტიკის გამტარებელი. აქედან გამომდინარე, მედია ყოველდღიურად დაკარგავს საზოგადოების ნდობას, ის საბოლოოდ გაემიჯნება მას და ჯაჭვი, რომელიც იკვრება, საბოლოოდ დარჩება მისი მთავარი რგოლის, ხალხის გარეშე. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას ჟურნალისტებისაგან, მედიის მფლობელებისაგან და საზოგადოებისაგან შემდგარი კავშირი თუ საბჭო, რომელიც დაიცავს ჟურნალისტის უფლებებს და იზრუნებს მედიის პროფესიონალური დონის გაუმჯობესებისათვის.

**სალომე ასათიანი (მედია-ექსპერტი) -** "მედია-საბჭოს, ან რაიმე სხვა სახელწოდების ორგანიზაციის, დაარსება და ამოქმედება ერთმნიშვნელოვნად საჭიროა ჩვენთან. ჩემი აზრით, ეს ორგანიზაცია პროფესიული კავშირის ფორმატს უნდა დაეყრდნოს, რომელიც პროფესიული ასოციაციის ელემენტებსაც შეითავსებს და ერთის მხრივ ჟურნალისტების სამუშაო პირობებისთვის, უფლებებისთვის და თავისუფლებისთვის იბრძოლებს, მეორეს მხრივ კი იმუშავებს მისი წევრების კვალიფიკაციის და პროფესიული სტანდარტების ამაღლებისთვის.

პრესის თავისუფლებისთვის და საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა, ალბათ, უპირველესად ჟურნალისტების ამოცანაა, და არ შეიძლება ეს საქმე მთლიანად ხელისუფლების, ან მედიის მფლობელების კეთილ ნებას მივანდოთ. საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა - კერძო მედიის სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა, ჟურნალისტების სამსახურიდან უპირობოდ დათხოვნამ, გადაცემების შინაარსისა თუ ორიენტირების შეცვლამ, და პირველი არხის რეფორმის გაჭიანურებამ - ალბათ კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა ასეთი ორგანიზაციის არსებობის აუცილებლობა. საქართველოში ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია საზოგადოებრივი მაუწყებლობა - და ამ პროექტის წარმატებულად განხორციელებისთვისაც აუცილებელია ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, და მაუწყებლობის თავისუფლების ხარისხზე, მუდმივი ზრუნვა".

მაშინ, როდესაც გავიგებთ, რას გულისხმობს მედია-საბჭო, და რა მოვალეობებს ასრულებს, გასაგები იქნება, რამდენად აუცილებელია მისი დაარსება და მომავალში არსებობა.

**თამარ კინწურაშვილი (ჟურნალისტი, "თავისუფლების ინსტიტუტი") -**

"ეს ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ფორმით არსებობენ, თუმცა მათი ძირითადი პრინციპი ყველგან ერთია - ჟურნალისტები, რედაქტორები, მედიის მფლობელები, საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ნებაყოფლობით აყალიბებენ თვითრეგულირების ორგანოს, რომელიც საზოგადოებასა და მედიას შორის წარმოქმნილ დავებს იხილავს. საბჭოები, რომლებიც სასამართლოს ერთგვარ ალტერნატივად აღიქმება, მოქალაქეებისაგან შესულ საჩივრებს მედიის მიერვე აღიარებული ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების საფუძველზე განიხილავენ.

მედია-საბჭოების, როგორც მედიის თვითრეგულირების ორგანოების არსებობის ერთადერთი საფუძველი აღიარებული პრინციპებისადმი ერთგულება და მათი შეუვალი დაცვაა. ავტორიტეტი და მისდამი ნდობა კი მედია-საბჭოს ერთადერთი იარაღია".

მედია-საბჭო, რომლის შექმნის აუცილებლობაც დღეს დგას, ასევე უნდა იქცეს ერთგვარ გარანტად, რომელიც უზრუნველყოფს მედიის საქმიანობაში ხელისუფლების ჩაურევლობას თავად მედიის მიერ საკუთარი პროფესიული საქმიანობის დარეგულირების გზით. მის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ მედიის მფლობელები, ჟურნალისტები და საზოგადოების წევრები.

**ბადრი კოპლატაძე (ჟურნალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ) -** "პირველ რიგში ვფიქრობ, მედია-საბჭოს არსებობის აუცილებლობა უნდა იგრძნოს თვითონ პრესამ. რადგან, თუ ვსაუბრობთ თვითრეგულაციის მექანიზმებზე, ეს არის ის, რასაც თვითონ შექმნიან და ეს, ბუნებრივია, ვერ მოხვდება ვერავის ძალდატანებით. საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მედიამ უნდა მიიღოს, უნდა თუ არა მას ასეთი საბჭოს არსებობა. საჭიროა, რომ ასეთი სტრუქტურა შეიქმნას, მითუმეტეს, რომ ეთიკის ნორმებზე შეთანხმება უკვე მოხერხდა. ორი წლის წინ შეიქმნა და არსებობს ეს ეთიკის ნორმები.

მედია-საბჭოს არსებობა ასევე საჭიროა თავად მედიისთვის, მისი განვითარებისთვის, მისი პროფესიონალიზმის ამაღლებისთვის. ხშირად ჟურნალისტები ხედავენ საბჭოსგან გამომდინარე ცენზურის საშიშროებას. ვფიქრობ, რომ თუკი თვითონ აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ამ საბჭოს ფორმირებაში და მისი სტრუქტურის აწყობაში, ეს საფრთხე თავისუფლად გამოირიცხება. მედია-საბჭო არ არის დამსჯელი მექანიზმი, ის არსებობს მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობისათვის. პრაქტიკულად მედია-საბჭო არის კერძო არბიტრაჟის სტრუქტურა. მედიის მფლობელი, ჟურნალისტი, საზოგადოების წევრი - ჩვენ ყველანი ვთანხმდებით ერთიან, პროფესიულ სტანდარტებზე და ყველანი ამას ვიცავთ. მედიას, მედია-საბჭოს საშუალებით, შეიძლება მოეხსნას უშუალო შეხება სასამართლოსთან. ისინი მუდმივად იგრძნობენ საზოგადოების მხრიდან არა მტრულ, არამედ კრიტიკულ მიდგომას, რაც მათთვის არის აუცილებელი, ვინაიდან მედია ინკუბატორის სისტემაში არ უნდა მუშაობდეს, ის უნდა იყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული და მუდმივად უნდა გრძნობდეს საზოგადოებისგან იმპულსებს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უმტკივნეულო საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება სახელმწიფომ მოინდომოს რეგულირება და ის, რაც მედია-საბჭოს უნდა აეღო თავის თავზე (რაც იქნებოდა უფრო უმტკივნეულო და კარგი ჟურნალისტებისათვის), შეიძლება გახდეს სადამსჯელო ღონისძიება სახელმწიფოს მხრიდან".

**ეკა კვესიტაძე (ჟურნალისტი, მედია-საბჭოს მხარდამჭერი პროექტი)** - "მედიის ძალა საზოგადოების ნდობაა. ნდობის მოპოვება კი, უპირველეს ყოვლისა, სანდო ინფორმაციის მიწოდებით ხდება. როდესაც სიუჟეტს უყურებ ან სტატიას კითხულობ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ინფორმაცია, რომელსაც იღებ, სანდოა და მას გადამოწმება აღარ სჭირდება. სხვა შემთხვევაში, საინფორმაციო გამოშვებების ყურება ან გაზეთების კითხვა გართობაა და სხვა არაფერი. გასართობად კი ტაბლოიდები და სპეციალური არხები ან ტელეგადაცემები არსებობს და არა მედიის სოლიდური საშუალებები.

რამდენად ობიექტურად ახდენს დღეს ქართული მედია საზოგადოების ინფორმირებას, რამდენად სრულყოფილი და უტყუარია ის ინფორმაცია, რომელსაც მოსახლეობა ყოველდღე იღებს? ეს კითხვა ძალზე აქტუალური იმ ფონზეც კი, როდესაც პოსტ-რევოლუციურ საქართველოში თავისუფალი პრესაზე გაზრდილ ზეწოლასა და თვითცენზურაზე ვსაუბრობთ, რადგან ეს ორი პრობლემა პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან.

მედიის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი იარაღი თავად ჟურნალისტების არაეთიკური, არაპროფესიონალური ქცევა და იმ მთავარი პრინციპების უგულებელყოფაა, რომელსაც თავისუფალი პრესა ეფუძნება. ასეთი პრესა მოსახლეობაში სიმპატიით არ სარგებლობს და გარდა ამისა, მას არც ხელისუფლებაში უყურებენ სერიოზულად. ის ხელისუფლებას კონსტრუქციულ ოპონირებას ვერ უწევს და მხოლოდ გაუგებარი, შეთითხნილი ბრალდებების თუ ათასგვარი ინსინუაციების ტირაჟირებით ირთობს თავს და ართობს მოსახლეობასაც. ამ ფონზე კონკრეტული მაღალჩინოსნების წინააღმდეგ არსებული სერიოზული და დასაბუთებული ჟურნალისტური მასალებიც კი იკარგება. მას განსაკუთრებულ ყურადღებას აღარც მოსახლეობა უთმობს და ბუნებრივია, არც ხელისუფლება, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. და რაც მთავარია, მედიას, რომელიც მოსახლეობის ნდობითა და დიდი სიმპატიით არ სარგებლობს, ხელისუფლება ნებისმიერ მომენტში ადვილად მოერევა.

მიმაჩნია, რომ დღეს ქართულ მედიას, რომელიც სერიოზულ კრიზისშია, ორი გზა აქვს. ან სიძნელეებს დაძლევს და განვითარების ახალ ეტაპზე გადავა, ან ეს კრიზისი მას საბოლოოდ მოინელებს და მისგან აღარაფერი დარჩება, გარდა ხელისუფლების დანამატისა.

კრიზისის დაძლევის ძალა კი თვითონ მედიაში, კონკრეტულ ადამიანებში უნდა მოინახოს. მედია-საბჭო, რომლის შექმნასაც ჩვენ ახლა ვცდილობთ, ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება მედიის პროფესიონალიზმისა და, რაც მთავარია, საზოგადოების მიმართ მისი ანგარიშვალდებულების გასაზრდელად. ჟურნალისტი, როგორც ყველა სხვა პროფესიის ადამიანი, პასუხს უნდა აგებდეს და ვალდებულებას უნდა გრძნობდეს მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე. ასეთი მიდგომა გააჯანსაღებს ქართულ თავისუფალ პრესას და მას უფრო ძლიერს გახდის.

რა თქმა უნდა, მხოლოდ მედია-საბჭო პანაცეა ვერ იქნება. მედიის პროფესიონალური "გაზრდა" პროცესია და იმისათვის, რომ ეს პროცესი წარმატებით დასრულდეს, აუცილებელია, სხვადასხვა მიმართულებით კომპლექსური და კარგად გააზრებული ნაბიჯები გადაიდგას. ამ ეტაპზე კი მედია-საბჭოს შექმნა ერთ-ერთი ქმედითი და კარგად გააზრებული ნაბიჯი იქნება."

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ დღვენდელ დღეს მედიაში არსებული კატასტროფული მდგომარეობიდან, შესაძლებელია, მედია-საბჭოს დაარსება ერთ-ერთი რეალური გამოსავალი იყოს - საბჭო, რომელიც აქტიურად იზრუნებს ჟურნალისტის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და, აქედან გამომდინარე, მისი მომხმარებლის პროფესიონალურ მოთხოვნებს მეტად დააკმაყოფილებს. ამისათვის კი აუცილებელია მედიის წარმომადგენელთა აქტიურობა. გარდა ამისა, ამგვარი საბჭოს შექმნა, საზოგადოების დაკვეთაც უნდა იყოს, რაც, სავარაუდოა, უკვე არსებობს.





## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**აგრძელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპს - გასაუბრებას, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ აპარატში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.**

**გასაუბრება თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარდება ამა წლის 4 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით.**

**გასაუბრების გრაფიკი შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში, იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.justice.gov.ge , საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში.**

**გასაუბრების გრაფიკი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ აპარატში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, იხილეთ 11 აპრილს ზემოთ მინიშნებულ მისამართებზე.**



## ინტელექტბანკის პლასტიკური ბარათით უკვე შეგიძლიათ გაზის და წყლის გადასახადის გადახდა

დაარსების დღიდან ინტელექტბანკი მუდამ ზრდის მომხმარებლისადმი შეთავაზებული პროდუქტების ნუსხას და მატებს მათ ახალ დამატებით თვისებებს, რათა მომხმარებელმა ისარგებლოს მაქსიმალურად კომფორტული მომსახურებით.

ინტელექტბანკი გახლავთ პირველი ქართული ბანკი, რომელმაც პლასტიკური ბარათის მომხმარებელს შესთავაზა მობილური ტელეფონითა და ინტერნეტით მომსახურება. ინტელექტბანკის კლიენტს საშუალება აქვს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, კვირის ნებისმიერ დღეს, 24 საათის განმავლობაში ისარგებლოს კომფორტული მომსახურებით, კერძოდ: შეამოწმოს ბარათზე არსებული ნაშთი; მიიღოს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის და გახარჯვის შეტყობინება; დაბლოკოს ან მოხსნას ბლოკი ბარათს; შეიძინოს Magti GSM-ის "მონო" და Geocell-ის "ასტრა" და "ლაი ლაი" ბარათი; გადაიხადოს ელექტროენერგიის, საქართველოს ტელეკომის (8-10), Ayety TV-ის დავალიანება და მრავალი სხვა. ამასთან მოცემულ სერვისზე დარეგისტრირება და მომსახურება უფასოა.

ამჟამად ზემოაღნიშნულ სერვისს ინტელექტბანკმა დაუმატა ახალი ტიპის მომსახურება, კერძოდ პლასტიკური ბარათების მომხმარებელს საშუალება ეძლევა გადაიხადოს გაზის და წყლის გადასახადი მობილური ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით. თქვენ აღარ დაგჭირდებათ გადასახადის გადახდის პუნქტში მისვლა და რიგში დგომა, უბრალოდ დარეგისტრირდით მოცემულ სერვისზე ინტელექტბანკში, მიუთითეთ აბონენტის საიდენტიფიკაციო ნომერი და ისარგებლეთ კომფორტული მომსახურებით.

ინტელექტბანკი კვლავაც განაგრძობს ახალი პროდუქტების დანერგვას და არსებული პროდუქტების თვისებების გაფართოებას, რათა მომხმარებელმა ისარგებლოს სწრაფი, მრავალფეროვანი და კომფორტული მომსახურებით.





# ზურაბ ჟვანიას სურვილით

ზაზა ფაჩუაშვილი

*"საქართველოში გამოსამგზავრებლად ვემზადებოდი, როცა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ამბავი გავიგე. დაისვა საკითხი, ღირდა თუ არა საერთოდ ჩამოსვლა, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ აუცილებლად უნდა შემესრულებინა ჟვანიას სურვილი," – ამბობს ამერიკელი პროფესორი ლეონ რუთი, რომელიც საქართველოში ჰუმანიტარული მისიით იმყოფებოდა და ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვებს ოპერაციები გაუკეთა.*



*ლეონ რუთი.*

ალბათ, ყველას ახსოვს შარშან სახელმწიფო კანცელარიასთან ატირებული ავადმყოფი ბავშვის დედა, რომელიც ახალ მთავრობას საზღვარგარეთ მკურნალობისთვის თანხას სთხოვდა. მაშინ სასოწარკვეთილ დედას დახმარება ზურაბ ჟვანიამ აღუთქვა, მაგრამ ყველა მძიმე პაციენტის საზღვარგარეთ გაგზავნა შეუძლებელია. ამიტომ საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი, თურმე, სხვა გამოსავალსაც ეძებდა.

ლეონ რუთი: **"როგორც აღმოჩნდა, ზურაბ ჟვანია და მისი მეუღლე ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვების მკურნალობაზე ზრუნავდნენ. ამ მიზნით ბატონ ზურაბს დახმარებისთვის მიუმართავს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტისთვის, რომელიც მე დამიკავშირდა და საქართველოში ჩამოსვლა მთხოვა. ასე აღმოვჩნდი აქ."**

პროფესორმა რუთმა თავისი პატარა პაციენტები იაშვილის სახელობის ბავშვთა მრავალპროფილიან საავადმყოფოში მიიღო, 40 ბავშვი გასინჯა და რამდენიმე წარმატებული ოპერაციაც გააკეთა. ამის გარდა ექიმებისთვის წაიკითხა ლექციები და ჩაატარა ტრენინგები.

ლეონ რუთი: **"ჩემი მიზანი იყო ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვთა მკურნალობა და ეს ქართველ ექიმებთან ერთად გავაკეთე. ძალიან კმაყოფილი დავრჩი მათი ინტელექტით, დიდი ენთუზიაზმით და შრომისმოყვარეობით. მართალია, აქ საკმარისი აღჭურვილობა არ არის, მაგრამ მედპერსონალის ამ თვისებების წყალობით, ბავშვები მაინც სათანადო დონის სამედიცინო მომსახურებას იღებენ.**

**ყველა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ბავშვები უკვე სახლში არიან."**

პროფესორი რუთი ანალოგიური მისიით იმყოფებოდა სხვა ქვეყნებშიც – იაპონია, ტაილანდი, თურქეთი, ნორვეგია, ბრაზილია, არგენტინა, ვენესუელა. მისი თქმით, რაც უფრო დაბალგანვითარებულია ქვეყანა, მით მეტია ბავშვთა ცერებრული დაავადების შემთხვევები. სამწუხაროდ, მკურნალობა ძალიან ძვირია და ბევრი ადამიანისთვის, მათ შორის საქართველოში, მიუწვდომელია. ამიტომ ასეთ ვიზიტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მით უმეტეს, რომ პროფესორი რუთი შეძლებისდაგვარად დახმარებას გვპირდება.

ლეონ რუთი: **"აშშ-ში დაბრუნების შემდეგ ვიფიქრებ, თუ როგორ შეიძლება დავეხმარო საქართველოს აღჭურვილობისა და კადრების მომზადების საკითხში. მივდივარ და მიმყვება ქართველების საოცარი სტუმართმოყვარეობა, თბილი გული, ამიტომ აუცილებლად დავბრუნდები. დიდი სიყვარულით გტოვებთ."**

ლეონ რუთი არის ორთოპედტრავმატოლოგი, ნიუ იორკის სპეციალური ქირურგიის ჰოსპიტლის კლინიკური ორთოპედიის პროფესორი, პედიატრიული ორთოპედიის სამსახურის უფროსი, ცერებრული დამბლის აკადემიის პრეზიდენტი, 4 წიგნის ავტორი. იგი საქართველოდან დღეს მიემგზავრება.

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# ფინანსთა სამინისტრო ბიზნესმენების შენიშვნებს ნაწილობრივ დაეთანხმა

*"ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით ბიზნესმენებსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე ბიზნეს სექტორმა ნაწილობრივ მიაღწია შედეგს - ფინანსთა სამინისტრო ბიზნესმენების შენიშვნების ნაწილს გაითვალისწინებს.*

**"ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ" კანონპროექტის შენიშვნების ნაწილთან დაკავშირებით დისკუსიები გაგრძელდება. არსებობს ისეთი პრინციპული საკითხები, რაზეც ჩვენ არ დავთანხმდებით,"** - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ მცხეთაში გამართულ შეხვედრაზე. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ბიზნესმენთა შენიშვნების დიდი ნაწილი ტექნიკური ხასიათისაა და მათი გათვალისწინება შესაძლებელია.

ამგვარ პრინციპულ საკითხად მინისტრის პირველმა მოადგილემ კანონპროექტით გათვალისწინებული სხვა ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვა დაასახელა. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ნავთობპროდუქტების და თამბაქოს ბიზნესით დაკავებულ პირებს და ორგანიზაციებს სხვა ეკონომიკური საქმიანობის უფლება არ აქვთ. **"თუ კომპანია დაინტერესებული იქნება სხვა ეკონომიკური საქმიანობის წარმოებით, მაშინ მან ცალკე უნდა ჩამოაყალიბოს შეზღუდული პასუხისმგებლობის სააგენტო. ეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია,"** - განაცხადა გოცირიძემ.

ფინანსთა სამინისტრო ბიზნესმენებს დეპოზიტთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებშიც დაეთანხმა. ბიზნესმენები ითხოვენ, რომ დეპოზიტზე დადებული თანხის სანაცვლოდ, ფაქტობრივად, გაყინული თანხის გარკვეული პროცენტი მიიღონ. **"ჩვენ ვიფიქრებთ, რომ ბიზნესმენებს დეპოზიტის ალტერნატიული წინადადებები შევთავაზოთ. კერძოდ, საბანკო გარანტიის, ან სადაზღვევო პოლისის წარმოდგენის მოთხოვნა,"** - აღნიშნა გოცირიძემ.

უახლოეს დღეებში საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში კანონპროექტთან დაკავშირებით ბიზნესმენთა მიერ წარმოდგენილი ყველა შენიშვნა შეიკრიბება და ერთიანი სახით გადაეგზავნება ფინანსთა სამინისტროს. ოთხშაბათს კი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი კანონპროექტის განხილვას იწყებს.

*24 საათი*

# სოფლებში კოოპერატივების შექმნა იგეგმება

*გუშინ სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითად პარამეტრებზე იმსჯელეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებისა და აგრარიკოს მეცნიერთა მიერ დამუშავებულია აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული პროგრამა და მარკეტინგული მოდელი, სადაც განსაზღვრულია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პრიორიტეტები.*

**- "საქართველოს სოფლის მეურნეობის ოპტიმალური მოდელის გათვალისწინებით, უახლოეს 10 წელიწადში საჭირო იქნება, დამატებით გაშენდეს 10-15 ათასი ჰა ვენახი, 22-25 ათასი ჰა ხეხილი, ხოლო ჩაისა და ციტრუსების ნათესი ფართობები უნდა განისაზღვროს, შესაბამისად, 41-42 და 12-13 ათასი ჰექტარით. საშემოდგომო ხორბლის ფართობის ოპტიმალური ზღვარია 175-180 ათასი ჰექტარი, სამარცვლე სიმინდის - 160-166 ათასი ჰექტარი, მარცვლეულ-პარკოსნების - 10-12 ათასი ჰექტარი, კარტოფილის -50-51 ათსი ჰექტარი, ბოსტნეულის 54-56 ათასი ჰექტარი, მზესუმზირის 43-45 ათასი ჰექტარი,"** - განაცხადა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ვახტანგ ბურკაძემ. ასევე განსაზღვრულია პროგნოზი მეცხოველეობის დარგის შემდგომი განვითარებისთვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, რაიონებში შეიქმნება საწარმოო ინფრასტრუქტურის მომსახურე კოოპერატივები. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 12 ასეთი კოოპერატივის შექმნა.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დამუშავდება რეკომენდაციები ზონალური სპეციალიზაციის მიხედვით, რაც ახლებურად დააყენებს საკითხს - დარგობრივი სტრუქტურის, საწარმოო პოტენციალის გამოყენების, პროდუქციის რეალიზაციის, დარგთა შორის კავშირების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნისა და ფუნქციონირების, ექსპორტისა და იმპორტის, ეკონომიკური მექანიზმის შერჩევის და საბოლოო მიზნის - სახელმწიფო სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტისთვის.

როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ მირიან დეკანოიძემ გუშინდელ შეხვედრაზე აღნიშნა, სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ აგრარიკოს მეცნიერებმა, მათი პოტენციალი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული. ასევე, სასურველია, ისინი ჩაერთონ სოფლის მეურნეობის სისტემის რეორგანიზაციის საკითხებში.

**24 საათი**

# სოროსმა საფრანგეთში სასამართლო პროცესი წააგო

საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ მილიარდერი ჯორჯ სოროსი საბირჟო ვაჭრობებზე კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებისთვის დამნაშავედ ცნო. ცნობილ ფინანსისტს ფრანგული ბანკის "Societe Generale"-ის აქციებთან მიმართებაში მსხვილ თაღლითობაში ედებოდა ბრალი.

1988 წელს ჯორჯ სოროსმა ფრანგული ბანკის "Societe Generale"-ის საკმაოდ იაფიან აქციებში 50 მილიონ დოლარიანი ინვესტიცია განახორციელა. იმ პერიოდში ბანკის არსებობას საფრთხე ემუქრებოდა, თუმცა ბანკის მენეჯმენტმა შეძლო სიტუაციის გამოსწორება და ბანკის აქციები მნიშვნელოვნად გაძვირდა. საფრანგეთის კანონმდებლობა კრძალავს ბირჟის ვაჭრობებში სამსახურებრივი ინფორმაციის გამოყენებას და, ამ მოტივით, სასამართლომ სოროსს 2,2 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა.

**"ეს არის დროში გაწელილი და ცუდად ჩატარებული გამოძიება, რომელმაც სასამართლოს ცუდ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანა,"** - განაცხადა ჯორჯ სოროსის ერთ-ერთმა ადვოკატმა ჟან-მიშელ დაროუსმა. მისივე განცხადებით, ცნობილი ფინანსისტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. ცნობისათვის, სოროსი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგების ვერდიქტი ჯორჯ სოროსის კარიერაში ერთადერთი იურიდიული ლაქაა, და ეს მაშინ, როცა ფინანსისტი აქტიური საინვესტიციო საქმიანობით უკვე აღარ არის დაკავებული. ბოლო დროს მისი ყურადღება პოლიტიკურ და საქველმოქმედო საქმიანობაზეა მიპყრობილი.

სიტუაციის განვითარების ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად სოროსის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსთვის მიმართვა განიხილება.

სასამართლოზე სოროსი ამტკიცებდა, რომ მას "Societe Generale"-ის აქციების ყიდვისას შიდა ინფორმაცია არ გამოუყენებია. **"მე ვიცოდი, რომ ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყო, მაგრამ არ მეგონა, თუ ეს მე რაიმე უპირატესობას მანიჭებდა,"** - აცხადებდა სოროსი. **"ეს ინფორმაცია კონფიდენციალური იყო და ყველა ოპერაციის გატარებას უკრძალავდა მათ, ვისაც ეს ინფორმაცია გააჩნდა,"** - თავის მხრივ, აცხადებდა სახელმწიფო ბრალმდებელი ფრანსუა მილეტი.

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე, სადაც ბრალდებულს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აღარ ექნება, ადამიანი დამნაშავედ არ ითვლება. აქედან გამომდინარე, სასამართლო დავა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

*24 საათი*

ქალაქ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე - www.tbilisicorps.ge**
**მისამართი: აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.**
**ტელ.: 952034**

## მოკლედ

### წარმოების მოცულობის ზრდის ტემპებით საქართველო დსთ-ში პირველ ადგილზეა

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, იანვრის თვეში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის ტემპებით, დსთ-ს მასშტაბით, საქართველო 18,9 პროცენტით პირველ ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ის ბალტიის ქვეყნებსაც უსწრებს.

2005 წლის იანვარ-თებერვალში ფოთისა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურების ტვირთბრუნვა თითქმის 2 პროცენტით შემცირდა და 2,1 მლნ ტონა შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა იანვარ-თებერვალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10,1 პორცენტით გაიზარდა და მოქმედ ფასებში მისმა ღირებულებამ 262,2 მლნ ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი, 17,5-პროცენტიანი ზრდა გადამამუშავებელ მრეწველობაში შეინიშნება. 8,7 პროცენტითაა გაზრდილი ელექტროენერგიის, აირის და წყლის მომარაგება-განაწილება. რაც შეეხება სამთო-მოპოვებით მრეწველობას, აქ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 21,7-პროცენტიანი კლებაა. ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის 35,3 პროცენტი თბილისზე მოდის. შემდეგია ქვემო ქართლი 19,7 პროცენტით. მესამე ადგილზე კი, 13,7 პროცენტით, იმერეთის რეგიონია.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2005 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში ყველა სახის ტრანსპორტით გადატანილია 5,7 მლნ ტონა ტვირთი და გადაყვანილია 52,7 მლნ მგზავრი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 5,3 და 0,6 პროცენტით მეტია.

გადატანილი ტვირთების დიდი ნაწილი საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის. ამ გზით, აღნიშნულ პერიოდში 3,4 მლნ ტონა ტვირთი გადაიზიდა, რკინიგზის საშუალებით კი - 2,3 მლნ ტონა ტვირთი. რაც შეეხება მგზავრების გადაყვანას, 33,6 მლნ მგზავრი ავტობუსებითაა გადაყვანილი, 18 მლნ - საქალაქო ელექტროტრანსპორტით, რკინიგზით - 555 ათასი, ავიაკომპანიების თვითმფრინავებით კი - 32,3 ათასი მგზავრი.

**24 საათი**

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია
UNITED ENERGY DISTRIBUTION COMPANY OF GEORGIA

სგსე UEDC

# განცხადება

**სს "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" სურს კომპიუტერების შესყიდვა ონიაშვილის ქ. N6, 0160. თბილისი**

შესყიდვის ობიექტებია:

| ლოტი N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერი | 30 ერთეული | ქ. თბილისი |

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 7 აპრილის 16:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი (0160). ონიაშვილის ქ. N6, ტელ: **387199, 387499**

სავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
4. ცნობა იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენდტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია:
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;
4. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

დაინტერესებულ პირს შესყიდვაში მონაწილეობის უფლება მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პერიოდში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტექნიკური მოთხოვნები და სპეციფიკაციები პრეტენდენტებს გადაეცემათ მისამართზე - "სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", ონიაშვილის N6, **2005 წლის 11 აპრილის 16:00 საათამდე**.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - **ირაკლი ავალიანს, ტელ: 38 71 99, (შიდა - 217) ონიაშვილის ქ. N6**

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

**პროკრედიტ ბანკი** აცხადებს კლიენტთა მომსახურების განყოფილების (ბანკის ფილიალის ან სერვის-ცენტრის საოპერაციოს) უფროსის ვაკანსიებს.

**მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლების დიპლომი, სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის ან ფინანსების დარგში
- ბანკში კლიენტთა მომსახურების დეპარტამენტში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება
- საბანკო ოპერაციების კარგი ცოდნა
- კლიენტთა მომსახურების პრინციპების სიღრმისეული ცოდნა
- მართვის, ორგანიზაციული და პრობლემათა გადაჭრის ეფექტური უნარ-ჩვევები
- კომუნიკაბელობა
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების ცოდნა

დაინტერესებულმა პირებმა დოკუმენტები უნდა გამოაგზავნონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე

- CV ფოტოთი
- დიპლომის და/ან სერტიფიკატების ასლები
- რეკომენდაციები

პროკრედიტ ბანკი, საქართველო
სათაო ოფისი, აღმაშენებლის გამზირი N 154, თბილისი 0112 ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე carrier@ procreditbank.ge

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა: 30 მარტი 2005 წ.
გთხოვთ თქვენს CV-ში ან ელექტრონულ ფოსტის გრაფაში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მიმდინარე წლის ბოლოსთვის საქართველოში კიდევ ერთი მობილური კომპანია იარსებებს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსი გამოაცხადა. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა 8 491 392 ლარს შეადგენს, ხოლო კონკურსის ჩატარების თარიღად 2005 წლის 5 აგვისტო გამოცხადდა. კომისიაში აცხადებენ, რომ საქართველოში ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების ლიცენზიის შეძენით დაინტერესება საკმაოდ მაღალია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზმა" მოამზადა პროექტი, რომელიც ენერგოეფექტურობის ამაღლებას ითვალისწინებს. დღეს "საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში" პროექტის პრეზენტაცია გაიმართება. როგორც "თბილგაზში" განაცხადეს, რადგან ქვეყანაში ბაზისური ელექტროენერგიის დეფიციტია და მოუწესრიგებელია თბილისის მოსახლეობის თბომომარაგება, პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, "თბილგაზმა" პროექტი შეიმუშავა, რომელიც ენერგოეფექტურობის ამაღლებას კოგენერაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ითვალისწინებს. "პროექტში მონაწილეობა საქართველოს მთავრობას და კერძო კომპანიებს შეუძლიათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილწყალკანალს" მალე ახალი ლოგო ექნება. ახალი ლოგოს შესაქმნელად საწარმომ კონკურსი გამოაცხადა. საკონკურსო წინადადებები 10 აპრილამდე მიიღება. გამარჯვებულ პროექტს სპეციალური კომისია გამოავლენს, მის ავტორს კი საწარმო 1000 დოლარით დაასაჩუქრებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რვა ობიექტის გაყიდვის მიზნით, აუქციონი გამოაცხადა, საიდანაც ბიუჯეტში, სავარაუდოდ, 1 500 000 დოლარის მობილიზებას გეგმავს. აუქციონი შემდეგ ობიექტებზე გამოცხადდა: სს "ვაზიანი-2000", რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 220 ათასი დოლარია, შპს "მელიორატორი XXI" (120 000 დოლარი), შპს "შულავერის არამადნეული მასალების ქარხანა" (280 000 დოლარი), შპს "მერქანი" (90 000 დოლარი), სს "საქრუსეთმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ბაზალეთის დასასვენებელი კომპლექსი (35 000 დოლარი), თბილისში, ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობა (4 ერთეული) - 500 000 დოლარი, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე არასაცხოვრებელი სახლები (150 000 და 250 000 დოლარად). ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება დღეიდან დაიწყება და 27 აპრილამდე გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ფოთი.** გუშინ რუსეთიდან ფოთის პორტში პირველი ბორანი შემოვიდა. საფურაჟე სიმინდით დატვირთული ბორანი "კავკაზის" ნავსადგურიდან საქართველოსკენ ოთხი დღის წინ დაიძრა. ბორნის ტვირთისგან დაცლის შემდეგ, იგი "ჭიათურმანგანუმის" კონცენტრატებით დაიტვირთა და პორტ "კავკაზისკენ" აიღო გეზი. ფოთის პორტის საკოორდინაციო ცენტრის უფროსის გოჩა არჩაიას თქმით, თავდაპირველად ფოთი-კავკაზის პირდაპირი სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლა კვირაში ერთხელ განხორციელდება. ბორნის ტევადობა 25 ვაგონია, თუმცა სამომავლოდ მისი 50 ვაგონამდე გაზრდა და კვირაში სამი რეისის განხორციელება იგეგმება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება კონფერენცია თემაზე "მთიანი რეგიონების სოფლების განვითარება". ღონისძიების ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის გასული წლის შედეგები შეჯამდება და მიმდინარე წლის სამუშაო გეგმების პრეზენტაცია მოეწყობა. კონფერენციაში საქართველოს ხელისუფლების, პროგრამის დონორი ორგანიზაციის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. IFAD-ის პროგრამის შედეგებზე პროგრამით მოსარგებლე ფერმერული ასოციაციების წარმომადგენლები ისაუბრებენ. პროგრამა დუშეთის, ასპინძის, შუახევის, ამბროლაურისა და მიმდებარე რაიონების 430 სოფელში ხორციელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი, პარლამენტარი დავით საგანელიძე პაბსეკის სხდომაზე ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობის საპარლამენტო ასამბლეის (პაბსეკი) ეკონომიკის, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და ეკოლოგიის კომიტეტს საგანელიძე ორი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

# ყოფილი გენერალური პროკურორის დავალება ნაწილობრივ შესრულებულია

პირველი გვერდიდან

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, იმჟამად უკვე ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე მყოფმა გია ბარამიძემ საკუთარი და თავისი თანამშრომლების ღირსების დაცვა საპასუხო პრესკონფერენციაზე ოქრუაშვილის ტყუილებში გამოჭერით სცადა, ბოლოს კი "სახელისუფლებო გუნდის ერთიანობაში" განხეთქილების ნიშნების გამოჩენა უკრაინიდან ჩამოსულმა საქართველოს პრეზიდენტმა აღკვეთა: **ჩემს არყოფნაში მინისტრები ცელქობდნენო**. მიუხედავად პრეზიდენტის ხუმრობანარევი მცდელობისა, განემუხტა სიტუაცია, გენერალურ პროკურატურას ირაკლი ოქრუაშვილის მიერ წაყენებული ბრალდებების შესწავლა მაინც დაევალა. შედეგად კი აღმოჩნდა, რომ გია ბარამიძე ცდებოდა, როდესაც პრესკონფერენციაზე კოლეგა-შემცვლელს გენერალური პროკურორის მანტიის მოშორებისკენ მოუწოდებდა, – ციხეში ხალხის ჩასმა მისი საქმე აღარ არისო. გენერალურმა პროკურატურამ, მართალია, ოქრუაშვილის მიერ მოთხოვნილ ერთ თვეზე მეტი მოანდომა ყოფილი ხელმძღვანელის დავალების შესრულებას და არც მის მიერ წარდგენილი სრული ნუსხით უხელმძღვანელია ციხის საკნების შევსებისას, მაგრამ არც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ის და თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, კორუფციული ბრალდებით, მაინც აღმოჩნდნენ გისოსებში.



გუშინ გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ საზოგადოებას თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის ზურაბ ხუციშვილისა და თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის ხარისხის კონტროლისა და კომუნალური უზრუნველყოფის სამმართველოს ყოფილი ინსპექტორის გიორგი ხელოიშვილის დაკავების შესახებ ამცნო. ხუციშვილს, რომელსაც ბრალი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და სახელმწიფოსთვის ზარალის მიყენებაში წაუყენეს, სასამართლომ უკვე შეუფარდა წინასწარი პატიმრობა. კობერიძის განმარტებით, საქმე ეხება ქუთაისსა და ცხინვალის რეგიონში სამხედრო ყაზარმების რემონტის დროს თაღლითობის გზით თანხების მითვისებას.

რაც შეეხება ხელოიშვილს, კახა კობერიძის თქმით, ინსპექტორმა უშუალოდ შეამოწმა ყაზარმების რემონტის მდგომარეობა და ხელი მოაწერა აქტს, თითქოს ერთ-ერთი ყაზარმის რემონტისას 45 ათასი ლარის სამუშაო შესრულდა, რეალურად კი მხოლოდ 21 ათასი ლარის სამუშაოა შესრულებული.

გაგრძელდება თუ არა ამ საქმის გამო დაპატიმრებები, გენერალურ პროკურატურაში არ აკონკრეტებენ.

# კონტროლის პალატის დასკვნას კახეთის პოლიციის ორი თანამშრომელი შეეწირა

*კონტროლის პალატის დასკვნას კახეთის სამხარეო პოლიციის ორი თანამშრომლის თანამდებობა შეეწირა. კონტროლის პალატა რეგიონის პოლიციის შემოწმებას მას შემდეგ შეუდგა, რაც შემცირებაში მოყოლილმა პოლიციელებმა გასული წლების დავალიანება მოითხოვეს. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ მათი კუთვნილი ხელფასები სამხარეო პოლიციის მოლარეს ლიდა ზაალიშვილს ჰქონდა გატანილი. მან აღიარა ჩადენილი დანაშაული და სასჯელსაც იხდის. ამჯერად თელავის პროკურატურამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ეჭვმიტანილად ცნო და დააკავა სამხარეო პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური და კავშირგაბმულობის უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი ინსპექტორი ელდარ გიგიტელაშვილი. თელავში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა გიგიტელაშვილის დაჭერას აპროტესტებს. მათი განმარტებით, დანაშაულში მხილებული პოლიციის თანამშრომლები 38 ათას ლარს ხელმძღვანელების გარეშე ვერ მიითვისებდნენ. კონტროლის პალატის დასკვნაში სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსების თამაზ თამაზაშვილის და ზურაბ ტუშურის გვარებსაც შეხვდებით.*

ზვიად რუაძე
კახეთი

თელავის პროკურატურის მიერ დაკავებული ინსპექტორის ელდარ გიგიტელაშვილის მიერ "თავისუფლების ინსტიტუტის" თელავის წარმომადგენლებისთვის გაგზავნილ განცხადებაში ნათქვამია, რომ გამოძიება მის მიმართ ტენდენციურია. საქმე ეხება 2002 წლის აგვისტოში, მის მიერ შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან გამოტანილ 20 ათას ლარს, რომელიც სახელფასო დავალიანების დასაფარად უნდა გამოყენებულიყო. კონტროლის პალატის დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ გიგიტელაშვილმა კონტროლის პალატას ვერ წარუდგინა თანხის სალაროში ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუმცა, დანაშაულში ეჭვმიტანილი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გაგზავნილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ მან 20 ათასი ლარი ნამდვილად გამოიტანა და მოლარე ლიდა ზაალიშვილს გადასცა. ამის დასტურად, მას ის სავიზო შეტყობინება და 2002 წლის ბალანსები მოჰყავს, რომელსაც მოლარე და სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი, გენერალი ზურაბ ტუშური ხელწერილით ადასტურებენ. თელავის პროკურორის შალვა ცერცვაძის მტკიცებით კი, გიგიტელაშვილმა სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტა. **"მან, სამხარეო პოლიციის მოლარესთან შეთანხმებით, მიითვისა პოლიციელების სახელფასო დავალიანება - საერთო თანხა 38 ათასი ლარი,"** - ამბობს ცერცვაძე.

კონტროლის პალატის შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ ლიდა ზაალიშვილს სალაროს შემოსავალ-გასავლის ორდერებში, რომლებიც სამმართველოს ხელმძღვანელის მიერ ხშირად ხელმოუწერელი იყო, თარიღები და თანხები ამოფხეკილი და გადასწორებულია; აგრეთვე, ადგილი ჰქონდა მინდობილობების გარეშე, სხვა პიროვნებებზე ხელფასის გაცემას. კონტროლის პალატა თავის დასკვნაში არც იმას გამორიცხავს, რომ მოლარე ხშირად ახდენდა ერთი და იგივე დოკუმენტებით სალაროს გასავალში თანხების რამდენჯერმე ჩამოწერას.

2001 წლის საბუღალტრო მონაცემებით ირკვევა, რომ **"საბუღალტრო დოკუმენტში აღმოჩნდა 2000 წლის სახელფასო დავალიანებისა და სამსახურიდან გათავისუფლებულ პირთა კუთვნილი ხელფასების საანგარიშოსწორებო უწყისი, რომელზეც ხელს არ აწერენ თანხების მიმღები პირები, რის გამოც ვერ დადგინდა, სინამდვილეში გაცემულია თუ არა მასში მითითებული 42 ათასი ლარი, მაშინ, როცა სალაროს წიგნაკის გასავალში, ყოველგვარი გამამართლებელი დოკუმენტის გარეშე, მარტის თვეში ჩამოწერილა 20 ათსი ლარი. ამასთან, უკინძავ საბუღალტრო დოკუმენტებში აღმოჩნდა სახელფასო დავალიანების გაცემის დაუთარიღებელი და არარეგისტრირებული უწყისი 19 ათას 998 ლარზე, რომელშიც არ არის მითითებული, თუ რა პერიოდის დავალიანება მიიღო ამა თუ იმ პიროვნებამ; მეტიც - უწყისში გაცემულადაა დაფიქსირებული 1657 ლარი, 1400 კი - მიმღებთა მიერ ხელის მოწერის გარეშე,"** - აღნიშნულია კონტროლის პალატის დასკვნაში. 2001 წელს სამხარეო სამმართველოს სალაროდან შს რაიგანყოფილებებზე, ნაღდი ანგარიშსწორებით, სახელფასო დავალიანების დასაფარავად გაცემულია 39 ათასი ლარი, მაგრამ ამ თანხიდან 3 ათს 200 ლარი ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს რაიგანყოფილებებს, ფაქტობრივად, არ აქვთ მიღებული.

სალაროს გასავლის ორდერების გაფორმების გარეშე, ხორციელდებოდა სამმართველოს სალაროდან თანხების ჩამოწერა ერთიანი თანხით 2003 წელსაც. ამ წლის იანვრის თვეში წარმოდგენილი ხელფასის გაცემის უწყისის (დათარიღებულია 2002 წლის აგვისტოთი) ქსეროასლით, საგარეჯოს რაიონის რაიგანყოფილების თანამშრომელ ო. ბუჩუკურზე გაცემულადაა ნაჩვენები – 429 ლარი, მაგრამ მისი ხელის მოწერა არ ემთხვევა ვიზუალურად ბუჩუკურის სალაროს გასავლის ორდერზე დაფიქსირებულ ხელმოწერას. აღნიშნულ პიროვნებაზე გაიცა 426,2 ლარის რაოდენობის სახელფასო დავალიანება, მაგრამ, წინა შემთხვევის მსგავსად, უწყისზე ვიზუალურად არ ემთხვევა ბუჩუკურის ხელმოწერა. ამგვარი საბუთებით ო. ბუჩუკურზე სამ შემთხვევაშია გაცემულად ნაჩვენები სახელფასო დავალიანება, რომელმაც მთლიანობაში, დაახლოებით, 1 283,4 ლარი შეადგინა. იმავე წლის მონაცემებით ირკვევა, რომ მოლარეს მთელი რიგი დარღვევები აღმოაჩნდა დედოფლისწყაროს პოლიციის და სამხარეო სამმართველოს თანამშრომელზე გაცემული 10 თვის დახმარების შემთხვევაშიც.

ამ კონკრეტული დარღვევების გარდა, კახეთის სამხარეო პოლიციაში სხვა ფინანსურ მაქინაციებსაც ჰქონდა ადგილი, რაც, როგორც გაირკვა, ძირითადად 2001 წლიდან 2003 წლამდე ხდებოდა. ამ ყველაფერს კონტროლის პალატა თავის დასკვანში იმით ხსნის, რომ სალარო პერიოდულად არ მოწმდებოდა.

როგორც უკვევ აღვნიშნეთ, საბუღალტრო მაქინაციების გამო, პასუხისგებაში მიცემულია მოლარე ლიდა ზაალიშვილი, რომელმაც ყველა დანაშაული თავის თავზე აიღო. თუმცა, კონტროლის პალატის დადგენილებაში მინიშნებულია, რომ ამ ყველაფერში პასუხისმგებლები არიან - გენერალ-მაიორები თამაზ თამაზაშვილი, ზურაბ ტუშური და სამხარეო პოლიციაში იმ დროს მომუშავე სხვა პირებიც. რაც შეეხება ელდარ გიგიტელაშვილს, მის უდანაშაულობაში ეჭვი არც არასამათავრობო ორგანიზაციებსა და არც სამხარეო პოლიციას არ ეპარებათ. რეგიონში "თავისუფლების ინსტიტუტისა" და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთა განცხადებით, ლიდა ზაალიშვილი და ელდერ გიგიტელაშვილი, ხელმძღვანელთა თანხმობის გარეშე, ამხელა თანხას ვერ მიითვისებდნენ.

## მოკლედ

### ჩვილი ბავშვის გაყიდვაში ბრალდებულს შინაპატიმრობა შეუფარდეს

ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ ჩვილი ბავშვის გაყიდვაში ბრალდებული ბებიაქალი პატიმრობიდან გაათავისუფლა. ნანული ქენქაძეს შინაპატიმრობა შეეფარდა.

როგორც ბრალდებულის ადვოკატი ზურაბ ჯორჯიაშვილი აცხადებს, 64 წლის ნანული ქენქაძე მძიმე ავადმყოფია. მას სახსრების უმძიმესი დაავადება – კოქსართროზი და ოსტეოქონდროზი აქვს და განსაკუთრებულ მკურნალობას საჭიროებს. გარდა ამისა, ბებიაქალს ფსიქიურად დაავადებული შვილი ჰყავს, რომლის ერთადერთი მეურვე დედაა. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ადვოკატს მიაჩნია, რომ ქენქაძის პატიმრობა მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასაც საფრთხეს უქმნის.

შეგახსენებთ, რომ თბილისის N5 სამშობიარო სახლის ბებიაქალი ნანული ქენქაძე და 20 წლის ივლიტა ჯავახიშვილი სამართალდამცველებმა 10 თებერვალს ახალშობილის უკანონოდ გაყიდვის ბრალდებით დააკავეს. როგორც გაირკვა, ბავშვის დედამ და ბებიაქალმა ახალშობილი 900 დოლარად გაყიდეს.

*ინტერ-პრესი*

### ქრთამის აღების ფაქტზე კიდევ ორი მაღალჩინოსანი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს ხობის რაიონის მიწის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი რომან ჯგერენაია. ძალოვნების ინფორმაციით, სოფელ ხეთაში მცხოვრებ მოქალაქეს ჯგერენაიამ კარ-მიდამოს რეგისტრაციისთვის, ქრთამის სახით, 60 ლარი მოსთხოვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯგერენაის სამუშაო კაბინეტში გადაუდებელი ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება განახორციელა, რომლის დროსაც აუდიო-ვიდეო ფირზე დაფიქსირდა ჯგერენაიას მხრიდან ქრთამის აღების ფაქტი.

ქრთამის აღების გამო დააკავეს შს სამინისტროს იმავე დეპარტამენტის თანამშრომლებმა კოლეგა - შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის მთავარი სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსი თეიმურაზ შონია.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, შონიამ ფოთში მცხოვრებ მოქალაქეს, ქრთამის სახით, 600 ლარი გამოსძალა. აღნიშნული დანაშაული 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. როგორც გაირკვა, შონიას მიერ დაკავებულ თანამდებობაზე სახელფასო განაკვეთი 1000 ლარს შეადგენს.

*24 საათი*

### "სასამართლო პროკურატურის ზეწოლას განიცდის"

ქუთაისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, ფულის გამოძალვის მიზნით, ადამიანის გატაცების ორგანიზატორობის ბრალდებით დაკავებული არჩილ ახვლედიანი წინასწარ სამთვიან პატიმრობაში დარჩა. შეგახსენებთ, რომ ახვლედიანის დაკავების დღეს სამართალდამცველებმა გატაცებაში მონაწილე კიდევ ორი ეჭვმიტანილი დააკავეს. სამივე ბრალდებული ბათუმის იზოლატორში იმყოფება. არჩილ ახვლედიანს, რომელმაც სასამართლო დარბაზში თავი დაიჭრა, უკვე მეათე დღეა, მშრალი შიმშილობა აქვს გამოცხადებული.

ბრალდებულის ადვოკატის ეკა ბესელიას განცხადებით, ქუთაისის საოლქო სასამართლო, ისევე, როგორც ლანჩხუთის სასამართლო, პროკურატურის ზეწოლას განიცდის. "ახვლედიანი უკანონო პატიმარია, ვინაიდან არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მან მონაწილეობა მიიღო ადამიანის გატაცებაში", – ირწმუნება ადვოკატი.

არჩილ ახვლედიანის ინტერესების დამცველები გენერალური პროკურატურისგან საქმის გამოთხოვას და შესაბამისი ზომების მიღებას ითხოვენ.

*24 საათი*

### ფინანსურმა პოლიციამ მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ საქმე აღძრა

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის და სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩინოვნიკების წინააღმდეგ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. 2004 წლის იანვარში, შპს "ვუდ ენდ ტიმბერ კომპანის" სახელით, ხე-ტყის ექსპორტი განხორციელდა. ფინანსური პოლიციის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ყალბია დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც, ამ ფირმამ ხე-ტყის გატანის უფლება მიიღო. შპს-ს იტალიელი პარტნიორი, რომლის ხელმოწერაც დოკუმენტებზეა, ბოლო 7 წლის განმავლობაში საქართველოში არ ჩამოსულა. გარდა ამისა, წარმოდგენილია სსრკ-ს დროინდელი ბლანკები და შტამპი წარწერით "საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ოლქი". ამ ბლანკზე გაცემულია ცნობები ჯავის და ცხინვალის სატყეოდან, ასევე, გაფორმებულია ხელშეკრულება ცხინვალის სატყეო მეურნეობის თავმჯდომარესთან, ვინმე თედეევთან. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ხე-ტყის ექსპორტზე ნებართვა გასცა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ბაბუხადიამ. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ამ დოკუმენტებზე მცენარეთა დაცვის სამსახურს აქვს გაცემული, ხოლო წარმომავლობის სერტიფიკატის ორიგინალი - სავაჭრო-სამრეწველო პალატას.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებს და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# ენერგოკრიზისი

## საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა არ გააჩნია

*კრიზისი კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს – კვლავ ასეთია ოფიციალური პროგნოზი, რომლითაც ხელისუფლება, უკვე რამდენი ხანია, საზოგადოებას კვებავს.*

*მდგომარეობა, რომელსაც სხვას ვერაფერს დაარქმევ, თუ არა კატასტროფულს, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტამ გამოიწვია.*

*აშკარად გამოჩნდა, რომ მთელი ეკონომიკა ქვეყნისა, რომელსაც საკუთარი ენერგორესურსები არ გააჩნია, მხოლოდ ერთ ელექტროგადამცემ ხაზზეა ჩამოკიდებული.*

*თუმცა, აქვე არ შეიძლება არ შეინიშნოს ერთი "დამთხვევა". კერძოდ, როგორც კი ხელისუფლება დარგის რეაბილიტაციისთვის საგანგებო პროგრამებზე მუშაობას იწყებს, გაჭირვებულ დარგს თითქოს "ქვა აღმართში ეწევა" და ერთიმეორის მიყოლებით ითიშებიან ენერგოაგრეგატები და ელექტროგადამცემი ხაზები. განსაკუთრებით "ურჩობაში" რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი "კავკასიონი" შემჩნეული, რომელსაც საქართველო-რუსეთის ერთობლივი კომპანია "საქრუსენერგო" ოპერირებს.*

*არადა, საქართველოს ენერგოსექტორის რეაბილიტაცია, რასაც დარგის ფლაგმანი – ენგურჰესის გაჩერება სჭირდება, მეზობელი ქვეყნებიდან დენის იმპორტის განხორციელების გარეშე შეუძლებელია.*

*ასეა თუ ისე, ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული ენერგეტიკული მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა: საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა არ გააჩნია.*

*ამაზე ყველაზე ნათლად ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ქრონიკა მეტყველებს, რომელიც "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა", ტრადიციულად, შიდა დაკვირვების საწარმოებლად მოამზადა.*

*დღეს გთავაზობთ ამ ქრონიკის შემოკლებულ ვარიანტს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ენერგეტიკულად არამდგრადი ქვეყანა სრულიად დაუცველია. რაც მთავარია, ენერგოკრიზისი სოციალური უკმაყოფილების ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი გამაპირობებელი ფაქტორია.*

**27.03.05.** თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელმა გიორგი ხახნელიძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. ამის მიზეზი პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მისი მისამართით გამოთქმული უკმაყოფილება გახდა. საქმე ეხება რამდენიმე დღის წინათ წყლისა და ელექტროენერგიის მოთხოვნით ფონიჭალის მოსახლეობის მიერ ავტომაგისტრალის გადაკეტვას. მაშინ აქციაზე რაიონის გამგეობიდან მხოლოდ ერთ-ერთი წარმომადგენელი მივიდა. "გარდა ენერგოსექტორში შექმნილი პრობლემებისა, არსებობს კიდევ პრობლემები ჩვენი ჩინოვნიკების თავებში," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და იმის გამო, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, კერძოდ, ფონიჭალაში ელექტროენერგიის გათიშვის გამო მოსახლეობას ათი დღის მანძილზე სასმელი წყალი არ მიეწოდებოდა, ამ რაიონის გამგებლის გიორგი ხახნელიძის "სამაგალითო დასჯა" მოითხოვა.

**27.03.05.** თბილისში კვლავ ენერგოდეფიციტია, თუმცა "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკის ჩართვამ მდგომარეობა შედარებით გააუმჯობესა.

როგორც "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვალერი ფანცულაიამ განაცხადა, შეზღუდვა ამ ეტაპზე 80 მეგავატს შეადგენს, რის გამოც გამორთულია ქალაქის 15 პროცენტი. უბნების გამორთვა 4-5-საათიანი მონაცვლეობით მოხდება. ძნელდება გრაფიკის ზუსტად დაცვაც. 13 საათიდან 17 საათამდე გამოირთვება ქალაქის ცენტრი, რომლის სანაცვლოდ ჩაირთვება გლდან-ნაძალადევის რაიონის ნაწილი. უფრო რთული მდგომარეობაა რეგიონების ელექტრომომარაგებაში, სადაც დენი მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს მიეწოდება.

**27.03.05.** როგორც "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ შოთა მაისურაძემ განაცხადა, იმ ორ ანძაზე აღდგენითი სამუშაოების დაწყება, რომლებიც კოდორის ხეობის სოფელ ომარიშარადან 8 კმ-ის დაშორებითაა წაქცეული, ამ ეტაპზე შეუძლებელია. მისი თქმით, აქ თოვლის საფარი 14 მეტრს აღემატება და დაზიანებული ანძები მთლიანად თოვლშია მოყოლილი. ასე რომ, როდის შეძლებენ დაზიანების ადგილზე ტექნიკის მიყვანასა და სამუშაოების დაწყებას, ძნელი სათქმელია. რაც შეეხება პირველად დაზიანებულ ანძას, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, მასზე სარემონტო სამუშაოები 10 დღეში დასრულდება.

**26.03.05.** "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქუთაისის მომსახურების ცენტრი არგადამხდელი მომხმარებლების მიმართ ზომების გამკაცრებას იწყებს. ინდივიდუალური გათიშვები შეეხება იმ ფიდერებსაც, რომლითაც ე.წ. სასიცოცხლო ობიექტები მარაგდებიან და, ამის გამო, მიმდებარე ქუჩების მოსახლეობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება.

**26.03.05.** აზერბაიჯანიდან საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის შესაძლებლობა გამოირიცხა. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, საქართველოს აზერბაიჯანისადმი ელექტროენერგიის ძველი დავალიანება აქვს. ასევე, გაჩნდა ტექნიკური პრობლემაც. კერძოდ, აზერბაიჯანის მხარე არ თანხმდება საქართველოს ენერგოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში მუშაობაზე, რადგან უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს. რაც შეეხება თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს, როგორც მინისტრმა განაცხადა, მოლაპარაკებები თურქეთის მთავრობასთან უკვე დასრულებულია და 5 აპრილამდე აჭარის რეგიონი 50-60 მეგავატს მიიღებს.

**26.03.05.** "კავკასიონის" აღდგენის ვადები ჯერ კიდევ უცნობია. ხაზი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მოინახულეს. პრემიერის თქმით, ვიზუალური დათვალიერების შედეგად ცხადი გახდა, რომ ხაზის აღდგენა უახლოეს მომავალში გაჭირდება. ხელისუფლებას მხოლოდ სამშაბათს ექნება საბოლოო სამოქმედო გეგმა, თუ როგორ მოხდება აღნიშნული ხაზის რეაბილიტაცია.

**25.03.05.** "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკი ჩაირთო. ის ბუნებრივ აირს კომპანია "თბილგაზისგან" იღებს. სემეკმა გუშინ "თბილსრესისათვის" აირის ახალი ტარიფი დაანესა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკები "თბილგაზისაგან" 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს 145 ლარად მიიღებენ.

**25.03.05.** პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ენერგოშეზღუდვები კვლავაც გაგრძელდება. "ვითარების გამოსწორების იმედი უახლოეს მომავალში არ არსებობს, ვინაიდან ადგილზე არსებული რთული კლიმატური პირობების გამო "კავკასიონის" მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის აღდგენა ვერ ხერხდება. ასევე ვერ ხერხდება აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი," – აღნიშნა პრემიერმა. ამასთან, მისი თქმით, შეზღუდვები "კავკასიონის" ჩართვის შემდეგაც გაგრძელდება, რადგან დაგეგმილია "ენგურჰესის" გამორთვა. როგორც დღეს გახდა ცნობილი, გუშინ ჩაირთო "სალხინოს" ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის მეშვეობითაც საქართველოში 60 მეგავატი ელექტროენერგია შემოდის, თუმცა ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სისტემამ გამართულად იმუშაოს.

**25.03.05.** ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი უკმაყოფილო მოსახლეობა გუშინ "თბილგაზის" მარეგულირებელ სადგურში შეიჭრა. დაუდგენელმა პირებმა მესამე მასივში მდებარე "თბილგაზის" მარეგულირებელ სადგურში შეაღწიეს და ონკანები გახსნეს, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა ათიათასობით მომხმარებელი. მარეგულირებელ სადგურში მოსახლეობის შეჭრის მცდელობა დღესაც დაფიქსირდა, თუმცა ეს შემთხვევა აღიკვეთა.

**25.03.05.** ენერგოსისტემას თბილსრესის მე-3 ენერგობლოკი დღეს შეუერთდება. იგი დილიდან ტესტირებას გადის. ბლოკის სისტემაზე მიერთება ორი დღის წინათაც სცადეს, თუმცა მალე იგი ავარიულად გამოირთო. ბლოკის ჩართვით სისტემას 100 მეგავატი ელექტროენერგია შემატება. მას ბუნებრივი აირით "თბილგაზი" უზრუნველყოფს. მე-3 ბლოკს დღე-ღამეში 1 მილიონი კუბური მეტრი გაზი დასჭირდება. საღამოს ჩაირთვება ხრამ-2 ჰესიც.

**25.03.05.** მე-3 ენერგობლოკზე მიმდინარეობს ტესტირება და მისი სისტემასთან მიერთება საღამოსთვის იგეგმება. რაც შეეხება იმპორტს თურქეთიდან, ნიკა გილაურის თქმით, წინა მთავრობის დროს საქართველოს თურქეთის 70 მილიონი ლარის ოდენობის ვალი დაუგროვდა და აქედან გამომდინარე, იმპორტის დაწყება რთულდება.

**25.03.05.** წყლის დონის შემცირების გამო გაჩერდა ჰესი "ხრამი-2", რის გამოც ელექტროსისტემას 50 მეგავატი ელექტროენერგია მოაკლდა. შეზღუდულად მუშაობს "ხრამ-1". ხოლო ენგურჰესზე მხოლოდ ერთი აგრეგატია ჩართული. ენგურჰესი დღის განმავლობაში 100 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს; საღამოს პიკის საათებში კი - 180 მეგავატს.

**25.03.05.** 25 მარტს დილით დაიწყო 50 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი. რუსეთიდან დენი "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას "სალხინოს" ხაზით შემოაქვს. დენი აფხაზეთის ენერგომომარაგებას მოხმარდება, სანაცვლოდ კი ენგურჰესის მიერ გამომუშავებულ ენერგიას დანარჩენი საქართველო მოიხმარს.

**25.03.05.** კრიზისი კვლავ მძვინვარებს. როგორც "თელასში" განაცხადეს, დედაქალაქის 80-90 პროცენტი გამორთულია; ენერგია მიეწოდება მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს; კომპანია ფაქტობრივად სომხეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიაზეა დამოკიდებული, რომელიც "ალავერდის" ხაზის საშუალებით შემოდის; აღნიშნული ენერგიით მარაგდება ვაკის, საბურთალოს და დიდი დიღმის ნაწილია. მსგავსი ვითარებაა აგრეთვე რეგიონებშიც.

**25.03.05.** წალენჯიხის რაიონის ყველა სასწავლო და სამედიცინო დაწესებულება, უკვე მეორე დღეა, პარალიზებულია. მოსწავლეები, მათი მშობლები და მედპერსონალი უშუქობისა და უწყლობის გამო საპროტესტო აქციებს მართავენ და საავტომობილო გზა აქვთ გადაკეტილი. აქციის მონაწილეების თქმით, რაიონს უკვე მეორე თვეა, ელექტროენერგია არ მიეწოდება. წალენჯიხელები აცხადებენ, რომ შუქი დღეში ორი საათით მაინც რომ მიაწოდონ, ამითაც დაკმაყოფილდებიან.

**25.03.05.** თბილისში ვაზისუბნის მოსახლეობამ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა. მათ საავტომობილო გზა რამდენიმე საათის განმავლობაში გადაკეტილი ჰქონდათ. მათთან ერთად იმყოფებოდა თბილისის საკრებულოს წევრი, ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი გიორგი მოსიძეც. აქციის მონაწილეებს შეხვდა ისან-სამგორის რაიონის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი. მისი განცხადებით, იგი შეეცდება, "თბილგაზისა" და "თელასის" ხელმძღვანელობასთან შექმნილი ვითარება გაარკვიოს. ვაზისუბნის მოსახლეობას ბუნებრივი აირის მიწოდება 20 მარტს შეუწყდა, ელექტროენერგია კი, მესამე დღეა საერთოდ არ მიეწოდება.

**25.03.05.** თბილისში ზემო ფონიჭალის მოსახლეობამ ელექტროენერგიის და წყლის მოთხოვნით ცენტრალური გზატკეცილი გადაკეტა. მოსახლეობის თქმით, მათ უკვე ერთი კვირაა ელექტროენერგია არ მიეწოდებათ, შესაბამისად, შეზღუდულია წყლის მიწოდებაც. დასახლებაში შეწყვეტილია სწავლა სკოლასა და ბაღში, რადგან უწყლობის გამო ანტისანიტარიაა და შეუძლებელია სასწავლო პროცესის გაგრძელება. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის გამგეობა მოსახლეობის წყლის მომარაგებას ცისტერნებით აპირებს.

**25.03.05.** ქვეყანაში შექმნილი ენერგეტიკული კრიზისი პარლამენტში დაპირისპირების მიზეზი გახდა. ლენტეხში არსებული უმძიმესი მდგომარეობის გამო ფრაქცია "საქართველოს რეგიონების" სახელით დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი გამოვიდა. მისი თქმით, ტრანსფორმატორის აფეთქების გამო რაიონს 11 დღეა ელექტროენერგია არ მიეწოდება. ლიპარტელიანის თქმით, იგი ენერგეტიკის მინისტრთან დაკავშირებასაც შეეცადა, თუმცა ვერ შეძლო. დეპუტატმა პარლამენტში მინისტრის მისვლა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამორიცხა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება.

**25.03.05.** ყაზბეგის რაიონს ჯვრის უღელტეხილზე მაღალი ძაბვის ანძის დაზიანების გამო, თითქმის ერთი თვეა, ელექტროენერგია არ მიეწოდება. მისი აღდგენა კი, სპეციალისტთა განცხადებით, მხოლოდ თოვლჩამოსვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება ვლადიკავკაზიდან ელექტროენერგიის შემოტანით იყო შესაძლებელი, თუმცა სოფელ ლარსთან მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი დაზიანდა, მისი აღდგენისთვის საჭირო 50 ათასი დოლარის გამოყოფა კი ვერ მოხერხდა.

**24.03.05.** სემეკის თავმჯდომარე "თელასს" შანტაჟში ადანაშაულებს. "ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან "თელასის" კონფრონტაციას დამღუპველი შედეგები მოჰყვება," – ამის შესახებ გუშინ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განაცხადა. მისი თქმით, კომპანია "თელასის" წარმომადგენლების მიერ ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრების სახელზე გაგზავნილი წერილი შანტაჟის ხასიათს ატარებს და ენერგოსექტორისათვის დამღუპველ შედეგებს მოიტანს.

**24.03.05.** რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის 220-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი "სალხინო", რომელის აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის გამო ხმარებაში არ იყო, სავარაუდოდ, დღეს ღამით ჩაირთვება. სემეკმა "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ლიცენზია გაუგრძელა. კომპანიას შეეძლება, "სალხინოს" ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით რუსეთიდან 1 კვტ საათის ელექტროენერგია 2,6 ცენტად შემოიტანოს. რუსეთიდან დენის იმპორტი 50-60 მეგავატის ოდენობით იგეგმება, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის მომარაგებას მოხმარდება.

**24.03.05.** თუ საქართველოს ენერგოსისტემაში დამატებითი რესურსები არ გაჩნდა, კრიზისი კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს. ამის შესახებ დღეს "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადეს. ამჟამად ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისის გამო დღის საათებში ქვეყნის ენერგომომარაგება 250 მეგავატით, საღამოს საათებში კი 350 მეგავატით არის შეზღუდული. "ელექტროსისტემის" ინფორმაციით, გუშინ კომპანია "თელასმა" 6 355 000 კილოვატსაათი ელექტროენერგია მიიღო. "თელასის" მიერ პირდაპირი ხელშეკრულებით შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობა 4,892 ათას კილოვატსაათს შეადგენს.

**24.03.05.** თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში მკაცრი შეზრუდვები გრძელდება. იზრდება "თელასის" ქვესადგურებში უკანონო შეჭრის შემთხვევები, რომელიც მდგომარეობის უცვლელობის შემთხვევაში კიდევ უფრო სიტემატურ ხასიათს მიიღებს. "თელასი" ენერგეტიკის სამინისტროს მიმართავს, რადიკალური ქმედებების განხორციელებას სთხოვს. ამასთან, ინტერესდება, სად მიდის დენი, რომელიც მას პირდაპირი ხელშეკრულებით ეკუთვნის.

**24.03.05.** სემეკმა ენგურჰესს წარმოების ლიცენზიის შეჩერებაზე თანხმობა მისცა, რითაც მას სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით უფნება დართო, შეაჩეროს მუშაობა. ენგურჰესის გაჩერება უნდა შეთანხმდეს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან, ენერგეტიკის საბითუმო ბაზართან და სამთავრობო სტრუქტურებთან.

**24.03.05.** საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ შპს "ვარციხე-2005"-ს წარმოების ლიცენზია მისცა, რომლის თანახმადაც, მას ვარციხეჰესის საშუალებით ელექტროენერგის წარმოების უფლება მიანიჭა. ვარციხეჰესის კასკადი კომპანია "ჭიათურმანგანუმთან" ერთად მიმდინარე წლის დასაწყისში რუსულმა კომპანიამ "ევრაზჰოლდინგმა" შეიძინა.

**24.03.05.** ენგურჰესის გაჩერება, რომელიც მისი სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით მარტის ბოლოს, ან აპრილის დასაწყისისთვის იგეგმებოდა, შესაძლოა მომავალი წლისთვის გადაიდოს. საკითხი მაშინ გადაწყდება, რაც დაზუსტდება "კავკასიონის" ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენის ვადები.

**24.03.05.**. წალენჯიხის მოსახლეობამ ელექტროენერგიის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა. პარალიზებულია რაიონის ყველა სახელმწიფო უწყება, მათ შორის სკოლები და საავადმყოფოები. მათ დენი უკვე ერთი თვეა, რაც აღარ მიეწოდებათ, რის გამოც 24 მარტს საცხობების მუშაობაც კი შეჩერდა. შესაბამისად, მოსახლეობა პურს ვერ ყიდულობს. შეჩერებულია ბავშვების ვაქცინაციის პროცესიც, რადგან ექიმების განცხადებით, დენის გარეშე ისინი ვერ უზრუნველყოფენ ვაქცინების სათანადო პირობებში შენახვას.

**24.03.05.** თბილსრესის მე-3 ენერგობლოკი, რომელიც 23 მარტს ჩაირთო, სისტემაში მიერთებიდან 1 საათში კვლავ ავარიულად გამოირთო, რაც 220-კილოვატსაათიანი ამომრთველის დაზიანებამ გამოიწვია. დაზიანების შეკეთება რამდენიმე დღეს მოითხოვს. რაც შეეხება "კავკასიონის" ელექტროგადამცემ ხაზს, მისი აღდგენა კიდევ კარგა ხანს ვერ მოხერხდება, რადგან უკვე არსებული დაზიანებას დაემატა ახალი პრობლემაც. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, ზვავების გამო იქ კიდევ ორი ანძაა წაქცეული.

**23.03.05.** თბილსრესის მე-3 ენერგობლოკი 100 მეგავატი სიმძლავრით ჩაირთო. ბლოკის სისტემას საღამოს 7-8 საათისთვის მიუერთდა. რუსეთთან მაკავშირებელი "სალხინოს" ჩართვა, რომლის საშუალებითაც ენერგოსისტემაში აფხაზეთისთვის 50-60 მეგავატი ელექტროენერგია უნდა შემოვიდეს, კვლავ ფერხდება.

**23.03.05.** თბილისის ელექტრომომარაგება ფაქტობრივად მხოლოდ სომხეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიაზეა დამოკიდებული. "თელასში" ამბობენ, რომ სომხეთიდან იმპორტირებული 120 მეგავატი სიმძლავრის გარდა, რომლითაც ძირითადად ვაკის, მთაწმინდის და საბურთალოს რაონები მარაგდება, ელექტროენერგია თითქმის არავის მიეწოდება. თბილისის სხვა უბნებში ჩართულია მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები. დედაქალაქის სრულ ელექტრომომარაგებას 150 მეგავატის სიმძლავრე აკლია.

**23.03.05.** კატასტროფული ვითარებაა საქართველოს რეგიონებში, სადაც ელექტროენერგიას რიგ შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტებიც ვერ იღებენ. კრიზისი ჰიდრორესურსების კლებამ გამოიწვია, რის გამოც ჰესები თითქმის აღარ მუშაობს.

**23.03.05.** დღეს, უკვე მეხუთედ, იგეგმება თბილსრესის მე-3 ენერგბლოკის ჩართვა. ენერგეტიკოსები ზუსტად ვერ აცხადებენ, შეძლებენ თუ არა მე-3 ენეგობლოკის ენერგოსისტემაში ჩართვას და 110 მეგავატი სიმძლავრის მიღებას. თუმცა, თბილისი პიკის საათებში კვლავ შეზღუდული იქნება დაახლოებით 20-30 მეგავატით. იგეგმება "სალხინოს" ხაზით რუსეთიდან დაახლოებით 60 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის შემოატანაც. ხაზი დაახლოებით ორ დღეში ჩაირთვება.

**22.03.05.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალი ქვესადგურებში მოსახლეობის შეჭრის ფაქტებთან დაკავშირებით სამართალდამცველების რეაგირებას მოითხოვს. ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ბალანსზე მყოფ დუშეთის 110 კვ-იან ქვესადგურში მოსახლეობის შეჭრის სერია განახლდა. ქვესადგურში მივარდნის ფაქტებს ორგანიზებული სახე მიეცა. "ამაში მონაწილეობას უკვე დუშეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ დოლიშვილიც იღებს. ქვესადგურში მივარდნილი მოსახლეობა გუდაურის გამორთვის ხარჯზე დაბა დუშეთის ჩართვას მოითხოვდა," – ამბობენ კომპანიაში.

**21.03.05.** გამთენიისას ავარიულად გამოირთო მე-9 ენერგობლოკი, რომელიც იმავე დღეს ჩაირთო. მიუხედავად ბლოკის მუშაობისა, სისტემაში სიმძლავრის დიდი დეფიციტია. რაც მე-9 ენერგობლოკი სრული სიმძლავრით დაიწყებს მუშაობას, სავარაუდოდ, შემცირდება "ენგურჰესის" გამომუშავება, რათა ჰესის წყალსაცავში არსებული რესურსი საღამოს პიკისათვის დაიზოგოს. მე-9 ენერგობლოკის გაჩერების მიზეზი უცნობია, თუმცა, როგორც კომპანია "მტკვარი ენერგეტიკაში" აცხადებენ, ბლოკი ავტომატურმა ამომრთველმა გამორთო.

**19.03.05.** "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკი დღეს ჩაირთვება. "კავკასიონის" ჩართვა აპრილის დასაწყისში იგეგმება. თუმცა, შეზღუდვები მოსახლეობისთვის კიდევ სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება, რაც "ენგურჰესზე" დაგეგმილი სარემონტო სამუშაოებით იქნება განპირობებული. ხელისუფლება მოლაპარაკებებს აწარმოებს სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის გაზრდასთან დაკავშირებითაც.

**19.03.05.** საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში რამდენიმე დღის რესურსია დარჩენილი. სპეციალისტთა აზრით, თუ წყალსაცავებში არსებული წყლის რესურსი არ დაიზოგა, რამდენიმე დღეში საქართველო მე-9 ენერგობლოკის მიერ გამომუშავებული სიმძლავრისა და სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის იმედად დარჩება, რაც ჯამში 320 მეგავატს შეადგენს. ეს სიმძლავრე ქვეყანაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების მოსამარაგებლადაც კი არ არის საკმარისი. ელექტროენერგია შეუზღუდავად მხოლოდ სამრეწველო ობიექტებს მიეწოდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მდგომარეობა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოსწორდეს, თუ დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 5 გრადუსით მოიმატებს, ან წვიმის შედეგად ნალექები გაიზრდება.

**18.03.05.** თბილისის ელექტრომომარაგებას 20 მეგავატის სიმძლავრე აკლია, რის გამოც მომხმარებელს დენი პერიოდულად არ მიეწოდება. როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადეს, დღის საათებში იზოგება "ენგურჰესში" არსებული რესურსი, რაც ენერგეტიკოსებს შესაძლებლობას აძლევს, საღამოს პიკის საათის დროს ჰესის გამომუშავება მაქსიმალურად გაზარდონ.

**18.03.05.** ენერგეტიკოსები მესამე ენერგობლიკის ჩართვას ხვალ დილისთვის გეგმავენ. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა. მისი თქმით, დღეს საღამოს მესამე ენერგობლოკი ბუნებრივ აირს მიიღებს და ბლოკის ქვაბი დაენთება. "ბლოკის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას ენერგოსისტემა სავარაუდოდ, ხვალ დილისთვის მიიღებს.

**18.03.05.** საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული დეფიციტი "ვარდნილჰესის" ავარიულმა გამორთვამ გაამწვავა. ამის შესახებ საგანგებო პრესკონფერენციაზე საქართველოს ელექტროენეგრიის საბითუმო ბაზრის ოპერაციების მენეჯერმა ჯინ სვისკოუმ განაცხადა. მისი თქმით, "ვარდნილჰესზე" მომხდარი ავარიის გამო დღეს სისტემას დამატებით 50 მეგავატის სიმძლავრე დააკლდა, რამაც ისედაც არსებული მძიმე ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა. დღეს საღამოს საქართველოს ენერგოსისტემაში დეფიციტი სავარაუდოდ, 220 მეგავატი იქნება, აქედან 100 მეგავატით შეიზღუდება დედაქალაქი.

**18.03.05.** საქართველოს რეგიონებს ელექტროენერგია არ მიეწოდება, გათიშულია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტებიც. შექმნილი მდგომარეობის გამო არ მუშაობენ რაიონებში მოქმედი წყალგამანაწილებელი კომპანიები, რაც დიდ ქალაქებში, მაგალითად ქუთაისში უწყლობის მიზეზი გახდა.

**17.03.05.** დღეს ენერგეტიკოსები მესამე ენერგობლოკის ჩართვას ვარაუდობდნენ, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. საბითუმო ბაზარმა დღეს მოხმარებისა და განაწილების ახალი ლიმიტები დაამტკიცა, რომელთა მიხედვით, ელექტრომომარაგება მთელი საქართველოს მასშტაბით შეიზღუდება. მოთხოვნილი სიმძლავრის ნახევარს მიიღებენ "თელასი" და კახეთის ელექტროდისტრიბუცია. განსაკუთრებული შეზღუდვები იქნება აჭარის ენერგოკომპანიასა და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მომხმარებლებისთვისაც.

**17.03.05.** "თელასში" აცხადებენ, რომ ამჟამად თბილისის ელექტრომომარაგება 70 მეგავატით არის შეზღუდული, რის გამოც ელექტროენერგია არ მიეწოდება დედაქალაქის გარეუბნებს.

**17.03.05.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ტრანსფორმატორების თვითნებური მიერთებისა და ფილიალის თანამშრომლების დაშინების შემთხვევაში სამართალდამცველ უწყებას მიმართავს. მარტის თვეში, ენერგოკრიზისის გამწვავებისთანავე, მცხეთა-მთიანეთის ფილიალში მოსახლეობის მიერ ტრანსფორმატორების თვითნებური მიერთების და ფილიალის თანამშრომლების დაშინების შემთხვევები გახშირდა.

**16.03.05.** ენგურჰესის გაჩერება ოფიციალურად გადაიდო. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, ვიდრე "კავკასკიონი" არ ჩაირთვება, ენერგეტიკოსები "ენგურჰესს" ვერ გააჩერებენ, რადგან ქვეყანაში სერიოზული ენერგოკრიზი წარმოიქმნება. "კავკასიონის" აღდგენითი სამუშაოების დასრულებას მთავრობა აპრილის პირველ რიცხვებში ვარაუდობს. ამის გამო, "ენგურჰესის" გაჩერება ერთი კვირით გადაიდო.

**16.03.05.** საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებებს თურქეთთან აწარმოებს, საიდანაც საქართველო უახლოეს მომავალში დამატებით 50-55 მეგავატ სიმძალვრეს მიიღებს. გაზრდილია ელექტროენერგიის იმპორტი სომხეთიდანაც. პიკის საათებში საქართველოს ენერგოსისტემა ამ ქვეყნიდან 130 მეგავატ სიმძლავრეს იღებს. იგეგმება "თბილსრესის" მესამე ბლოკის ჩართვა, რომელიც დამატებით 100 მეგავატ სიმძალვრეს გამოიმუშავებს.

**14.03.05.** "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესაძლოა, 1 აპრილსაც ვერ დაიწყოს. როგორც "საქჰიდროენერგომშენის" გენერალური დირექტორის მოადგილემ მერაბ დავითაიამ განუცხადა, ფოთისა და ლილოს ტერმინალებში გაჩერებულია და განბაჟებას ელოდება თანამედროვე სტანდარტების სამშენებლო ტექნიკა, რომლითაც სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

**14.03.05.** "თბილსრესის" მესამე ენერგობლოკზე სარემონტო სამუშაოები დასრულდა და იგი ტესტირებას უახლოეს დღეებში გაივლის. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბუნებრივი აირის შესყიდვის თაობაზეც. ბლოკს ბუნებრივ აირს კომპანია "თბილგაზი" მიაწვდის.

**13.03.05.** სომხეთი მზად არის, "ენგურჰესის" რეაბილიტაციის პერიოდში საქართველოში ელექტროენერგიის ექსპორტი გაზარდოს. როგორც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა, 220 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის "ალავერდის" მეშვეობით შესაძლებელია, თბილისში 130-ის ნაცვლად 200 მეგავატი სიმძლავრე შემოვიდეს.

**10.03.05.** დღეს საღამოს თბილისის ელექტრომომარაგება შესაძლოა მნიშვნელოვანი შეზღუდვებით განხორციელდეს. ამჟამად "ენგურჰესის" მხოლოდ ერთი აგრეგატი მუშაობს, რის გამოც თბილისის სრულად დატვირთვას 60 მეგავატის სიმძალვრე აკლია. თუმცა, საღამოს საათებში დეფიციტი 100 მეგავატამდე გაიზრდება, რაც მომხმარებლების შეზღუდვას გამოიწვევს.

**10.03.05.** ენგურჰესში აგრეგატი დაზიანდა. ის ერთი კვირის განმავლობაში შეკეთდება, მანამდე კი, დღის საათებში საქართველოს ენერგომომარაგება შეფერხებით განხორციელდება. აგრეგატის დაზიანება ენგურჰესზე ტრანსფორმატორის მწყობრიდან გამოსვლამ გამოიწვია, რასაც ორი აგრეგატის გამორთვა მოჰყვა. ერთის ჩართვა მაშინვე მოხერხდა და საღამოს პიკზე თბილისი უკვე სრულად დაიტვირთა. მეორეს დაზიანების აღმოსაფხვრელად საჭიროა სარემონტო სამუშაოები, რომელიც დაახლოებით 15-20 მარტამდე გაგრძელდება.

**09.03.05.** ჰიდროელექტროსადგურებში არსებული წყლის მცირე რესურსის გამო საქართველოს ელექტრომომარაგება შეზღუდვით ხორციელდება. დედაქალაქს სრული ელექტრომომარაგებისთვის 30 მეგავატი სიმძლავრე აკლია. თბილისში 2-3 საათიანი მცოცავი გრაფიკია დაწესებული. რამდენიმე წუთით შეწყდა სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტიც. ძლიერი ქარის გამო, 220 კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "ალავერდის" პარამეტრები დაირღვა, რამაც ხაზის დროებით გამორთვა გამოიწვია. "ალავერდის" გამორთვის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა ვაკეს, მთაწმინდას, ვერასა და საბურთალოს ნაწილს.

**08.03.05.** "კავკასიონის" აღდგენა ამინდზე იქნება დამოკიდებული. "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილის შოთა მაისურაძის თქმით, ხაზზე დაზიანების ადგილი სპეციალისტებმა დღეს აღმოაჩინეს. "ანძა ზვავმა წააქცია. რემონტის დაწყებამდე დაზიანების ადგილამდე მისასვლელი გზების გაწმენდაა საჭირო. თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, სამუშაოები მარტის ბოლომდე დასრულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთიდან იმპორტის განახლება შესაძლოა აპრილის შუა რიცხვებამდე ვერ მოხერხდეს", - განაცხადა მაისურაძემ.

**08.03.05.** "კავკასიონის" დაზიანების გამო, ენერგოდეფიციტი საქართველოში კიდევ სამ კვირას გასტანს. ამის შესახებ საგანგებო პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. მისი თქმით, ხაზის რემონტს მინიმუმ სამი კვირა დასჭირდება. ქვეყნის მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებს როგორც აზერბაიჯანის, ასევე სომხეთის, რუსეთისა და თურქეთის მთავრობებთან, რათა ამ ქვეყნებიდან დამატებითი სიმძლავრეების შემოტანა მოხდეს. "ამ ქვეყნებიდან 70-80 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელებას "ენგურჰესის" გაჩერების პერიოდში, აპრილის დასაწყისში ვგეგმავდით, მაგრამ რადგანაც ქვეყანაში ფორსმაჟორული სიტუაცია შეიქმნა, იმპორტი, სავარაუდოდ, მომავალ კვირას დაიწყება", - აღნიშნა ნოღაიდელმა.

**08.03.05.** 110-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "გუდაური-2"-ის დაზიანების გამო ყაზბეგის რაიონს და გუდაურს ელექტროენერგია არ მიეწოდება. "სახელმწიფო ელექტროსისტემა" ხაზის აღდგენას დიდთოვლობის გამო ვერ ახერხებს. ხაზის აღდგენა სავარაუდოდ, 15 დღის განმავლობაში ვერ მოხერხდება, ამიტომ ამ პერიოდში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები ელექტროენერგიას კომპანიის მიერ ახლად აღდგენილი "დარიალჰესიდან" მიიღებენ.

**05.03.05.** "საქრუსენერგოს" სპეციალისტები ამ დრომდე ვერ ახერხებენ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" მომხდარი დაზიანების მიზეზის დადგენას. დედაქალაქის ენერგომომარაგება სომხეთიდან იმპორტირებული 160 მეგავატის საშუალებით, და მე-9 ბლოკზე გამომუშავებული 210 მეგავატით ხორციელდება.

**04.03.05.** მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "კავკასიონი" შესაძლოა, 10 მარტამდე ვერ აღდგეს. კომპანია "საქრუსენერგომ" "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადი გაგზავნა და აღდგენითი სამუშაოებისათვის დრო 10 მარტამდე ითხოვა.

**03.03.05.** დღეს, ამ კვირაში უკვე მეოთხედ, ავარიულად გამოირთო რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი". შედეგად, ელექტროსისტემას 350 მეგავატი სიმძლავრის იმპორტი შეუწყდა, ქვეყანას სიმძლავრე მოაკლდა და ენერგოკრიზისი დაიწყო. განსაკუთრებით მწვავედ ელექტროენერგიის დეფიციტი ქვეყნის რეგიონებზე აისახა.

როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები



B2

როდემდე?



B4

250 ათასი დოლარი... მანქანის გაჩერებისთვის



B8


# მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

გუთნისდედა — განა თვით ამ სიტყვაზე გული განუზომელი მოწიწებით არ გვეკუმშება? მერე რა, რომ ცხადად ვერ წარმოგვიდგენია, როგორ გამოიყურებოდა კაცობრიობის ისტორიის ეს ცნობილი პერსონაჟი. აი, მისი პორტრეტიც:

ჩახუთული ნისლიანი დილით ხნულს მიუყვება წაბლისფერი ხარი. მხარზე უღელი ადევს: უღელი ჯერ კიდევ საცნობია. მაგრამ რა მოსდევს უღელს, უკვე ძნელი გასარკვევია — ხელნაა, აპეურია თუ სხვა რამ ოხრობა, რითაც უახლოეს წარსულამდე ტვინს უნაგვიანებდნენ ქალაქელ ბავშვებს სწავლების პირველივე წლებში. ერთი სიტყვით, გუთნამდეც ვაღწევთ. ნელ-ნელა წვებიან გულაღმა პრიალა ბელტები, ჭრიალითა და ოდნავი სისინით იხსნება დედამიწის დასვენებული მკერდი. გუთანს ორი დაკუნთული ხელი დაჰყრდნობია და ხნულიდან ამოვარდნის საშუალებას არ აძლევს ერქვანს. ნუ მივაქცევთ ყურადღებას ამ ბოლო უცხო სიტყვასაც და მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ, რომ ეს ორი დაკუნთული ხელი სწორედ რომ საძიებელ გუთნისდედას ეკუთვნის.

აი, ისიც: გაოფლილი რეგვენი დაბალ შუბლს მიწებებული ყორნისფერი თმით. მაღალი ყვრიმალები უზნინავს და მოჭუტულ თვალებზე მოყირჭება ეტყობა. ერთბაშად ჩერდება, ქამრიდან ვეება სატევარს იძრობს და მოუთმენელი ოკრო-ბოკრო ნაბიჯით უახლოვდება ხარს. ცხოველის უკანასკნელ ზმუილს თბილი სისხლის თქრიალი ცვლის. ცოტა ხანში გუთნის ნამსხვრევებისგან აგიზგიზებულ კოცონზე ხარის ვეება ნაჭერი იხრაკება, ოდნავ მოგვიანებით კი გუთნისდედას პირიდან ჩამოსდის და ნიკაპზე ღვრება ნახევრად უმი ხორცის სისხლიანი წვენი. მან იცის, რომ ამისთვის ოცდახუთი შოლტი ელის, ისიც იცის, რომ მის შიმშილით სიკვდილს არავინ დაუშვებდა. და მაინც...

არა, ქართველი ამას არ იზამდა! — დამშვიდდით, ბატონებო, ეს არცაა ქართველი — გუარანის ტომის ინდიელია. საქართველოში კი არა, XVII საუკუნის პარაგვაიში ვიმყოფებით, გუთნისდედის ზნეობრივ სახეზე მზრუნველნი კი იეზუიტი მისიონერებია. მათ ასწავლეს "ველურებს" მიწათმოქმედება, აზიარეს სხვადასხვა ხელობას, მოაქციეს ქრისტეს რჯულზე, გააცნეს მეცნიერება, ხელოვნება და ცივილიზაციის საწყისები. და მაინც, საკმარისი იყო ყურადღების ოდნავი მოდუნება, მისიონერ მამათა ბრძანებისა თუ მითითების წუთიერი დაგვიანება, რომ გუარანის ინდიელები კვლავ უბრუნდებოდნენ თავიანთ ველურ ყოფას, ანუ მდგომარეობას, როცა ადამიანს საკვების გარდა სხვა ღირებულება არ გააჩნია.

შემდგომში მეცნიერები ბევრს მსჯელობდნენ, რატომ ხდებოდა ასე. მსჯელობის შედეგად კი იმ აზრამდე მივიდნენ, რომ იეზუიტი მისიონერები მექანიკურად ასწავლიდნენ ინდიელებს ყოველივეს, მაგრამ არ აჩვევდნენ გადაწყვეტილების მიღებას, მათ მაგიერ თვითონ ფიქრობდნენ და მუდმივ მრჩეველთა და ზედამხედველთა როლს ვერ ელეოდნენ.

დღეს კი ჩვენს ირგვლივ წამდაუწუმ ისმის: "სიტყვასიტყვით თარგმნილი და მექანიკურად გადმოტანილი კანონები არ შეეფერება ჩვენს სინამდვილეს!", "ჩვენს ძირძველ ტრადიციებს წალეკვით ემუქრებიან!", "უნარ-ჩვევების ტესტი ქართულ სინამდვილეს არ ითვალისწინებს!" და ა. შ. მაგრამ ყოველივე ამას ერთი საგულისხმო გარემოება ახლავს: **ყველა ვინც დასავლური ღირებულებებისა და ქართული სინამდვილის შეუთავსებლობაზე ლაპარაკობს, უნებურად გუარანის ტომის ველურებთან გვაიგივებს**.

150 წლის ოპერის თეატრი, 85 წლის უნივერსიტეტი... ნუთუ არავითარი კვალი არ დაუტოვებია ამას? ნუთუ მართლა ასეთი გადაულახავი უფსკრულია ჩვენსა და დასავლეთს შორის. საკმარისია ოდნავ მოდუნდეს მონიტორინგი, რომ იმწამსვე საწყალი პარაგვაელი "წიქარას" ბედს იზიარებენ ევროპული და ამერიკული ტრანშები და კრედიტები, საკმარისია ოთხიოდე წლით მაინც დაიგულო კანონმდებლის მანდატი და იმწამსვე ცნობილი იგავის, "ქილა ერბოს" სიუჟეტი ჩნდება ცნობიერებაში, ოღონდ ერბოს მაგიერ სუბუტექსი უნდა იგულისხმო, საკმარისია კანონი შენს ცხოვრებას უშუალოდ შეეხოს, იმწამსვე კარგავს ყოველგვარ ღირებულებას და უსამართლობად ფასდება...

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



არ მინდოდა, ნამდვილად არ მინდოდა სამედიცინო კოლეჯის თემაზე წერა. მაგრამ, როგორც ეტყობა, მომიწევს.

"24 საათმა" გასული კვირის განმავლობაში საკმაო ადგილი დაუთმო ამ თემას — კლასიფიკაციისთვისაც კი კმარა. ლამის ყოველდღე იბეჭდებოდა მოვლენათა მეტ-ნაკლებად დაწვრილებითი ქრონიკა როგორც უშუალოდ კოლეჯის სტუდენტთა შიმშილობის ადგილიდან, ასევე სამინისტროდან და პარლამენტიდან (**დალი კუპრავას**, **ზაზა ფაჩუაშვილის**, **გიორგი ასანიშვილის** მასალები); არის პუბლიცისტური გააზრების ცდები (25 მარტი, **ნინია კაკაბაძის** სვეტი); არის რეალობის პოლიტიკური გამოყენების ცდები (23 მარტი, **ზურაბ ნოღაიდელის** მხარდაჭერა **ალექსანდრე ლომაიასადმი**, **აკაკი ასათიანისა** და ძმათა მისთა *განცხადება*, პარლამენტარ **დავით ზურაბიშვილის** ინტერვიუ); ბოლოს და ბოლოს, პროცესის პროფესიული თვალთახედვით ანალიზიც დაივიწყეთ (25 მარტი, **გიორგი შაქარიშვილი**, *ღია მიმართვა...*).

საინტერესოა ჩვენი პოლიტიკოსებისა და მათთან გათანაბრებული პირების მიდგომა კანონისადმი. მაგალითად, 23 მარტის განცხადების ავტორები შემდეგს მოითხოვენ: **"შექმნილი ვითარებიდან გამოსავლად მიგვაჩნია განათლების კანონში გარდამავალი დებულების დამატება, რომელიც კანონით გათვალისწინებული ერთიანი გამოცდის ჩატარებასთან ერთად სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებს საშუალებას მისცემს სასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით მიიღონ სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე კურსზე ჩარიცხვის უფლება"**. გახსოვთ, როგორ ძვრებოდა ბარონი მიუნჰაუზენი მთვარეზე? — თოკი რომ აკლდებოდა, ქვემოდან აჭრიდა და ზემოდან აბამდა. აი, ამას გვთავაზობენ აკაკი ასათიანი და სხვები. არც კანონის რაობის გათვალისწინება, არც სამედიცინო განათლებისადმი ზოგადი მოთხოვნების ცოდნა... რა საჭიროა? ისეც შეიძლება...

კიდევ უფრო საინტერესოა დავით ზურაბიშვილის მოსაზრება საერთო ეროვნული გამოცდის შესახებ: **"მომხრე ვიყავი, რომ თავიდან ეს გამოცდები ქვეყნის მასშტაბით კი არ ჩატარებულიყო, არამედ მხოლოდ კორუფციის მაღალი ალბათობის ფაკულტეტებზე — იურიდიულზე, სამკურნალოზე, იქ, სადაც დიდი კონკურსია"**. მართალია, ყოველგვარი ანალოგია მოიკოჭლებს, მაგრამ ეს წინადადება შეიძლება ასე გავიგოთ: **"მარცხენა მხრის საგზაო მოძრაობიდან მარჯვენა მხრის საგზაო მოძრაობაზე უფრო ეფექტური და უმტკივნეულო გადასვლისთვის გადაწყვეტილია საწყის ეტაპზე მარჯვენა მხრის მოძრაობა შემოღებულ იქნეს მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სატვირთო ავტომობილებისთვის"**.

მაგრამ დავით ზურაბიშვილის შემდგომი განცხადება კიდევ უფრო საინტერესოა: **"რეფორმა მაშინ არის წარმატებული, თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერს მხარს"**. ნეტა რა აზრი აქვს ამ კონტექსტში სიტყვას "მნიშვნელოვანი"? როგორც ეტყობა, უმრავლესობის წევრი დეპუტატი აქ რაოდენობრივ მახასიათებელს გულისხმობს. მაგრამ საიდან აქვს დეპუტატს იმის გარანტია, რომ საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა რეფორმის წინააღმდეგია და მაინცდამაინც სამედიცინო კოლეჯის მოშიმშილე სტუდენტებს უჭერს მხარს? ალბათ პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის მიერ იქნა ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა! ხუმრობა იქით იყოს და უმრავლესობის წევრის ეს განცხადება საგულისხმოდ ეხმიანება, მაგალითად, "მემარჯვენეებისა" და "წინ საქართველოს" კლიშეს: ალექსანდრე ლომაია — არაპოპულარული მინისტრი. რას ნიშნავს, ნეტავ?

ეს უკვე კარგა ხანია ავითვისეთ: ამათ ვერაფერს გაუგებ. ახლა პროფესიონალებს მივხედოთ. აქ ნამდვილად ამოისუნთქებს ადამიანი: გიორგი შაქარიშვილი 25 მარტს პრობლემის ნამდვილად მრავალმხრივ და ზედმიწევნით დასაბუთებულ განხილვას გვთავაზობს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი: **"დღეს საქართველოში ყოველ დაკავებულ საავადმყოფო საწოლზე საშუალოდ 3-8 ექიმი მოდის. რამდენად დიდია შანსი, რომ მათი** (კოლეჯის სტუდენტების — *ნ. ლ.*) **პროფესიული არჩევანი პრაგმატულად სწორია?"**. კიდევ მრავალი საინტერესო ინფორმაცია მოიპოვება ამ წერილში, საბოლოო აზრი კი შემდეგია: როგორც უახლოეს წარსულში მეტრეველის თსუ-ს, ასევე დღეს ხეცურიანის სამედიცინოს არსებითი მიზანი მისი მმართველი ადმინისტრაციის მატერიალური კეთილდღეობაა და არა ქვეყნის საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მაგრამ რის ხარჯზე შეიძლებოდა შექმნილიყო ამგვარი მდგომარეობა? ჯერ სხვა საკითხს შევეხოთ. დავით ზურაბიშვილი გვეუბნება: **"გაქვს უსამართლობის განცდა, იბრძვი უსამართლობის წინააღმდეგ და ვიღაცის თვალში გმირიც კი ხარ. ამას 16-17 წლის ახალგაზრდა ასე ადვილად არ დათმობს. თუ ის ამაზე წავიდა, მერე ეშხშიც კი შედის"**. ამას ყურადღება უნდა მიექცეს: როგორ უნდა შეფასდეს ამ ახალგაზრდების ნაბიჯი? განა თავგანწირვა უცილობლად სიმამაცის ან ზნეობრივი არჩევანის მაჩვენებელია? — ნუთუ არ ვიცით, რამდენჯერ ქცეულა თვითმკვლელობის მოტივად სიკვდილის შიში? იქნებ მართლაც ადვილი ჩანს ამის თქმა (თუმცა არც ძალიან ადვილია), მაგრამ სამედიცინო კოლეჯის სტუდენტთა შიმშილობაში მე მხოლოდ სიმხდალეს ვხედავ...

რატომაა, რომ ქართველი ახალგაზრდები არ უპირისპირდებიან მამათა ღირებულებებს? რატომ ეშინიათ დამოუკიდებელი არჩევანის? რატომ ეშინიათ, ჰქონდეთ ბიოგრაფია? — სწორედ საკუთარი ბიოგრაფიის შიშია ეს შეძახილი: "არ გვინდა დავკარგოთ წლები". პარადოქსი აშკარაა: მათ საკუთარი სიცოცხლე იმისთვის დააყენეს საფრთხის ქვეშ, რომ ეს სიცოცხლე მაქსიმალურად უსაფრთხო და სტანდარტული იყოს, ზედმიწევნით შეესაბამებოდეს წინასწარ მოცემულ მოდელს. ასეთი სიცოცხლე ნასესხებიც არაა — ნაჩუქარია. მშობლებისგან ორგზის სურთ სიცოცხლის საჩუქრად მიღება: ერთხელ ფიზიკურად, მეორეჯერ — ეგზისტენციურად. უსაფრთხოება, კმაყოფილება და პრესტიჟიც ისევე მუქთად და შეუმჩნევლად უნდათ, როგორც სუნთქვის უნარი მიიღეს ოდესღაც...

გიორგი შაქარიშვილი წერს: **"ბუნებრივია, სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვა მათ საბოლოო მიზანს არ წარმოადგენს. საბოლოო მიზანი ექიმის პროფესიის შეძენა და ამავე პროფესიით მუშაობაა"**. აი, აქ კი ცდება ბ-ნი შაქარიშვილი, ეტყობა, საკუთარი საზომით ზომავს: როცა პროფესია (ეს ლათინური სიტყვა აღმსარებლობას ნიშნავს) მართლაც პროფესიაა და არა სხვა რამის სარჩული ან საფარველი, ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანებმა შეიძლება ამ ცნების შინაარსი დაამახინჯონ, უფრო ზუსტად კი შინაარსისგან დაცალონ იგი, უბრალო სიმბოლოდ, სიტყვიერ ნიშნად (ექიმი!), ფარატინა იარლიყად აქციონ.

მაგრამ ეს ხდება, ხდება ძალიან ადვილად და ყოველ ნაბიჯზე. რატომ? — იმიტომ რომ პროფესიონალთა ცხოვრებაში აზრი ბატონობს, პროვინციალთა ცხოვრებაში კი მითი. რას ვგულისხმობ ამ სახელის ქვეშ? — იმ მდგომარეობას, როცა ნიშნები და სიმბოლოები რეალობის ადგილს იკავებენ, რეალობას ანაცვლებენ და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. აი, ასეთ მითოლოგიურ პერსონაჟადაა ქცეული ჩვენში ყოფითი და უკიდურესად პროზაული სიტყვა "სტუდენტი". ხომ იცით, რა იგავთმიუწვდენელი ვნებათაღელვის საგანია ეს სიტყვა, რამდენი ცრემლი იღვრება და რამდენი ფული იხარჯება ამ იარლიყის მისაღებად. და მერე, როცა ნანატრი სოციალური სტატუსი მიღწეულია, ლამის ცაში აჰყავთ მისი მატარებელნი: "ჩვენი სტუდენტობა!", "სტუდენტები ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილია!" და ა. შ. მაგრამ არაფერი ისე ადვილად არ ხურდავდება, როგორც პრესტიჟი, ჰოდა სტუდენტობაც ადვილად იქცევა უსიტყვო გარიგების საგნად მშობლებსა და რექტორატს შორის: შენ იხდი ფულს, მე კი ექვსი წლით ადგილს ვუძებნი შენს ნაშიერს...

სწორედ ამიტომ იქმნება პარადოქსული მდგომარეობა, როცა რეალური ახალგაზრდები მითოლოგიურ მიზანს საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ესწრაფვიან, როცა დამოუკიდებლობის უმაღლეს ზომას — საკუთარი სიცოცხლის განკარგვას — იმისთვის მიმართავენ, რომ სამუდამოდ უარი თქვან დამოუკიდებლობაზე და მორჩილად ჩაეწერონ მათთვის სხვების მიერ შეთხზულ სცენარში. ახლა უფრო გასაგებ ელფერს იძენს დავით ზურაბიშვილის მიერ გამოყენებული გამოთქმა: "საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი". უმნიშვნელო ნაწილი მითებით იკვებება, მნიშვნელოვანი მითების თხზვითაა დაკავებული.

ამიტომაც ასე ძნელად მიიწევს წინ ჩვენი ცხოვრების გუთანი. უნებურად ჩნდება აზრი: "ეჰ, გაიჩინე ახლა კოჟრები ამასთან ჭიდაობით, მერე კიდევ თესლი ჩაყარე, მერე კიდევ რამდენიმე თვე უცადე სანამ ამოვა..." ჰოდა, უნებურად გაგექცევა თვალი ნაჩუქარი ნიკორას, ლაბასა თუ წიქარას ნაპატიები ფერდებისკენ. ჯანი გავარდეს, განა უფრო ადვილი არაა: გამოსჭერ ყელი და აქვე გუთნის ნამსხვრევებზე შეწვი ცვრიანი მწვადები. მისიონერი მამები ისევ გამოგიგზავნიან ხარსაც და გუთანსაც. მათ არ დააკლდებათ, ოცდახუთი შოლტისგან კი, აბა, ვინ მომკვდარა...

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის განცხადება

2005/2006 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით აბიტურიენტებისათვის ღია კარის დღე გაიმართება სამშაბათს, 29 მარტს, 13 საათზე აკადემიის საქტო დარბაზში.

ღია კარის დღე განმეორდება ყოველ მომდევნო სამშაბათს, მითითებულ საათზე.

რექტორატი

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# მშვიდობით, ოქროს საწმისო!



როგორც მწერალი დათო ტურაშვილი იტყოდა, ვერ დავიბრუნეთ ოქროს საწმისი. ასეა, ბატონებო! ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ესეებში ვხვდებით ჩინებულ კონცეფციას, - "კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება ბერძნების მიერ სიმბოლურად უნდა გავიგოთ, როგორც მისტერიალური ცოდნის წაღება, რომელიც ადრე დაჰკარგეს ბერძნებმა და იმ დროისთვის მხოლოდ კოლხეთში იყო შემორჩენილი".

და მართლაც 26 მარტს არა მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივრები ელოდნენ სულმოუთქმელად, ეს გახლდათ ქართველების მოლოდინი, რაღაც სიმბოლურთან გაზავებული და მისტიკასთან დაკავშირებული.

19 საათი და 45 წუთი. ქალაქი ქაოსში ეხვეოდა, ავტომობილები წითელზე არ აჩერებდნენ, ფეხით მოსიარულენი უჩვეულოდ სწრაფად გადიოდნენ მეტრებს. ლოგიკურია, ვინ სტადიონისკენ, ვინ სახლისა თუ მეგობრების მისამართების მიმართულებით - ტელეეკრანებისკენ.

ჩვენთან, ფეხბურთის ყურებისას, ლუდს და მარილიან თხილს ამჯობინებენ. ჩვენთან უჩვეულოდ ივსება ხოლმე 30 ათასზე მეტი ადგილი იქ, სადაც საუცხოო ენერგეტიკას ჭარბობს.

და 26 მარტსაც, მაშინ, როცა ცოცხლად შესრულდა ახალი ჰიმნი და მწვრთნელმა "ჩუპა-ჩუპსს" გაუსინჯა გემო, პირველი გოლიც გავიდა. მერე რაც მოხდა, ყოველი თქვენგანისთვის ცნობილია; აჟიტირებული კომენტატორები ყველაზე ხშირად ამბობდნენ, ბურთი ჩვენიაო, მაგრამ... არ ეძინა მედეას!

გადამწყვეტი საფეხბურთო მატჩის დროს ჩემი მეგობარი გოგონები სეირნობას და კაფეებში ჯდომას ერიდებიან. მიზეზი მარტივია - ასეთი ფეხბურთის დროს ქუჩაში და კაფეში ღირსეული ყმაწვილები არ შეგხვდებიან. მართალია! რა მოსაწონია ასეთი ბიჭი?! რომელი ჭკუათმყოფელი მიუჯდება "ცეზარის სალათს" კაფეს მაგიდასთან, როცა ოქროს საწმისისთვის იბრძვის მთელი ქვეყანა?!

მაგრამ იქვეა მეორე, რადიკალურად განსხვავებული აზრი, - ბოლო წლების მაჩვენებლების მიხედვით, მხოლოდ უკანასკნელ ოპტიმისტებს სწამთ გამარჯვება. ასეთი შემთხვევა თუკი გამოერია, იმ ღამით ძილი არ უწერია ჩვენ პატარა ქალაქს.

თბილისისგან განსხვავებით, საბერძნეთის დედაქალაქი, ათენი, დიდი და მხიარული ხალხით დასახლებული ქალაქი გახლავთ. მარჯვნივ ზევსის ნანგრევები, მარცხნივ ათინას გულში ჩაკრული ბაირონი. ტურისტების ათვლის წერტილი - აკროპოლისი და აგორას მთა. ყველაზე პროგრესულს მაინც ერთ უბანს ვუწოდებდი - პლაკა, ათენის "ეპიცენტრი" და ქალაქის ხელისგულის ბედნიერების ხაზი: ვიწრო ქუჩების, ღია კაფეებისა და სუვენირების მაღაზიების სტიქია. პლაკა ძველ თბილისს მოგაგონებთ, მაგრამ თავშეკავებულობა აკლია, ისე როგორც, მართალია, მართლმადიდებლურ, მაგრამ პომპეზურობაშეპარულ ეკლესიებს. ასეთები კი ბლომად მოვინახულე ათენიდან რამდენიმე საათის სავალზე, - დესფინა, იტეა... გალაქსიდი. ბერძნებმა შობა 25 დეკემბერს გადაიტანეს. თბილი კლიმატით განებივრებულებს, დროსტარებაზე შეყვარებულებს და მატერიალურად უზრუნველყოფილებს, დღის ბოლოს ისღა დარჩენიათ, თეფშები დაამტვრიონ, ისეთივე თავშეუკავებლობით, როგორც ერთ დროს მთელ მსოფლიოს მოედო ბერძნული მითოლოგია.

როგორც ადგილზე გავარკვიე, თანამედროვე ბერძნული კულტურა არასახარბიელო მდგომარეობაშია. ჩემი რესპონდენტები აღმოჩენებსა და წინ გადადგმულ ნაბიჯებზე ვერ საუბრობდნენ. აღმოჩნდა, რომ ერთ დროს მსოფლიო გემოვნების განმსაზღვრელ ქვეყანას დღეს აღარ აღელვებს თანამედროვეობაში მომწიფებული კითხვები, ვთქვათ, ასეთი: თავად ჰომეროსს თუ სწამდა იმ ღმერთების, ასე რომ მოგვახვია თავს? ან რამდენი წლის არის დღეს ახალგაზრდა აპოლონი?

ვგრძნობ, სიბრაზემ გადაწონა ჩემი პოზიცია და კარგს ვერაფერს ვიხსენებ საბერძნეთში გატარებული ვოიაჟიდან. ასეთი კი ბლომად იყო. მარტო ბამბის მოსავლის აღება რად ღირს?! ბოშების სოფელსა და ზეთისხილის პლანტაციებზე რომ არაფერი ვთქვა... მაგრამ სხვა ტკივილის ქვეყნიდან ვარ! იქიდან, საიდანაც ერთ დროს გაიტაცეს ოქროს საწმისი და ამ შემთხვევაში იაზონის ფათერაკებიან თავგადასავალსაც ველარ აღვიქვამ პოეტურად.

მეც მაქვს ჩემი, მცირე ერის განცდები, რომელიც ისე გაუშინაურდა მარცხებს და წაგებებს, როგორც ბერძენი ბავშვები - ქართველ ძიძებს.

26 მარტს სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი აგინებდა და სტვენით იკლებდა საბერძნეთის ნაკრებს. მინდა მჯეროდეს, რომ 25 ათას მაყურებელში რამდენიმე მაინც ერია ისეთი, ვინც კიდევ ერთხელ დაადანაშაულა მედეა, - შვილების მკვლელობისთვის კი არა, - ღალატისთვის... რომ ჩვენ კიდევ ერთხელ დავკარგეთ შანსი "მისტერიალური ცოდნის" დაბრუნებისა.

# გადარჩება საუკეთესო

## თეატრი რეფორმის ზღვარზე

სოფო კილასონია

27 მარტს თეატრის საერთაშორისო დღე იყო. მინდოდა მეთქვა - ვიზეიმეთ, ან, უბრალოდ, აღვნიშნეთ, თუმცა ქართულ თეატრს, როგორც ჩანს, მისთვის არ ეცალა. ჩვენი პატარა და დიდი თეატრები, რომლებმაც მართლაც თავი მოგვანატრეს, რეფორმას ელიან და საკმაოდაც განიცდიან. ყველა სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც იმედიანი ეჭვით უმზერს მერიას, რომელმაც გარდაუვალი საქმე წამოიწყო და ამ ეტაპზე იმ მოდელს არჩევს, თუ როგორი დაფინანსება შესთავაზოს თბილისში მომრავლებულ თეატრალურ დაწესებულებებს და რა მოახერხოს, რომ მათთვის გაღებულმა დახმარებამ ბევრად უფრო ეფექტურად იმუშაოს. მერიის ამ ინიციატივის შესახებ უფრო კონკრეტულად ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილს ვესაუბრეთ.

**- რა სიახლეს უმზადებს მერია თბილისის თეატრებს?**

- მე მგონი, საერთო აზრი და კონსენსუსია მთელ ქვეყანაში იმასთან დაკავშირებით, რომ დაფინანსების სისტემა არაეფექტურია. ჩვენ ვაფინანსებთ ცამეტ თეატრს, მაგრამ ცამეტივე ამბობს, რომ ამ ტიპის დაფინანსება მათ არ ჰყოფნით. ამიტომ მთელი საზოგადოება ერთ რამეზე უნდა შეთანხმდეს: მოვიფიქროთ დაფინანსების ისეთი მექანიზმი, რომელიც გადაარჩენს იმას, რაც მართლა ღირებულია, მაგრამ იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ახალ, კონკურენტუნარიან გარემოში რაღაცები და ვიღაცები ისეთ დაფინანსებას, როგორსაც იღებდნენ, ვეღარ მიიღებენ, მაგრამ შეიძლება დაფინანსება მიიღოს ისეთმა თეატრმა, რომელიც აქამდე საერთოდ არაფერს იღებდა, მაგალითად, სარდაფი. მესმის, რომ თეატრალური საზოგადოება დიდი სიფრთხილით, ზოგჯერ კი ეჭვითა და კრიტიკით ეკიდება ამ ახალ ინიციატივას, მაგრამ სანერვიულო არაფერია, თუ ვლაპარაკობთ ქართული სცენისა და თეატრის გადარჩენაზე. ჩვენ ერთი რამ უნდა გავაცნობიეროთ. მე ვთქვი უბრალოდ იდეა, ვთქვი, - მოდი, დავიწყოთ ამაზე დისკუსია! იდეა, რომელიც წამოვაყენე, აღმოჩნდა, რომ გერმანული მოდელია. ეს არ ვიცოდი. ჩემი ფუნქციაა დავუძახო ამ ხალხს და თვითონ თეატრალურმა საზოგადოებამ გადაწყვიტოს, როგორი მოდელი დაეხმარება ქართულ თეატრს.

**- უფრო კონკრეტულად, როგორია ის რეფორმა, რომელსაც თქვენ სთავაზობთ თეატრების ხელმძღვანელობას?**

- მოდელი ასეთია. მაგალითად, მე საერთო სალაროში რაღაც ფასად ვყიდი ბილეთს. ეს არ იქნება მხოლოდ ბილეთი, არამედ ეს



იქნება ვაუჩერიც, რომელიც დარჩება თეატრში. თეატრი მას უკან მოგვიტანს მუნიციპალიტეტში. ვინ რამდენ ბილეთს მოგვიტანს, იმის მიხედვით დავაფინანსებთ. ერთი მოიტანს ათს, მეორე - ათასს. ეს მეორე მეტ დაფინანსებას მიიღებს. ერთი სიტყვით, ჩვენ ხელს შევუწყობთ იმას, რომ თეატრებმა იფიქრონ, რაც შეიძლება მეტი მაყურებელი მოიზიდონ. შეიძლება იყოს სპექტაკლები, რომელსაც ბევრი მაყურებელი არ ჰყავს, თუმცა, სხვა რაღაცით იყოს მნიშვნელოვანი. მაგრამ ერთ რამეზე შევთანხმდეთ: რაც მართლა ღირებულია, მას ყოველთვის ჰყავს მაყურებელი. მე ვერ დავიჯერებ, რომ დღეს ძალიან კარგად დაიდგას "ანტიგონე" და მაყურებელი თეატრში არ მივიდეს. განსაკუთრებულ გამონაკლისებს, თუ ასეთი იქნება, ბუნებრივია, გავითვალისწინებთ. არის კიდევ ერთი: თუ სპექტაკლზე მაყურებელი არ დადის, რითი იზომება მისი ღირებულება?

ამ კითხვაზე პასუხი ერთდროულად მარტივიცაა და რთულიც. მარტივი იმიტომ, რომ თეატრალური წარმოდგენა მაყურებლის გარეშე წარმოუდგენელია და სათანადოდ შემფასებელის ვინაობაც ცხადია, თუმცა აკადემიური თეატრების მუშაობისას მრავალი კარგი სპექტაკლი მახსოვს, რომელზეც დარბაზი ნახევრად ძლივს ივსებოდა. შორს რომ არ წავიდე, გავბედავ და, შესაძლოა, შეუფერებელ, მაგრამ მაინც ლოგიკურ შედარებას მოვიტან: ამ ბოლო წლებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში ბევრი ისეთი კონცერტი და საღამო მოწყობილა, მათ "ღირებულებაში" ეჭვს ვერ შეიტანდი, თუმცა, მათ მაყურებელი და მსმენელი არ ჰყოლია. ეს მარტივი ასახსნელია. "ღირებულებებსა და ფასეულობებს" ყველა თავისებურად ირჩევს და განმარტავს. მაგრამ ჭეშმარიტად საუკეთესო ალბათ ყველასთვის საუკეთესოა. ყოველ შემთხვევაში, გვინდა ამის გვჯეროდეს.

■ ■ ■

ფაქტია, რომ თეატრების დაფინანსების სისტემამ რეფორმა უნდა განიცადოს. კონკრეტულად როგორი იქნება ის, ჯერ სათანადო მონახაზი ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა, თბილისის მერი გვპირდება, რომ თეატრალებთან ერთად საუკეთესო მოდელი შეირჩევა. ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი წლის თეატრის დღე, იქნება იგი ქართული თეატრის დღესასწაული - 14 იანვარი, თუ თეატრის საერთაშორისო დღე - 27 მარტი, ლამაზად და ღირსეულად აღინიშნება.

# მთვარე, რომელზეც მეტი სინათლეა

## სპექტაკლი-აქცია ვაკის სარდაფში

სოფო კილასონია

*"ჩვენ ყველაფერს გადავიტანთ, ჩვენ ყველაფერს მოვითმენთ, მაგრამ ამ ყველფერს ხომ აქვს თავისი საზღვარი? ჩვენ გავქრებით, წავალთ, გადავიხვეწებით, მაგრამ რა პასუხს გასცემთ სხვას, სხვა თაობას?" - ეს ის სიტყვებია, რომელსაც რეჟისორი და ამჟამად უკვე პიესის ავტორი ლევან წულაძე ზურა პაპუაშვილის ენით ამბობს. სპექტაკლის საკვანძო ადგილის აღმნიშვნელი სიტყვები ერთადერთი არ არის, რომელიც მაყურებელს კარგად ამახსოვრდება და რომლის შემდეგაც დამსახურებულ აპლოდისმენტებს არ იშურებს. 25 და 26 მარტს ვაკის თეატრალურ სარდაფში გაიმართა პრემიერა ახალი სპექტაკლისა "სხვა მთვარე".*

მაინც როდის იწყებს რეჟისორი წერას? - **მაშინ, როცა ტკივილი გროვდება, დიდი ტკივილი.** მიპასუხა ბატონმა ლევანმა სპექტაკლის შემდგომ. ტკივილით შექმნილ პიესასა და, შესაბამისად, სპექტაკლს მაყურებელი სიცილითა და სიამოვნებით უცქერს. ეს ის პირობაა, რომელსაც ეს რეჟისორი ყოველთვის ითვალისწინებს, რათა წარმოდგენა მუდამ სავსე დარბაზის წინაშე გაიმართოს. თუმცა, ახალი სპექტაკლი იმაზე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სიცილისა და სიამოვნების მომგვრელი თეატრალური სანახაობა. პირველი სპექტაკლი თეატრალური სარდაფისა, რომელიც მძაფრად აქციური ხასიათისაა, ერთი დიდი კითხვის ნიშანია, რომელსაც ამ ახალ წარმოდგენაში საზოგადოება და სახელმწიფო უსვამს სიტყვას "**თეატრი**".

"სხვა მთავარე", ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელშიც რეჟისორს ის რეალობა გამოაქვს, რომელიც მაყურებლისთვის კულისებში იმალება, ხოლო თავად თეატრისთვის პრემიერიდან პრემიერამდე არსებული ჩვეულებრივი მოვლენა და ყოფაა. პიესა, რომელზეც ორმოქმედებიანი წარმოდგენა აიგო, იმ ყველაფერზეა, რაც ქართული თეატრის დღევანდელობაში მოიაზრება, ანუ უპასუხო კითხვები, ბრძოლა არსებობისთვის, ბრძოლა ნანატრი როლისთვის, ბრძოლა კარგი პრემიერისთვის, მომავლისა და დაფასებისთვის. თუმცა, სანამ ეს ყველაფერი მკაფიოდ დაიხატება, სხვა აუცილებელი მოვლენები თამაშდება სარდაფში. იწევა ფარდა და სცენაზე ახალი სცენა, ხოლო თეატრში სხვა თეატრი იბადება. თეატრი, რომელსაც ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ნამდვილი, სისხლსავსე თეატრივით იარსებოს: ახალგაზრდა დრამატურგი, დაღლილი რეჟისორი, უნიჭო და ნიჭიერი, ნებიერი და დაჩაგრული მსახიობები, მუსიკალურ-მხატვრულ-ქორეოგრაფიულ გაფორმებათა ოსტატები და, რაღა თქმა უნდა, ძუნწი და კერპი ბუღალტერი.

ხანმოკლე ილუსტრირება გმირებისა და წინ, პირდაპირ რეალობაში. თეატრალური ინტრიგები, წარსული რომანები, მუდმივი ფლირტები და მზადება პრემიერისთვის. მაშინ, როცა სახელმწიფო ასოთხმოცი გრადუსით აქცევს ზურგს "თეატრს სცენაზე", რეჟისორი ისეთი სპექტაკლის გამოშვებას გადაწყვეტს, რათა უზენაესთ საკუთარი არჩევანი ანანებინოს. თუმცა, ეს წამოწყება არცთუ ისე იაფი უჯდება დასსა და მის ხელმძღვანელობას.

"ამბავში, რომელშიც საცოდავი და გაუბედურებული თეატრი სპექტაკლის დადგმას ლამობს, რათა გული მოულბოს საკუთარ მთავრობას", თეატრის სამსჯავრო იმართება. განა ულირს საზოგადოებას თეატრის "შენახვა"? გადაშენდეს თუ გააგრძელოს მათხოვრული არსებობა? - კითხვებს, რომლებიც კითხვებად რჩება, შიგადაშიგ თეატრალების მონოლოგები ენაცვლება და იმ მსახიობთა პორტრეტები იკვეთება, რომლებიც მაშინ დაიბადნენ, როცა "წვიმდა და მას შემდეგ გადაუღებლად წვიმს". ამიტომ უკვე ათი წელია, იმ როლებს ელოდებიან, რომლებზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდნენ, მაგრამ ამაოდ. ზოგიერთი მათგანი სცენაზე ჩემოდნების შეტანა-გატანითაც კმაყოფილია. თუმცა, ისინი ხანდახან მაინც ბედავენ და სვამენ კითხვას: "მაინც როდის გადაიღებს?" ერთადერთი ნათელი წერტილი და ხსნა თეატრისთვის, რომელსაც სარდაფი ნელ-ნელა წყლით ევსება, პრემიერაა: სპექტაკლი - ან გადარჩენა, ან სიკვდილი. ამ ყველაზე მძიმე და რთულ მომენტებში მსახიობები, რომლებიც ერთი შეხედვით დაცლილნი არიან ყველანაირი ემოციისა და



რომანტიკისგან, ფანტაზიებს ეძლევიან და ენთუზიაზმს მაინც იჩენენ. მაინც სჯერათ, რომ იქნება სულ სხვა მომავალი, რომ არსებობს სულ სხვა მთავრე, სადაც ყველაფერი მშვენიერია, რეალობა კი - ბევრად უფრო თბილი.

იმის მიუხედავად, რომ სპექტაკლი ძალიან ლამაზადაა "შეფუთული" (ამაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის შოთა გლურჯიძის სასცენო მხატვრობას), ბოლო სცენები მაინც განსაკუთრებით გამოირჩევა. ჩვენთვის ავანსცენა ფარდის უკან არსებული სივრცეა, სადაც რეჟისორი სცენაზე გამავალ საკუთარ მსახიობებს აცილებს. ფარდის იქით მოჩანს მათი სცენა და მაყურებელთა მეორე დარბაზი, რომელიც ჩვენს პარალელურად "ბატონი ვახტანგის" (რეჟისორის) სპექტაკლს უმზერს. წარმოდგენა მთავრდება, "სხვა მთვარის" მსახიობები სცენის სიღრმეში დგანან და მათი დარბაზიდან წამოსულ ოვაციებს იღებენ. ჩვენს სცენაზე კი მხოლოდ რეჟისორი რჩება, მხოლოდ მისი გულისცემა ისმის. დასასრულს ერთი პატარა ალეგორიაც იწყება. ფრთიან მუზებად და თეატრის სულებად გადაქცეული მთელი დასი ახალ სპექტაკლზე იწყებს მუშაობას.

"სხვა მთვარე" ერთობ დინამიკური და ხალისიანი სპექტაკლია (ტექნიკური რეჟისორი ნინო ჟორჟოლიანი). ცოტა, მაგრამ მაინც არის ადგილები, რომლებიც შეიძლება ზედმეტად მოგვეჩვენოს. მაგალითად, ახალგაზრდა დრამატურგის თხრობა და ფრაზები შინაარსით, თუ რა საოცარია თეატრი, ან როგორი უცნაური და მკაცრი ყოფილა იგი სინამდვილეში. თუმცა, რეჟისორს და მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ გამფორმებელთ: ზურაბ გაგლოშვილსა და გია მარღანიას არ ავიწყდებათ მაყურებლის სუსტი მოთმინების ფაქტორი და რიტმული მოძრაობა-ჰანგებით აფხიზლებენ მას.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ მსახიობთა შესრულება. თამარ კაპანაძის კოსტიუმებში გამოწყობილნი სიმღერ-სიმღერით (კონსულტანტი ვოკალში - ნათია აზარაშვილი) მართლაც არაჩვეულებრივად ასრულებენ საკუთარ ანუ მსახიობთა როლებს. კონკრეტული, ცნობადი ტიპაჟებისა თუ ზოგადი სახეების შექმნისას, იქნება ეს ზურა პაპუაშვილი (რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენ მრავალმხრივია მისი არტისტული შესაძლებლობები), ბარბარე დვალიშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, მანანა კაზაკოვა, ეკა ანდრონიკაშვილი, კახა აბუაშვილი, დავით ხურცილავა თუ სხვა, ისინი მთლიანობაში მშვენიერ სამსახიობო გუნდს ქმნიან, რომელიც ნებისმიერ რეალურ თუ არარეალურ სცენას დაამშვენებდა.

მაყურებელი მართლაც რომ აღფრთოვანებული დარჩა წარმოდგენით და ძნელი იქნება მას არ გავუგოთ. მილოცვები და საუბრები სარდაფის შესასვლელში თუ მასთან ახლოს კარგა ხანს გაგრძელდა. ამიტომაც მუდამ კვამლში გახვეულ კაფე-ფოიეს ჩვენც შევუერთდით და თავად რეჟისორსაც გავესაუბრეთ. **"ყველაფერი რომ დაიქცეს, ჩვენ ჩვენს ჩემოდნებს სცენაზე მაინც შევიტანთ და გამოვიტანთ. საქართველოსთვის თეატრი აუცილებელია. მეჩვენება, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სპექტაკლი ბევრად უფრო მძაფრი იყო. მოგვიანებით შევამსუბუქეთ, ისიც მაყურებლი დავინდეთ და ამიტომ, ჩვენი წუწუნი ავარიდეთ. რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა თეატრმა ბრძოლა დაიწყო გადარჩენისთვის. უცებ მივხვდით, რომ რაღაც ზღვარს მივაღწიეთ. ჩვენი არსებობის თვალსაზრისით, ამაზე მეტი არასდროს იქნება. მეტს ვერაფერს გამოვწველით ამ ორ უბედურ დარბაზს. ჩვენც რომ სპექტაკლის გმირებივით გარდავიცვალოთ, სხვა განზომილებაში მაინც განვაგრძობთ საქმიანობას - ჩვენ ხომ სხვა არაფრის კეთება არ ვიცით. თუმცა, სპექტაკლის ბოლოს პერსონაჟების სიკვდილი ალეგორიაა იმისა, რომ თეატრი შეიძლება გარდაიცვალოს მანამ, სანამ ყურადღებას მიაქცევენ."**

"სხვა მთვარეს", რომელიც ზოგადად თეატრის დღევანდელობასა და გაურკვეველ მომავალზეა, მჯერა, მაყურებელი არ მოაკლდება. ახალგაზრდები მასზე დასასწრები ბილეთის შეძენას ერთმანეთს დაასწრებენ, თუმცა ის ნამდვილად არ ვიცი, რა პასუხს გასცემენ კითხვებს, რომელსაც რეჟისორი ლევან წულაძე სიცილ-სიცილში დაუსვამს: - თეატრზე, ხელოვნებაზე და იმ საზოგადოებაზე, რომელსაც ვეღარ გაურკვევია, უნდა თუ არა ხელოვნება, რომელსაც თეატრი ჰქვია. თეატრს, რომელსაც წინ დიდი რეფორმა ელის, ერთადერთი გადაარჩენს - სიყვარული და ოცნება მომავალზე, სულ სხვა მთვარეზე, რომელზეც ყველაფერი ბევრად უფრო ნათელია.

# სარდაფის მეგობრები

დღეს თეატრალური სარდაფი 2005 წლის მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობას გამოაცხადებს.

მზრუნველთა საბჭო 2004 წელს ჩამოყალიბდა და ის არის იმ ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც ფინანსური ან არაპირდაპირი გზით თეატრს განვითარებაში ეხმარება.

"ჩვენ მივმართეთ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც გამოირჩევიან კულტურის მიმართ მეცენატობით, ან სპონსორობას უწევენ მას. მიმართვაში ეწერა: "მოგმართავთ თხოვნით, გახდეთ მზრუნველთა საბჭოს წევრი 2005 წელს და დაეხმაროთ თეატრს განვითარდეს, გამოუშვას სპექტაკლები, განახორციელოს გეგმები, საერთაშორისო პროექტები, დარჩეს ქართული კულტურული ცხოვრების ავანგარდში და თავისი შემოქმედებით არა მარტო წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში, არამედ საერთაშორისო აღიარება მოუტანოს მას", - თეატრალური სარდაფის მესვეურების თქმით, მიმართვას ყველა გამოეხმაურა, თუმცა დადებითი გადაწყვეტილება ყველამ ვერ მიიღო. სარდაფის წლევანდელი მეცენატები, ისინი, ვინც 2005 წელს მზრუნველობას გაუწევენ "სარდაფს", დღეს გახდებიან ცნობილი. დღეიდან თეატრის ყველა საინფორმაციო-სარეკლამო სივრცე მზრუნველთა საბჭოს წევრი ორგანიზაციების (ან კერძო პირების) დასახელებითა და სიმბოლოთი დაიტვირთება. "თეატრალური სარდაფი მადლობას უხდის ყველას, ვინც თეატრს შარშან დახმარება გაუწია, მათ გარეშე, ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრება წარმოუდგენლად რთული იქნებოდა", - ნათქვამია "სარდაფელების" განცხადებაში.

ამჟამად, თეატრალური სარდაფი აგრძელებს თეატრალურ წარმოდგენებს ქალაქ რუსთავში. დღეს რუსთავის სახელმწიფო თეატრში მსახიობები ითამაშებენ ჟან-ჟაკ ბრიკერისა და მორის ლესაგის მიხედვით ოთარ ეგაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში "ინსტინქტი".

## პროტესტი უგანდაში



ცნობილი ბრიტანელი მუსიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ბობი გელდოფის მოწოდებამ უგანდის პრეზიდენტის წინააღმდეგ, ამ ქვეყნის მოსახლეობაში მღელვარება გამოიწვია. ასობით მოქალაქე გამოვიდა კამპალაში (უგანდის დედაქალაქი) იმისათვის, რომ ქვეყნის საშინაო საქმეებში ბობი გელდოფის უხეში ჩარევა გაეპროტესტებინათ.

აფრიკის საქმეებში ბრიტანეთის კომისიის ანგარიშის პრეზენტაციაზე გელდოფმა განაცხადა, რომ უგანდის პრეზიდენტს იოვერი მუსევინის სიცოცხლის ბოლომდე აქვს გადაწყვეტილი ქვეყნის პრეზიდენტობა. "ტონი ბლერს სურს მესამედ იყაროს კენჭი და არც არავინ აკრიტიკებს მას ამის გამო. ჩვენ გვინდა თავად გადავწყვიტოთ, რა გზით უნდა ვიაროთ; ჩვენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოვდივართ", - ასეთია აქციის მონაწილეთა ზოგადი პათოსი.

უგანდაში ამჟამად მიმდინარეობს კამპანია საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, რათა მუსევინის, რომელიც 1986 წლიდან ამ ქვეყნის პირველი პირია, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდეს. არჩევნები მომავალი წლის დასაწყისშია დაგეგმილი.

რაც შეეხება გელდოფს, როგორც მუსიკოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას შეეცვალა სიღარიბისა და შიდსის წინააღმდეგ მებრძოლი უგანდის პრეზიდენტისადმი დადებითი დამოკიდებულება. "თქვენი დრო წავიდა", - განაცხადა გელდოფმა.

## U2-მ იღბლიანები შეკრიბა



ცნობილი გახდა მათი ვინაობა, ვინც ევროპაში Vertigo ტურნეს გახსნის. ინგლისური Athlete, რომელმაც ახლახანს გამოსცა რიგით მეორე სტუდიური ალბომი, ირლანდიელი ვარსკვლავების კონცერტზე მანჩესტერსა (15 ივნისს) და ლონდონში (18 ივნისს) გაახურებენ აუდიტორიას; ნიუ იორკული Interpol კი, U2-ს გლაზგოში გაჰყვება (21 ივნისს).

სულ Vertigo ტურნეში ცხრა მუსიკალური კოლექტივი ფიგურირებს. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა ამ სიაში არიან: Kings Of Leon, Keane, Snow Patrol, Franz Ferdinand, The Killers, Razorlight და Paddy Casey.

ბილეთები ევროპულ საზაფხულო 30 შოუზე ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისთვის გაყიდულია.

# საერთო დღესასწაულის ორმაგი სტანდარტი

## თეატრის საერთაშორისო დღე მსოფლიოსთან ერთად და ერთმანეთის გარეშე

ია ვეკუა



წლევანდელ თეატრის საერთაშორისო დღეს - 27 მარტს ქართული თეატრალური საზოგადოება ორად გაყოფილი შეხვდა. შესაბამისად, ორივე ფლანგი საკუთარ წიაღში აღნიშნავს დღეს, რომელიც მსოფლიოს ათასობით თეატრალისა და მილიონობით მაყურებლისთვის წლის განმავლობაში საყვარელ ხელოვნებასთან მიახლოების ერთჯერადი საშუალებაა.

როგორც მსოფლიო თეატრის მემატიანე იუწყება, მიუხედავად იმისა, რომ თეატრის მუზა ათასობით წლისაა, ეს დღე პირველად 1961 წელს იზეიმეს. თუმცა, არსებობს მეორე ვერსია, რომლის თანახმადაც 27 მარტის აღნიშვნა ერთი წლის დაგვიანებით დაიწყეს. კალენდარში 27 მარტი კი იმ უბრალო მიზეზით შეარჩიეს, რომ 1957 წლის სწორედ ამ დღეს პარიზში თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო თეატრალური სეზონი გაიხსნა.

1961 წელს ვენაში თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის XI კონგრესი გაიმართა, რომელზეც დაადგინეს, რომ ორგანიზაციის საქმიანობა "ერთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცებისა და მსოფლიოს ხელოვანთა ურთიერთთანამშრომლობისკენ" უნდა ყოფილიყო მიმართული (ამისთვის კი აუცილებელი იყო წითლად აღნიშნული დღე კალენდარში). ასეთ ჰუმანურ მოწოდებას, ცხადია, არც საბჭოთა კავშირი დაუტოვებია გულგრილი და 1961 წლიდანვე გაერთიანდა მსოფლიოს საერთაშორისო ინსტიტუტის რიგებში.

წლევანდელი 27 მარტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული რეჟიმით აღინიშნა. მაგალითად, დუბაიში პირველად იზეიმეს და ადგილობრივი თეატრალები სხვადასხვა ნომინაციაში დააჯილდოვეს. რუსეთში კი რამდენიმე დღეა, რაც მეთერთმეტე ფესტივალი "ოქროს ნიღაბი" მიმდინარეობს. მასში ქვეყნის 13 ქალაქის 43 კოლექტივია წარმოდგენილი. ფესტივალი 1994 წლიდან იმართება და საგანმანათლებლო სემინარების, მასტერკლასებისა და მრავალრიცხოვანი მრგვალი მაგიდების ჩამთავრების შემდეგ წლის საუკეთესო მსახიობებს, რეჟისორებსა და თეატრის სხვა მოღვაწეებს საზეიმოდ აჯილდოებენ.

27 მარტი საქართველოში ნაკლები პომპეზურობით აღინიშნა. თეატრის მოღვაწეთა კავშირი, როგორც ყოველთვის, მოკრძალებულია და ზედმეტი ხარჯებისგან თავის არიდების პოლიტიკა არჩია. გუშინ აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში (სწორედ იქ, სადაც კავშირია დისლოცირებული) კიდევ ერთხელ მიმართეს შემოქმედებითი საღამოების კარგად აპრობირებულ პრაქტიკას და წევრებს კონცერტით მიესალმნენ.

არანაკლები სიმშვიდით გამოირჩეოდა კავშირისგან ცოტა ხნის წინ გარიდებული და ავთო ვარსიმაშვილის მიერ თეატრალთა ცალკე გილდიად ფორმირებული შემადგენლობა. "თავისუფალ თეატრში" იმავე ვარსიმაშვილის "კომედიანტების" მორიგი ჩვენება გაიმართა. სპექტაკლის დაწყების წინ კი საზეიმოდ გამოაცხადეს, რომ მსოფლიო თეატრის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდა.

როგორც ჩანს, ავთო ვარსიმაშვილი ფინანსებსა და ძალებს მომავალი პროექტებისთვის ინახავს. მაის-ივნისის მიჯნაზე მისი გილდია ურეკის თეატრალური ფესტივალისთვის ემზადება. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ფესტივალზე არა მხოლოდ ქართული, არამედ შავი ზღვის აუზის ქვეყნების კოლექტივებიც მიიღებენ მონაწილეობას. რუსთავის "ოქროს ნიღბისგან" განსხვავებით, სპექტაკლებს არ უჩვენებენ, საუკეთესოთა შორის საუკეთესოების დაჯილდოების ცერემონიალი კი ზღვის სანაპიროზე, თვითმფრინავის ანგარში გაიმართება. ეს ორიგინალური გადაწყვეტილება იმანაც გამოიწვია, რომ, როგორც აღმოჩნდა, ურეკში არ არის მსგავსი ცერემონიალისთვის შესაფერისი დარბაზი.

ყველაზე საინტერესო სანახაობა კი წინ გველოდება. ქართული თეატრის დღის - 14 იანვრის აღნიშვნას გიგა ლორთქიფანიძის კავშირი და ავთო ვარსიმაშვილის გილდია ცალცალკე აპირებენ...


ისარგებლეთ ლაი-ლაი & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი“-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარმოადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 2

ლაი-ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | ლაღიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ღუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |


ბიძინა მაყაშვილის სვეტი

# როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები



## მაგნიტოფონი

პირველი მაგნიტოფონი, რა თქმა უნდა, კლასელის უფროს ძმასთან ვნახე. თავიდან სანახავად (და არა მოსასმენად) რომ მივედით, დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ძალიან დიდი იყო - დაახლოებით "ხრუშჩოვკა" ბინის პატარა ოთახის ხელა. ამ "ხრუშჩოვკების" აშენება თავის დროზე გადაწყვიტეს 20-წლიანი გარანტიით, მაგრამ ისინი დღესაც შემორჩნენ ყოფილი სსრკ-ს ქალაქებს. თავისთავად, მათი აშენების იდეა იმით იყო გამართლებული, რომ უამრავი ხალხი გამოვიდოდა ე.წ. "კომუნალკებიდან" და საკუთარი ბინის ხიბლს იგრძნობდა.

ამ დროს კი დასავლეთში საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ კომუნებს უბრუნდებოდა. კალიფორნიის მზე და ბუნება საშუალებას აძლევდა ყვავილების თაობას მთელი ოჯახებით პირველყოფილი ცხოვრებით ეცხოვრა. ოღონდ, წინაპრებისგან განსხვავებით, რომლებიც კოცონის გარშემო შემომსხდარები დასარტყმელების რიტმებით კმაყოფილდებოდნენ, ჰიპები იმავე კოცონთან "დორსს", ჯენის ჯოპლინს, "მამას ენდ პაპასს", "ჯეფერსონ ეარპლეინს", "გრეიტფულ დედს" და ჯიმი ჰენდრიქსს უსმენდნენ.

ჩვენს მაგნიტოფონებზე კი ისევ "ბითლზი", "როლინგსტოუნზი" და "ენიმალზი" ტრიალებდნენ. რას იზამ, იმ დროს ცივილაზაცია დასავლეთიდან 5 წლის დაგვიანებით შემოდიოდა. ეს მაგნიტოფონები საშინლად გუგუნებდნენ, ფირები შრიალებდნენ, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ?! შეიძლებოდა ისიც არ გცოდნოდა ვის ჩანაწერს უსმენდი - მთავარი იყო გქონოდა და თანაც მოგწონებოდა. ამ მაგნიტოფონებს კიდევ ერთი თვისება გააჩნდათ, საოცრად გამძლეები იყვნენ. ახლობელი ტრაბახობდა - ჩემი "ვესნა" (საბჭოთა ელექტროაპარატურას სახელებიც ორიგინალური ჰქონდა) მეორე სართულიდან გადმოვარდა და მაინც მუშაობსო. ისეთი ალტაცებული იყო, ვერ გააგებინებდი, რომ ეს სიმყარე ჟღერადობის ხარისხზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა.

იმ ხანებშივე თბილისის სკოლებთან მორიგეობდნენ ფოტოსურათების გამყიდველები, რომელთა ჯიბეში გადადიოდა ჩვენი მოკრძალებული საუზმისთვის გამოყოფილი 10-კაპიკიანები. დაშაქრული "ბულკების" და უგემრიელესი "სასისკების" სანაცვლოდ, გოგონები მსახიობების, ბიჭები კი გიტარიანი ბიჭების ფოტოებს ღებულობდნენ. მიუხედავად იმისა, ფოტოზე რამდენი ბიჭი იყო გამოსახული, ყველა მათგანს ლივერპულელი ოთხეულის ჯადოსნური სახელი - Beatles ეწერა.

მალე ასეთი გიტარიანი ბიჭების ასლები თბილისშიც გამოჩდნენ, მაგრამ ეს არ იყო ტრადიციული ბაფთიანი გიტარები; არც სიმღერები იყო ტრადიციული და ცხადია, არც ბიჭები იყვნენ ისეთები, მამების ქართულ სუფრას რომ დაამშვენებდნენ. ეს ბიჭები თბილისის გარეუბნების ჭუჭყიან კლუბებში მართავდნენ კონცერტებს, რომლებზეც ინგლისურენოვან სიმღერებს ასრულებდნენ. ამ კონცერტებს ახალგაზრდობის ისეთი რაოდენობა ესწრებოდა, დღევანდელ ვარსკვლავებს რომ არც დაესიზმრებათ.

ეს იყო კულტურული რევოლუციის ქართული ვარიანტის ერთგვარი მცდელობა. ეს რევოლუცია დასავლეთში უკვე დამთავრებული იყო. იქ როკი უკვე გამოვიდა გარეუბნების კლუბებიდან და ალბერტ, კარნეგი და სხვა პრესტიჟულ ჰოლებში შეაბიჯა. გარეუბნის ქუჩებს კი მემარცხენული იდეებით შეპყრობილი ახალგაზრდა რადიკალები დაეპატრონნენ და მოითხოვდნენ სწორედ იმ ბურჟუაზიული ღირებულებების განადგურებას, რომლებისკენაც ასე მიისწრაფვოდა ჩვენი ახალგაზრდობა. იდგა 1968 წელი. ამერიკაში ჰიპების მოძრაობა პიკს აღწევდა, ბერლინში სოციალისტური იდეები იბადებოდა, პარიზში ბარიკადები იგებოდა, პრაღაში ამ ბარიკადებს საბჭოთა ტანკები ანგრევდნენ, ლონდონში გაუგონარი მუსიკალური ექსპერიმენტი ტარდებოდა...

ჩვენთან? ჩვენთანაც რაღაც "პროგრესი" იგრძნობოდა: მართალია, შვილების მაგნიტოფონებიდან ისევ "ბითლზი" ისმოდა, მაგრამ მათ ჯინსი ჩაიცვეს; მამებმა ტელევიზორით ნახეს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი და "პრიმადან" და "კურორტნიდან" ფილტრიან სიგარეტზე გადავიდნენ; დედები ისევ სამზარეულოში მწნილდებოდნენ, მაგრამ ამჯერად ქილებს ქაღალდის კი არა, სპეციალური თავსახურებით ხუფავდნენ და ყავასაც უკვე ელექტროსაფქვავით ფქვავდნენ. მათ თავიანთი სატუმრო ოთახის კედლებიდან ჩამოხსნეს ნახატები, რომელთა ნახვაც, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, ალბათ, ყველა საბჭოთა ოჯახში შეიძლებოდა: "ქალი მარხილში" და "შოკოლადის მიმტანი გოგონა" შეცვალა მოდაში შემოსულმა ქართულმა ჭედურობამ. გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ტრადიცია - დედაც, მამაც და შვილიც წელიწადში ერთხელ მაინც ერთად ესწრებოდნენ "ორერას" ან "ივერიას" კონცერტებს.

სად იყო ამ დროს უფროსი ძმა? რჩებოდა უფროსი ძმის ფაქტორი, რომელსაც არ იზიდავდა ქართული ესტრადა. მას უკვე მაგნიტოფონიც აღარ აკმაყოფილებდა. ის ოცნებობდა ნამდვილ, პრიალა, ფერად ყდებში ჩადებულ დისკებზე, რომელთა დაკვრა სტერეოაპარატურაზე შეიძლებოდა.



ფეხბურთი

# როდემდე?







ბოგიტა ბუხაიძის ფოტორეპორტაჟი

*2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, მეხუთე ტური. 26 მარტი.*
*თბილისი. სტადიონი "მიხეილ მესხი". 25.000 მაყურებელი*

**გოლები:** 1:0 ასათიანი (23), 1:1 კაპსისი (43), 1:2 ვრიზასი (45), 1:3 იანაკოპულოსი (54)
**საქართველო:** ლომაია, მჟავანაძე, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, გოგუა (ცქიტიშვილი 46), კვირკველია, კობიაშვილი, ასათიანი, არველაძე (იაშვილი 61), დემეტრაძე
**მწვრთნელი:** ალან ჟირესი (საფრანგეთი)
**სათადარიგონი:** დევაძე, აშვეთია, ამისულაშვილი, სალუქვაძე, ბურდული
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, გუმასი, კაცურანისი, ვრიზასი, სეიტარიდისი, კაპსისი, იანაკოპულოსი, ზაგორაკისი, ბასინასი, კარაგუნისი, ხარისტეასი
**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი (გერმანია)
**სათადარიგონი:** ცარტასი, ფისასი, ხალკიასი, ლაკისი, კირიაკოსი, ამანატიდისი, გრეკასი
**გაფრთხილება:** მჟავანაძე (42), ხიზანიშვილი (44), გუმასი (63)
**მსაჯი:** რობერტო როსეტი (იტალია)
**თანამსაჯები:** ალესანდრო გრისელი, მარკო ივალდი, პასკუალე როდომონტი (ყველა იტალია)
**მატჩის კომისარი:** რობერტ სტრექსი (ბელგია)
**მატჩის ინსპექტორი:** ლოპეს ფერნანდესი (ესპანეთი)

ლაშა გოდუაძე

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონ საბერძნეთთან 1:3 წააგო. ცნობისთვის: ზედიზედ მეოთხედ! 1996 წელს - 1:2, 1998 წელს - 0:3, 1999 წელს - 1:2.

მგონი, ჩვენმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი ტურნირიც ჩააფლავა. კი, გასაგებია, რომ წინ კიდევ შვიდი შეხვედრაა, მაგრამ ერთია, თუ რამდენი თამაში გაქვს დარჩენილი და მეორე - როგორ თამაშობ. საქართველოს ნაკრების შემხედვარეს, მგონია, რომ ხელახლაც რომ დაიწყოს საკვალიფიკაციო ტურნირი, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

არათუ მწვრთნელმა, რიგითმა გულშემატკივარმაც კი იცის, რომ თუ ჩვენნაირი ჯგუფიდან მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა გსურს, უკლებლივ ყველა საშინაო მატჩი უნდა მოიგო. ამ ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი ფავორიტები მოხვდნენ და თავიდანვე ნათელი იყო, რომ ურთიერთშეხვედრებში ისინი ქულებს დაკარგავდნენ. ასეთ შემთხვევაში, თუ შინ ექვსივე თამაშს მოიგებდი და ამასთან ერთად სტუმრადაც რამდენჯერმე ივარგებდი (თუნდაც ყაზახეთთან და ალბანეთთან), სულ ცოტა, ფლეიოფში გაინაღდებდი ადგილს.

აქედან გამომდინარე, ბერძნებთან გამარჯვება სამს კი არა, ექვს ქულას უდრიდა - უშუალო კონკურენტს უგებდი და, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თურქეთთან მატჩის წინ შესანიშნავ გუნება-განწყობილებას იქმნიდი.

ეს ვიცოდით, მაგრამ ახლა რა? მორიგი სამარცხვინო წაგება, გაცრუებული იმედი, ვინ მოთვლის, მერამდენედ მოტყუებული გულშემატკივარი და, როგორც თავში ვთქვით, კიდევ ერთი ჩაგდებული საკვალიფიკაციო ტურნირი. ახლანდელი სიტუაცია 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასაწყისს მაგონებს: ლიტვასა და იტალიაში ორ გასვლით შეხვედრაში მოპოვებულმა სამმა ქულამ გულშემატკივრები რუმინელებთან საშინაო თამაშის წინ იმედით აგვავსო, გვეგონა, რომ კარპატელებსაც მოვუგებდით და კორეა-იაპონიაში წასასვლელად ბოლომდე ვიბრძოლებდით, მაგრამ ჩამოვიდა ლადისლაუ ბოლონის რუმინეთი და 2:0 მშვიდად, აუღელვებლად მოიგო. მერე იყო უნგრეთში განადგურება...

დღეს რუმინეთი საბერძნეთმა შეცვალა, თორემ სატურნირო მდგომარეობაც თითქმის იგივეა და განწყობა ხომ საერთოდ - გერმანიაში მოხვედრის იმედი, ნაკრების გადამკიდე, გადაწურულია.

კაცმა რომ თქვას, მსოფლიო ჩემპიონატზე არაფერი ესაქმებიათ ისეთ გუნდებს, რომლებიც ფეხბურთს ჩვენნაირად თამაშობენ. იქ ოტო რეჰაგელის ბიჭებმა უნდა იბურთაონ, ფეხბურთელებმა, რომელთაც გაშვებული გოლის შემდეგ ყურების ჩამოყრა არ სჩვევიათ, შეუძლიათ თამაშში გარდატეხის შეტანა და საგოლე შანსის მაქსიმალურად გამოყენება. და, რაც მთავარია, იციან გულშემატკივრის დაფასება - ჯიგრიანად თამაშობენ და თუ ვერ იგებენ, ქომაგებს უკმარისობის გრძნობას მაინც არ უტოვებენ.

როგორ ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთმა? დაინახეთ რაიმე განსხვავება ბერძნების შარშანდელ და ორი დღის წინანდელ თამაშში? მგონი, ვერა - რეჰაგელის გუნდს ხელწერა არ შეუცვლია, ერთი ეგაა, პორტუგალიის (ორჯერ და თან მისსავე მოედანზე), საფრანგეთისა და ჩეხეთის დასამარცხებლად ძალების მაქსიმალური დაძაბვა და კონცენტრაცია იყო საჭირო, თბილისში კი სასურველი შედეგის მისაღწევად ნახევარდაცვის ოდნავი გააქტიურებაც საკმარისი გამოდგა. გულდასაწყვეტი სწორედ ესაა - გვგონია, რომ კონტინენტის ყველაზე სუსტი ჩემპიონი (რატომაა ასეთ აზრი ჩვენთან გავრცელებული, სიმართლე გითხრათ, ვერ გეტყვით) არაფრით გვჯობს, მაგრამ რეალურად ათი თავით შენზე მაღლა დგას.

რაში გამოიხატებოდა რეჰაგელის გუნდის უპირატესობა?

...საბერძნეთის ნაკრები არაა განწყობის გუნდი, ანუ გოლის გაშვებისთანავე არ ტყდება და ბოლომდე იბრძვის. ამის დასტურია პირველი ტაიმის ბოლო სამი წუთი და გიორგი ლომაიას კარში გასული ორი გოლი. ამის საპასუხოდ ჩვენების მოქმედება გავიხსენოთ: 54-ე წუთიდან, ანუ მას შემდეგ, რაც მესამე გოლი გაუშვა, საქართველოს ნაკრებმა ბრძოლა არაოფიციალურად შეწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენების უმრავლესობას თავდადებული თამაშისა არაფერი ეტყობოდა. ორი-სამი, თუნდაც ჩინებულად მოთამაშე ქართველი კი, თერთმეტი ბერძენის წინააღმდეგ, ცხადია, ვერას გახდა.

...მეტოქე თავქუდმოგლეჯილი არ დარბოდა და ნაყოფიერად უტევდა არა მარტო ცენტრიდან, ფლანგებიდანაც. მეორე და მესამე გოლები სტუმრებმა სწორედ ფლანგური გარღვევების შემდეგ გაიტანეს - პირველად ზისის ვრიზასმა დააგვირგვინა თანაგუნდელის გარღვევა, შესვენების შემდეგ კი სტილიანოს იანაკოპულოსმა. აქვე დავძენ, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო შაბათს. სხვათა შორის, იანაკოპულოსის გოლი მეტოქის კაპიტნის თეოდოროს ზაგორაკისის ფლანგზე ჩვეულ გარღვევას და ჩაწოდებას მოჰყვა. თუ გახსოვთ, ევრო 2004-ზე, საფრანგეთთან შეხვედრაში, ბერძნებმა ამავე კომბინაციით გაიტანეს გამარჯვების გოლი და პასის ავტორი მაშინაც ზაგორაკისი იყო (ნუთუ ეს დამუშავებული კომბინაციაა? მაშინ სირცხვილი ალანს!). და ქართველები? ფლანგები ფაქტიურად გაუქმებული იყო (კახა მჟავანაძე წინ ერთიორჯერ წავიდა და ისიც უნიათოდ, ლადო კვირკველია მეტოქემ დაჯაბნა), თავდასხმის ცენტრი კი აშლილი: შოთა არველაძე, რომელიც ერთ-ერთი სუსტი იყო ამ შეხვედრაში, ვერაფრით ეხმარებოდა გიორგი დემეტრაძეს. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, ცხადია, ძალიან უჭირდა ტანმაღალ ბერძენ მცველებთან ბრძოლა. ასევე გაუგებარია, რატომ ცდილობდნენ ჩვენი ფორვარდები მეტოქის საჯარიმოში მაინცდამაინც ცენტრიდან შეჭრას?! გარდა ამისა, ჟირესის გუნდისგან განსხვავებით, საბერძნეთის ნაკრებს შეტევის მეორე ტალღაც ჰქონდა: თავდამსხმელებს ნახევარმცველები ეხმარებოდნენ და მეკარის ან მცველების მიერ მოგერიებულ ბურთს კვლავ ჩვენს საჯარიმოში აბრუნებდნენ, ან პირდაპირ კარში ურტყამდნენ.

...სტუმრებს ერთხელაც არ დაურღვევიათ წესი მეკარის საჯარიმოს მისადგომებთან, მაშინ როცა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა იმავე ზონაში რამდენჯერმე უხეშად ითამაშეს. ლომაიას კარში გასული პირველი გოლი ხომ თითქმის საჯარიმო ხაზთან დანიშნულ ჯარიმას მოჰყვა! ამას გარდა, მატჩის საწყის წუთებში საჯარიმოდან ჩვენი ხარიხის შეზანზარებაც გავიხსენოთ.

პირველ გოლზე აუცილებლად უნდა შევჩერდეთ: მსაჯმა ბერძნებს ჯარიმა გაამეორებინა. მათ ორივე შემთხვევაში ერთნაირად გაითამაშეს ბურთი. ნუთუ არ შეიძლებოდა ჩვენს ფეხბურთელებს ნანახი გაეთვალისწინებინათ და მეტოქისთვის იგივეს გაკეთების საშუალება არ მიეცათ?

...ჩვენგან განსხვავებით, სტუმრები არ კარგავდნენ ბურთს და გონივრულად ათამაშებდნენ, ტემპს სურვილისამებრ ცვლიდნენ. დამეთანხმებით, ეს მხოლოდ მაღალი კლასის გუნდებს ხელეწიფებათ. მცველებიც მიზანმიმართულად იგერიებდნენ ბურთს, მაშინ, როცა ჩვენი უკანახაზელები და მეკარეც მხოლოდ ბურთის მოშორებაზე ფიქრობდნენ (მხოლოდ მეორე ტაიმის საწყის ხუთ წუთში საქართველოს ნაკრებმა ცენტრში ოთხჯერ(!) დაკარგა ბურთი).

...სტუმრებმა ჩინებულად ითამაშეს ნახევარდაცვაში, რამაც განაპირობა კიდეც მათი გამარჯვება. თუ გოგიტა გოგუას იძულებით შეცვლამდე მეტოქეს მოედნის ცენტრის გადალახვა უჭირდა, მერე გაილაღა - ერთი ან ორი პასით ბერძნები ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან აღმოჩნდებოდნენ და სასურველ კომბინაციას ათამაშებდნენ. სამწუხაროდ, გოგუა ერთადერთი ფეხბურთელი იყო ქართველთა შორის, რომელიც უნარიანად შლიდა მეტოქის შეტევებს. მისი გასვლის შემდეგ "ჩამშლელი" ჩვენს გუნდში არავინ დარჩა. რაც შეეხება გოგუას: ახალგაზრდაა და უდავოდ ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ დიდ დაპირისპირებებს შეჩვეული არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალებს თანაბრად გაანაწილებდა და ორი ტაიმის სარბენს საწყის 25 წუთში არ მოილევდა.

...მეტოქე ფეხბურთელებისგან განსხვავებით, ჟირესის რამდენიმე რჩეულს აშკარად ეტყობოდა უთამაშებლობა. ზურა ხიზანიშვილისა და შოთა არველაძის დასახელებაც კმარა: პირველი საკუთარ თავს არ ჰგავდა და, წინა მატჩებისგან განსხვავებით, ნაკლებად საიმედო იყო, ხშირად სცოდავდა, მეორე კი საერთოდ ამოვარდნილი გახლდათ თამაშიდან: დემეტრაძეს ვერ ეხმარებოდა, ბურთს, მეტწილად, ვერ აჩერებდა და კარგავდა, ნახევარდაცვაში დახეულს კი შეტევაში დაბრუნება აგვიანდებოდა. ჩემი აზრით, ჟირესის არჩევანი - არველაძის ძირითადში გამწესება და იაშვილის სათადარიგოთა შორის დატოვება - შეცდომა იყო.

ამ და სხვა არაერთი მიზეზის გამო საბერძნეთმა გვაჯობა. გვაჯობა სამართლიანად. ასეთ შემთხვევაში მარცხზე მეტად საწყენი ისაა, რომ ჩვენს გუნდში სიტუაცია არ იცვლება. არანაირი ნიშანწყალი პროგრესისა - თითქოს ახლა უნდა დადგეს ჩვენი დრო, მაგრამ ყოველ შესარჩევ ციკლში ერთსა და იმავე სურათს ვუცქერთ და იმედი იმედად რჩება.

საქართველოს ნაკრები, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ვერ შედგა. არიან კარგი ფეხბურთელები, თამაშობენ ევროპის სახელიან კლუბებში, მაგრამ ერთად ანგარიშგასაწევ ძალას ვერ ქმნიან. ცხადია, არ მავიწყდება რამდენიმე კარგი მატჩი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია - სტაბილურობამდე, რაც წარმატების უმთავრესი გარანტია, ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

სასურველი შედეგის მისაღწევად მუდმივი სელექციაა საჭირო, ხშირი სათამაშო პრაქტიკა, გრძელი სათადარიგო სკამის შექმნა.

სელექცია ჩვენი ქვეყნის პირველ გუნდში ცოცხალ-მკვდარია: მწვრთნელი ამჯობინებს მიიწვიოს უთამაშებელი ფეხბურთელი და ნაკრებს მიღმა ტოვებს საქართველოს პირველობის (თუნდაც) საუკეთესო ბომბარდირებს. საინტერესოა, რატომ იღებს ასეთ გადაწყვეტილებას (ან ვინ ურჩევს ამ ნაბიჯის გადადგმას) და რითი სჯობს უცხოური კლუბის განაცხადში მყოფი უთამაშებელი ფეხბურთელი "ტორპედოსა" და "დინამოს" კარგ ფორმაში მყოფ წევრს?

სათამაშო პრაქტიკაზეც იგივე ითქმის. ნაკრები წელიწადში მეტწილად ოფიციალურ თამაშებს ატარებს, როცა ექსპერიმენტის დრო არაა. ამხანაგურ მატჩებში კი, რომელიც სეზონში ერთი ან ორი გვაქვს (ფეხბურთის ფედერაციის "დამსახურება"), მოლდოვა-ლიტვა-აზერბაიჯანით შემოვიფარგლებით. და, რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, ამ მატჩებში ნანახ და თავგამოჩენილ ფეხბურთელებს მწვრთნელები ივიწყებენ ან, რბილად რომ ვთქვათ, უგულებელყოფენ.

გრძელი სათადრიგოთა სკამი კი პირდაპირ კავშირშია ზემოხსენებულ ორ პრობლემასთან: თუ ფეხბურთელი არ გამოსცადე და მხოლოდ იმიტომ არ მიიწვიე, რომ საქართველოში ასპარეზობს, თუ ნაკრებს არ შეაჩვიე და ქვეყნის სახელით ხშირად არ ათამაშე, დარჩები იმ თხუთმეტი-თექვსმეტი ფეხბურთელის ამარა, რომელთაგან ზოგი შეიძლება ავადმყოფობის გამო ვერ დაგეხმაროს, ზოგი კი მნიშვნელოვანი თამაშისთვის, უბრალოდ, ფიზიკურად მზად არ აღმოჩნდეს.

შედეგიც არ შეიცვლება: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე წავლენ სხვები, ჩვენ კი, ყოველი საკვალიფიკაციო ტურნირის წინ იმედით აღვსილნი და ოთხიხუთი ტურის შემდეგ ხელჩაქნეულნი, ვიტყვით, რომ მომდევნოში აუცილებლად გაგვიმართლებს.

როდემდე?






TV-სპორტი

## ორშაბათი. 28 მარტი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ბრაზილია - პერუ
14:10 მინიფეხბურთი. უეფას თასი. "დინამო" - "სპარტაკი" (მოსკოვი)
15:35 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. 1/8 ფინალი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მილანი"
18:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. 1/8 ფინალი. "ლიონი" - "ვერდერი". საპასუხო მატჩი
19:55 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. რუმინეთი - ჰოლანდია
21:40 თავისუფალი დარტყმა
21:55 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "საფეხბურთო კლუბი"
22:45 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. 1/8 ფინალი. "მილანი" - "მანჩესტერ იუნაიტედი". საპასუხო მატჩი
23:30 "FUTBOL MUNDIAL"

**НТВ+ПЛЮС**

11:15 ნიჩბოსნობა. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ტრადიციული რბოლა ტემზაზე
12:00 ფიგურული სრიალი. კრისტი იამაგუჩის შოუ
13:00 პრესცენტრი
13:15 სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ასპარეზობა. ჟურნალ "ქალთა სამყაროს" პრიზზე. კომბინირებული პროგრამა. სოლო. მხატვრული პროგრამა
15:20 ბილიარდი. პირამიდა. რუსეთის ჩემპიონატი სანქტ-პეტერბურგში. პირველი ნაწილი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
18:15 "სარკის წინ"
18:45 პრესცენტრი
19:00 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
21:00 "ექო". საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა
23:00 "ქრონიკა"
23:05 სახვალიო ტელეპროგრამა
23:10 "გუნდი" - "დინამო"
23:40 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
00:15 ახალი ამბები
00:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი ბაჰამის კუნძულებზე. ფინალი

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 ველოსპორტი. ველორბოლა ტრეკზე. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში
14:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ვაჟები
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. საფრანგეთი - შვეიცარია
19:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
20:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
21:00 სუმო. შეჯიბრება იაპონიაში
22:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი მაიამიში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი
01:30 ახალი ამბები
01:45 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
02:45 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
03:15 ახალი ამბები

ჩოგბურთი

# ლაბაძისთვის მასტერსი დამთავრდა

რუსი ჩოგბურთელები - მარატ საფინი და მარია შარაპოვა მაიამიში მიმდინარე მასტერსის სერიის ტურნირის მესამე წრეში გავიდნენ. შეჯიბრების მოქმედი ჩემპიონი ამერიკელი ენდი როდიკი კი ნაკლებად ცნობილ ფერნანდო ვერდასკოსთან დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა.

მაიამის ტურნირი უაღრესად პრესტიჟულია. ამიტომ მსოფლიოს ყველა წამყვან ჩოგბურთელს იზიდავს. ამერიკული ტურნირი არა მარტო მასტერსის სერიაში შედის, არამედ შთამბეჭდავი საპრიზო ფონდითაც გამოირჩევა. ვაჟთა ტურნირის საპრიზო ფონდი 3,2 მილიონი დოლარია, ხოლო ქალთა - 2,4 მილიონი.

ვაჟთა შორის გამარჯვებული 533 350 ათას დოლარს და 100 სარეიტინგო ქულას მიითვლის, ქალთა ჩემპიონი კი - 400 000 დოლარს და 325 სარეიტინგო ქულას.

თუმცა, ტურნირის მოქმედი ჩემპიონის ენდი როდიკისთვის წელს საშინაო არენა არცთუ ისე იღბლიანი გამოდგა. მან ჯერ კიდევ სასტარტო შეხვედრაში ესპანელ ფერნანდო ვერდასკოს დაუთმო პოზიციები. პირველი სეტი მეორე ნომრად განთესილმა ამერიკელმა ტაი-ბრეიკზე - 11:9 წააგო. მეორე სეტში კი ანგარიში - 4:3 იყო ესპანელის სასარგებლოდ, როცა როდიკმა თამაში შეწყვიტა. ამრიგად, ტურნირს ფაქტობრივად ორი ფავორიტი - პირველი ნომერი შვეიცარიელი როჟე ფედერერი და რუსი მარატ საფინი შემორჩა.

როდიკის გავარდნის შემდეგ ეს არც იყო გასაკვირი. საფინი და ფედერერი დღესდღეობით ყველა მეტოქეზე უკეთ გამოიყურებიან. საინტერესოა, რომ, მარატ საფინის თქმით, ის ბევრს მუშაობს იმაზე, თუ როგორ აუღოს ალღო შვეიცარიელის ერთი შეხედვით უნაკლო თამაშს.

"მე ვიხვეწებოდი. ვხდებოდი უფრო კვალიფიციური და სტაბილური. უკვე საუკეთესო ოთხეულში დავიმკვიდრე ადგილი. თუ საუკეთესოთა შორის ყოფნა გინდა, მთელი წლის განმავლობაში სტაბილურად უნდა თამაშობდე. რა თქმა უნდა, აღმავლობა და ჩავარდნა ყველას აქვს. ამას ვერავინ აიცილებს თავიდან. თუმცა, მაინც უნდა ეცადო".

თუ შარაპოვას ბერძენ ელენა დანილიდუსთან შეხვედრაში პრობლემები არ ჰქონია, საფინს დიდი შრომა დასჭირდა ირაკლი ლაბაძის დასამარცხებლად.

პირველი სეტი საფინმა - 6:4 მოიგო. ირაკლიმ მხოლოდ ერთი სერიოზული შეცდომა დაუშვა და ამან სეტში გადამწყვეტი როლი შეასრულა. მეორე სეტი კი ქართველი ჩოგბურთელის სრული უპირატესობით წარიმართა. საფინმა ვერაფერი დაუპირისპირა ამბიციურ ქართველს და - 2:6 წააგო. მესამე სეტში კი გამარჯვებული ტაი-ბრეიკზე გაირკვა. საფინი ამ საჩოგბურთო კომპონენტში საკმაოდ ძლიერია და გამარჯვებაც მას დარჩა - 7:5.

ეს საფინის პირველი პაექრობა იყო ტურნირზე. შეგახსენებთ, რომ, როგორც ტურნირის მესამე ნომერი, რუსი ჩოგბურთელი პირველი წრიდან გათავისუფლებული იყო.



| | |
|---|---|
| მარატ საფინი (რუსეთი, 3) - ირაკლი ლაბაძე | 6:4, 2:6, 7:6 (7:5) |
| ჰიუნ-ტაიკ ლი (ს. კორეა) - მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 17) | 6:1, 6:4 |
| ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) - კევინ კიმი (აშშ) | 6:1, 6:2 |
| ტომას იუჰანსონი (შვედეთი, 25) - გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) | 6:3, 6:4 |
| კარლოს მოია (ესპანეთი, 5) - ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 4:6, 7:5, 7:6 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 12) - იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 6:4, 6:0 |
| გაელ მონფილსი (საფრანგეთი) - ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 14) | 4:6, 6:1, 6:4 |
| იგორ ანდრეევი (რუსეთი) - ანდრეი პაველი (რუმინეთი, 20) | 6:2, 6:1 |
| ვინსენტ სპეიდია (აშშ, 21) - რობი ჯინეპრი (აშშ) | 6:3, 6:4 |
| ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) - გილიერმო კანიასი (არგენტინა, 11) | 6:4, 2:6, 6:4 |
| ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 13) - ალბერტო მარტინი (ესპანეთი) | 6:3, 6:3 |
| ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) - ენდი როდიკი (აშშ, 2) | 7:6, 4:3 როდიკმა თამაში შეწყვიტა. |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 26) - იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 6:3, 6:4 |
| დავიდ ფერერი (ესპანეთი) - ქსავიე მალისი (ბელგია, 32) | 3:6, 5:5 მალისმა თამაში შეწყვიტა. |
| რაფაელ ნადალი (ესპანეთი, 29) - რაინერ შუტლერი (გერმანია) | 6:4, 7:6 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 8) - ხოსე აკასუსო (არგენტინა) | 6:3, 6:3 |

რეკორდი

# ქალი - ჰეიერდალის ნაკვალევზე

27 წლის ფრანგმა მოდ ფონტენოიმ შეძლო ის, რამაც ბევრი გააოცა. გახდა პირველი ქალი, რომელმაც პერუდან პოლინეზიამდე მომცრონიჩბებიანი, უფრო სწორად, შვიდმეტრიანი ნავით მარტომ გადასერა წყნარი ოკეანე. რვა ათას კილომეტრზე გადაჭიმული მარშრუტი შაბათ საღამოს პოლინეზიის კუნძულ ხივა ოასთან დასრულდა. საარაკოა ისიც, რომ ფრანგმა ზღვაოსანმა გათვალსწინებულზე ერთი თვით ადრე მიაღწია მიზანს. მოგზაურობას 72 დღე დასჭირდა.

თავზეხელაღებულ ფრანგ ქალბატონს პოლინეზიელები ეროვნულ ტანისამოსში, ყვავილებით ხელში შეეგებნენ. მერე ხელში აიყვანეს და ასე გადმოაბრძანეს ნავიდან.

"ამ მომენტს დიდხანს ველოდი. ახლა კმაყოფილი ვარ იმით, რაც შევძელი", - საფრანგეთის რადიოსთან საუბარში აღნიშნა მოდ ფონტენოიმ და იქვე დასძინა, რომ ნიჩბების მოსმისგან ხელები და ზურგი ძალიან სტკიოდა, მაგრამ მიზნის მიღწევის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ უკან არაფერზე იხევდა.

"მოგზაურობა შემართების საუკეთესო მაგალითი იყო. მაგალითი, რომლის მიხედვითაც ყველამ დაინახა, რომ ქალსაც ბევრი რამ შეუძლია, რომ ფიზიკურადაც ძალიან ამტანები ვართ".

მერე კი აღიარა, რომ ხანგრძლივი მოგზაურობის ბოლო მონაკვეთი ყველაზე რთული იყო, რადგან ერთხელ ნავი გადაუბრუნდა და დახრჩობის შიში გაუჩნდა.



ფონტენოის მოგზაურობა ტურ ჰეიერდალის დამსახურება ყოფილა

ნავი, რა თქმა უნდა, აღჭურვილი იყო სანავიგაციო სისტემითა და თანამგზავრული ტელეფონით. რაც შეეხება სასმელ წყალს, ამისთვის ფონტენოის ნავზე ჰქონდა ისეთი მოწყობილობა, რომელიც ზღვის წყალს მარილისგან ფილტრავდა და სასმელად ვარგისს ხდიდა.

საგულისხმოა, რომ ფრანგი ზღვაოსნისთვის ეს პირველი რეკორდი არაა. აქამდე იმით გამოიჩინა თავი, რომ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ატლანტის ოკეანე გადასერა.

და კიდევ, ყველაფრის თავი და თავი დიდი ნორვეგიელი მკვლევარის ტურ ჰეიერდალის დამსახურებაა, რომელმაც 1947 წელს ერთგვარი ტივით, სახელად "კონტიკი", გადალახა წყნარი ოკეანე. ჰეიერდალის მოზაურობის მიზანი იყო იმის დამტკიცება, რომ წყნარი ოკეანის სამხრეთის კუნძულების კოლონიზება აღმოსავლეთიდანაც იყო შესაძლებელი.

ერთი სიტყვით, ფრანგი ქალბატონი ნორვეგიელის ნაკვალევს გაჰყვა.

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრიტიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:
სახელი, გვარი
ასაკი
ტელეფონ(ებ)ი
საცხოვრებელი ტელეფონი
ელექტრონული ფოსტის მისამართი

9. ... აეროფლოტის 320-ის ... თბილისი-ლონდონი-თბილისი რეისებზე?
1. ერთი ეკონომ-კლასი
2. ერთი ბიზნეს-კლასი
3. ორი ეკონომ-კლასი (World Traveller) და ბიზნეს-კლასი (Club World)

5. ...
1. აერობუსი 320
2. ბოინგ 747
3. კონკორდი

10. ...
1. BMED ...
2. GB ...
3. ...



ნინო ტიკარაძე

### ოჰ, ეს პაპარაცები!

ამბობენ, მედიის წარმომადგენლების მიერ დევიდ ბექჰემისა და მისი ოჯახის მიმართ გამოჩენილი ცხოველი ინტერესი ნელ-ნელა იმდენად აუტანელი ხდება, რომ შესაძლოა, ინგლისელმა ფეხბურთელმა ესპანეთი დატოვოს (გეგონებათ, ინგლისში ან ნებისმიერ სხვა ადგილას მოასვენებენ. პაპარაცები ყველგან პაპარაცები არიან. ასე არ არის?).

ინგლისის ნაკრების კაპიტანს აღიზიანებს ის, რომ მისი შვილები ექვსი წლის ბრუკლინი და ორი წლის რომეო წამდაუწუმ ხვდებიან ადგილობრივი ფოტორეპორტიორების ობიექტივში. ეს კი ბავშვების ფსიქიკაზე ძალიან ცუდად მოქმედებს (ეგ კი მართალია!).

"ეს უკვე დიდ პრობლემად გადაიქცა. გამოსავალს ვერ ვხედავ. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში პაპარაცები პრაქტიკულად ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ ჩემს შვილებს და სურათებს უღებდნენ. ახლა კი უნდა დავჯდე და მოვიფიქრო, მომავალში როგორ მოვიქცე", - განაცხადა ბექჰემმა. და აქვე დაამატა, რომ პირადად მას და მის მეუღლეს არაფერი აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ ფოტოგრაფებმა გადაიღონ, მაგრამ ბავშვებს თავი უნდა დაანებონ (ხედავთ, ბექჰემი მზადაა, მსხვერპლიც კი გაიღოს. შვილების სანაცვლოდ კამერის წინ პოზიორობას თანხმდება, თანაც, მარტო კი არა, ცოლთად ერთად).

"ამ ადამიანებმა დაკარგეს ზომიერების გრძნობა. მე ვმუშაობ, ჩემი მეუღლე პატარას უვლის, პაპარაცები კი ჩვენი მოუცლელობით სარგებლობენ და მოსვენებას არ აძლევენ ბრუკლინს, რომელიც საფეხბურთო სკოლაში დადის. ბავშვი ძალიან შეშინებულია," - მიაჩნია მადრიდის "რეალის" ნახევარმცველს. მისივე თქმით, მედიის აბეზარი წარმომადგენლები არც ორი წლის რომეოს ტოვებენ უყურადღებოდ. საბავშვო ბაღში მეგობრებთან თამაშისასაც კი იღებენ და შემდეგ, როგორც ძვირფას მასალას, გაზეთებში ბეჭდავენ.

"ამას ვერ დავუშვებ. როცა ბავშვები სკოლაში ან სადმე სხვაგან მიდიან, არავინ არ უნდა შეუწუხოს," - განაცხადა ვარსკვლავმა.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ბექჰემის ესპანეთიდან გადასვლაზე ალაპარაკდნენ. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მადრიდის "რეალთან" დადებულ კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც ინგლისელ ფეხბურთელს კვირაში 130 ათას გირვანქა სტერლინგს უხდიან, მხოლოდ ორი წლის შემდეგ გასდის ვადა.

თუმცა, რას მიქვია კონტრაქტი? თუ პაპარაცები ჩვეულ საქმიანობას გააგრძელებენ და ბექჰემის თხოვნას არ გაითვალისწინებენ, ეს უკანასკნელი თავისი ოჯახის წევრებს დაავლებს ხელს და წავა, მაგრამ სად, ეს ჯერ თვითონაც არ იცის და მე საიდან უნდა ვიცოდე?!

### რძალმა მამამთილს ხელი მოსტეხა. რისთვის?

საყვარელი გუნდისთვის რას აღარ ჩაიდენს კაცი, შეიძლება საკუთარი ოჯახის წევრიც კი არ დაინდოს. ეს, რა თქმა უნდა, მაშინ, თუ ის სხვა გუნდის გულშემატკივარია. ცუდი ამბავი შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ თქვენს ფავორიტებს საფეხბურთო მოედანზე ერთმანეთის პირისპირ მოუხდათ თამაში. ამ შემთხვევაში სჯობს, "მოწინააღმდეგე" ახლობლისგან შორს დაჯდე. თორემ, როცა თამაშის ფერხულში ჩაბმული ემოციების მოთოკვა, ცოტა არ იყოს, ძნელია, ვინ იცის, რა შეიძლება დაგემართოს ან სხვას დამართო.

შესავალი გრძელი გამომივიდა, მაგრამ ასე იყო საჭირო.

ახლა კი დროა, მიკიბულ-მოკიბულად დაწყებული სათქმელი პირდაპირ მოგახსენოთ. ამ რამდენიმე ხნის წინათ უეფას თასის მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდა "ვილიარეალი" და ბუქარესტის "სტიაუა". ჰოდა, ამ მატჩის დროს 28 წლის რუმინელმა ქალმა დანა სოფრონეამ ვერ აიტანა ის, რომ მამამთილი კონსტანტინ სოფრონეა მთელი მონდომებით ქომაგობდა "სტიაუას" (თავად "ვილიარეალის" გონდაკარგული გულშემატკივარი გახლავთ!) და, ხმა რომ ვერ ჩააგდებინა, ეძგერა და ხელი მოსტეხა.

"სტიაუას" ვქომაგობდი. ჩემი რძალი, რომელიც მალე სამუშაოდ ესპანეთში გაემგზავრება, გაიძახოდა, რომ "ვილიარეალმა" უნდა მოიგოს, რომ "სტიაუა" უიღბლოთა ბრბოა, ამიტომ მისი ქომაგობა შემეწყვიტა, მაგრამ მე ყურადღება არ მივაქციე. რა ვიცოდი, თუ ასე დამთავრდებოდა ყველაფერი? შემდეგ სიტუაცია დაიძაბა და მან ცემა დამიწყო. ხელი არ შემიბრუნებია. მისი დარტყმები მაინცდამაინც ძლიერი არ იყო. თუმცა, ხელი კი მომტეხა", - განაცხადა დაზარალებულმა.

მატჩის დროს მათი სახლიდან ისეთი აყალმაყალი ისმოდა, რომ შეშინებულმა მეზობლებმა შესვლა ვერ გაბედეს და სიტუაციაში გასარკვევად პოლიცია გამოიძახეს. გამოძიების შემდეგ თავდამსხმელი დამნაშავედ ცნეს და 40 გირვანქა სტერლინგის გადახდა დააკისრეს.

აი, ასეც ხდება. საკუთარი რძალი რომ ხელს მოგტეხს, სხვა რაღას გიზამს? ხომ შეიძლება, კისერი მოგიგრიხოს ან უარესი დაგმართოს? (თუმცა, ამაზე უარესი რაღა უნდა დაგემართოს?)

იმედია, ამ მაგალითის შემდეგ განსაკუთრებით ფრთხლად იქნებით!

### მუშტი-კრივი გვირაბში

თქვენი ნებართვით, ჩხუბის თემას გავაგრძელებ.

იმდენჯერ დავწერე მატჩის დროს და მის შემდეგ მომხდარ შეხლა-შემოხლაზე, ახალს ნამდვილად ველარაფერს ვიტყვი. ამიტომაც გადავწყვიტე, ზედმეტი ლაი-ლაით თავი აღარ მოგაბეზროთ (თუ უკვე არ მოგაბეზრეთ!) და პირდაპირ საქმეზე გადავიდე.

ინგლისის პრემიერ-ლიგის მორიგი მატჩის შემდეგ, "ბირმინგემისა" და "ასტონ ვილას" (შეხვედრა "ბირმინგემის" გამარჯვებით 2:0 დამთავრდა) ფეხბურთელები გვირაბში ერთმანეთს დაერივნენ (რამდენიმე ფეხბურთელი კი არა, ორივე გუნდის მთელი შემადგენლობა, მატჩში მონაწილე ოცდაორივე ფეხბურთელი). ინციდენტს წინ უძღოდა მსაჯის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე ლი ჰენდრისა და მარიო მეხიოტს შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, გაგრძელება მოჰყვა.

მოკლედ, გვირაბში ისეთი ამბავი ატყდა, ვინ ვის ურტყამდა და ვინ რას ურტყამდა, ძნელად თუ გაიგებდით, იქ რომ ყოფილიყავით (მეც გადმოცემით ვიცი, აბა, იქ კი არ ვყოფილვარ!). ვერ გეტყვით, რომ დროულად, მაგრამ მაინც, მოჩხუბრები გააშველეს. არც სისხლი დაღვრილა და არც სერიოზულად დაშავებულა ვინმე.

ამჟამად მიმდინარეობს მტყუან-მართლის დადგენის რთული და დამღლელი პროცესი.

### ლამპარდის იდილია

ამდენი უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ, მგონი დროა, სასიამოვნო ამბებზეც გადავიდეთ.

ერთ მეტად ბედნიერ ფეხბურთელზე მინდა გიამბოთ. ფეხბურთელზე, რომელიც ინგლისის ეროვნულ ნაკრებსა და ლონდონის "ჩელსიში" იღვწის, ფეხბურთელზე, რომელსაც ფრენკ ლამპარდი ჰქვია.

ჯერ ერთი, მის გუნდს ინგლისის პრემიერ-ლიგის მოგების საკმაოდ დიდი შანსი აქვს. მთავარია, ლიდერის პოზიცია, რომელიც ახლა უკავია, ბოლომდე შეინარჩუნოს. იგი 11 ქულით უსწრებს "მანჩესტერ იუნაიტედს".

მეორე, "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც გავიდა და, თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, ამ ტურნირის გამარჯვებულიც შეიძლება გახდეს.

ეს რაც შეეხებოდა კარიერას. ახლა პირად ფრონტზეც გადავინაცვლოდ.

მალე 26 წლის ლამპარდი მამა გახდება. ასეთ შეუდარებელ საჩუქარს უმზადებს მისი საცოლე ელენა საყვარელ საქმროს.

ჰოდა, ფეხბურთელსაც მეტი რაღა უნდა. რასაც ხელი მოკიდა, ყველაფერი გამოუვიდა, ყველაფერში გაუმართლა. ისიც ცხოვრებით ტკბება. როცა ვარჯიში არა აქვს, თავის ელენასთან ერთად მაღაზიებში დახეტიალობს და უამრავ ფულს ხარჯავს.

P.S. ბედნიერ ლამპარს საქილიკო ვერაფერი მოვუძებნე. ამიტომ მხოლოდ ფაქტები მოგაწოდეთ.

# "სახელმწიფო სკოლაში რელიგიური განათლების პერსპექტივაზე" და არა მარტო მასზე

ვიქტორ რცხილაძე

საუბარია გაზეთ "24 საათში" (12 მარტი, 2005) გამოქვეყნებულ ამავე სახელწოდების წერილზე ბექა მინდიაშვილის ავტორობით. თავიდანვე ვიტყვი, რომ ავტორი გამსჭვალულია საუკეთესო სურვილებით, რომლის კეთილშობილ პათოსს მთლიანად ვიზიარებ. მაგრამ ჩემი, მორწმუნის პოზიციიდან დანახული, ამ წერილს აქვს რამდენიმე ხარვეზი და ამიტომ მათ მიმართ შენიშვნებით დავკმაყოფილდები. რასაც არ აღვნიშნავ, იქ მთლიანად ვეთანხმები პატივცემულ ბექას, რამდენადაც ვხვდები, ახალგაზრდა კაცს.

ბატონი ბექა ბრძანებს: "ჩვენში საბჭოური კომუნიზმის ადგილი თანდათანობით იდეოლოგიზებულმა მართლმადიდებლობამ დაიკავა... მისგან მხოლოდ აკრძალვებს და თავისუფლების შეზღუდვის დირექტივას ვისმენთ, ანუ იქცევა ისე, როგორც ოფიციალური იდეოლოგიის რეპრესიული აპარატი... მოზეიმე, ოქრო-ვერცხლით შემკული, ცრუსასწაულებით გაჯერებული, შოვინისტური და ანტიდემოკრატიული მართლმადიდებლური იდეოლოგია ხდება ჩვენს ქვეყანაში რელიგიური უმრავლესობის მსოფლმხედველობრივი ორიენტირი"... აქ, როგორც იტყვიან, მსჯელობის კეთილი მარცვლები სარეველებში იკარგება. ის, რომ ქრისტიანობა იდეოლოგია არაა, ამას საგანგებო წერილი უძღვნა მეოცე საუკუნის დიდმა ფილოსოფოსმა და თეოლოგმა კარლ რანერმა, რომლის განხილვას აქ არ შევუდგები და დაინტერესებულ მკითხველს ჟურნალ "რელიგიაზე" მივუთითებ (№4, 2004, კარლ რანერის წერილი "იდეოლოგია და ქრისტიანობა"). ასე რომ, სადაც "იდეოლოგიზება" ხდება, იქ ქრისტიანობას არაფერი ესაქმება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს ნათლად უნდა წარმოვაჩინოთ და დავამტკიცოთ ჩვენი მართლმადიდებლობის მისამართით. ჯერჯერობით, თუკი ეს სიმართლეს შეეფერება, ავტორის ერთი განსაზღვრება "შოვინისტური" აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, რომელიც კ. რანერის კლასიფიკაციის მიხედვით Imanerz-ის იდეოლოგიას განეკუთვნება. მაგრამ, მეორე მხრივ, ნუ დაგვავიწყდება, რომ მართლმადიდებლობა, თავისი სპირიტუალობითა და მისტიკით, სწორედ იდეოლოგიათა მსხვრევის შედეგად მკვიდრდება. თეოლოგ პ.ჰ. კოლვენბახს მიაჩნია, რომ ადამიანის არსებობის გაგება მისტიკის მხრიდან დღეს უფრო ადვილია, ვიდრე უწინ, რადგან, ფაქტობრივად, ყველა დიდმა იდეოლოგიამ კრახი განიცადა და ადამიანი სულ უფრო მეტად აღმოჩნდა დაპირისპირებული თავად მისგან წარმოქმნილ აპორიებთან (იხ. "რელიგია", №1, 2005). ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ასეთი "შოვინისტურად", უფრო სწორად, "ნაციონალისტურად" განწყობილი მლოცველები მარტო ჩვენს ეკლესიას არ ჰყავს და, რაც მთავარია, ჭეშმარიტად რელიგიურნი და მორწმუნენი გარკვეულ ჯებირს აღმართავენ მათ წინააღმდეგ. ამის თაობაზე არცთუ დიდი ხნის წინ თავად ვწერდი "24 საათში", როდესაც მოვიყვანე თეოლოგ პ.მ. ცულენერის სიტყვები: "დიდ ქრისტიანულ ეკლესიებში ამჟამად მათი წევრების ორი სახეობა შეინიშნება: არაპოლიტიკური ღვთისმოსავნი და არაღვთისმოსავი პოლიტიკურნი... ამ ორ მიმდინარეობას არათუ ცოტა რამ აქვთ საერთო, არამედ ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენ და ჭეშმარიტ ქრისტიანებად არ თვლიან". და აქ ცულენერი ფრიად ნიშანდობლივ დასკვნას აკეთებს: ადამიანი "რამდენადაც მისტიკურია, იმდენადვეა პოლიტიკური!" ანუ: არსებობს "ბრძანების მორალი" - რაც უფრო ღრმად რელიგიურია პიროვნება, მით უფრო ემორჩილება უფლის ბრძანებას, რომ სიკეთისა და სამართლიანობის მხარეს იყოს. ეს, გადატანილი სოციალურ სფეროში, ითხოვს არჩევანის (კატეგორიულად) გაკეთებას და, ამდენად, პოლიტიკაში ჩართვას. ასეთი არჩევანი გაკეთებულია, მაგალითად, სიორენ კირკეგორის მიერ, როდესაც იგი წერდა: "მთელი ეს სულელური ლაყბობა "ნაციონალობაზე" ერთი ნაბიჯით უკან დახევაა წარმართობისკენ. ქრისტიანული მოძღვრება სწორედ იმისკენ ილტვის, რათა აღმოფხვრას წარმართული თაყვანისცემა ნაციონალობებისადმი". ჩვენს დროში ასეთი გახლდათ სერგეი ავერინცევი, რომელიც რუსულ საზოგადოებას მოუწოდებდა: "როგორც ახლა გრცხვენიათ თქვენი კომუნისტური წარსულისა, ასევე შეგრცხვებათ მომავალში თქვენი ნაციონალისტურობის გამო".

რაც შეეხება "ოქრო-ვერცხლს" - ეს ეკლესიაში არსებული უძველესი ცოდვაა, "სიმონია", რომელსაც ებრძოდნენ ძველთაგანვე და საეკლესიო კრებაზე შეაჩვენებდნენ. ამიტომ მიიჩნევდა ნეტარი ავგუსტინე, რომ ხილული ეკლესიის გარდა არსებობს ზეციური, უცოდველი ეკლესია. ყოველ შემთხვევაში, ვინც სიმონიას ეწევა, მას ღვთისგანვე მოეკითხება ამის გამო. ცხადია, მისი "იდეოლოგიის" რანგში აყვანა მთლად მართებულად არ მიმაჩნია.

ბატონი ბექას ტექსტში რჩება კიდევ ორი განსაზღვრება, რითაც თურმე გამოირჩევა "ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლური იდეოლოგია". ესენია "ცრუსასწაულები" და "ანტიდემოკრატია". რასაც ავტორი "ცრუსასწაულად" მიიჩნევს, ამაზე ცოტა ქვემოთ შევჩერდები, ახლა კი განვიხილოთ "ანტიდემოკრატია" ეკლესიასთან მიმართებით.

ეკლესია თავისი მკაცრი იერარქიული აგებულებით სწორედ რომ არ უნდა იყოს "დემოკრატიული" ჩვეული გაგებით. მაგრამ საკითხი ითხოვს უფრო სიღრმისეულ განხილვას. რასაც ჩვენი დემოკრატები ითხოვენ ეკლესიისაგან, საბოლოო ჯამში, არის ის, რომ მან არ უნდა შეზღუდოს ინდივიდუუმის თავისუფლება, რათა ამ უკანასკნელმა თავისი ზნეობრივი უნარის საფუძველზე დაყრდნობით განაგოს საკუთარი თავი და, იერარქიის სრული უკუგდებით, მიუთითებდეს მას, თუ რა არის კარგი და რა - ცუდი. მაგრამ ასეთი ინდივიდუალისტური სრულყოფილების ეთიკა ამოდის იმ წინაპირობიდან, რომ ადამიანი პრინციპულად კეთილია. მაგრამ ეს ასე არაა. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ იგი ბოროტია, ბოროტია ღვთის წინაშე, ხოლო ღმერთი კეთილია ბოროტი ადამიანის მიმართ. პირველცოდვის გამო ადამიანს სურს სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ საკუთარი ქმნილებებითა და საქმეებით. ეს არის სწორედ ცოდვის წყევლა, რომ ადამიანს სხვარიგად არც ძალუძს. განახლებული ადამიანი არ არის ზნეობრივი გაგებით სრულყოფილი ადამიანი. ძალა ბოროტების დამთრგუნველისა მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუკი ბოროტების შეცნობის გზა არსებობს. ეს გზა კი ეკლესიაა, რომელიც ბოროტებას შეგვაცნობინებს (ეს აზრები აღებული მაქვს გერმანელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის ფრიდრიხ გოგარტენის 1932 წელს გერმანიაში გამოცემული წიგნიდან "პოლიტიკური ეთიკა". უფრო ვრცლად მის შესახებ იხ. "რელიგია", №1, 2005).

შემდეგ ბატონი ბექა გვაფრთხილებს სახელმწიფოს მიერ ეკლესიის მხარდაჭერის საშიშროებაზე და საუბრობს ბიზანტიისა და მეფის რუსეთის მაგალითებზე. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ როდესაც ამის თაობაზე წერდნენ ვლადიმირ სოლოვიოვი და ნიკოლაი ბერდიაევი, მაშინ უფრო გამძაფრებული იყო ამ მხრივ ვითარება. რასაკვირველია, დღესაც არის საშიშროება, რომ ნაციონალისტურად განწყობილმა ფარისევლებმა არ წაბილწონ ამ კუთხით ჩვენი ეკლესია. ამის თაობაზე არცთუ დიდი ხნის წინ მე თავად ვწერდი "24 საათში". მაგრამ არსებობს უფრო დიდი საშიშროება, რომელიც ამჟამად უფრო აქტუალურია. ეს გახლავთ რწმენისადმი ევროპული ინდიფერენტიზმი, პრაქტიკული ათეიზმი (ნიცშე: "უდაბნო იზრდება..."), რამაც სერგეი ავერინცევს ათქმევინა, დასავლეთში მხოლოდ რწმენის ოაზისებია შემორჩენილიო.

ბატონი ბექა ძალზე მოხიბლულა იმით, რაც "აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ დადგენილებაში" ჩაუწერია "მოსამართლის მადლიან მარჯვენას": "ძალაუფლებასა და რელიგიას შორის კავშირს ძალაუფლების განადგურებამდე და რელიგიის გადაგვარებამდე მივყავართ".

ალბათ ბატონი ბექა ნებას მომცემს ამას ვუპასუხო ფრიად თავისუფალი მოაზროვნის, ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსის გილბერტ კიით ჩესტერტონის სიტყვებით. იხსენებს რა ინკვიზიციის დევიზს "მართლმსაჯულება და მოწყალება", იგი თავის "ორთოდოქსიაში" წერს: "ტორკვემადას დროს, ყოველ შემთხვევაში, არსებობდა სისტემა, რომელიც ნაწილობრივ შეარიგებდა მართლმსაჯულებას მოწყალებასთან. დღეს ისინი შეხვედრისას აღარც ესალმებიან ერთმანეთს".

შემდეგ ბ-ნი ბექა ბრძანებს: "რელიგიის ისტორიისა თუ რელიგიათმცოდნეობის გაკვეთილზე... მიუკერძოებლად უნდა ისწავლებოდეს სხვადასხვა აღმსარებლობები" და ა.შ. მაგრამ ასეთი "მიუკერძოებელი" მხოლოდ ათეისტი შეიძლება იყოს და, როგორც ჩანს, ბ-ნი ბექა თავის თავს ასეთად არ მიიჩნევს. როგორ შეიძლება "მიუკერძოებელი" იყო, ვთქვათ, ისეთი რელიგიური წარმოდგენების მიმართ, რომლებიც ითხოვდნენ ადამიანის მსხვერპლშეწირვას, ან, თუკი ვესტალი ხორციელად შესცოდებდა, მის ცოცხლად დამარხვას ან, სულაც, კანიბალიზმის ორგიებს. ანდა ავიღოთ "დიდი" რელიგიები. მივმართოთ ისევ ჩესტერტონს. იგი წერს: "აი, უფსკრული ბუდიზმსა და ქრისტიანობას შორის: ბუდისტები და თეოსოფები მიიჩნევენ, რომ პიროვნება ადამიანისთვის ულირსი რამ არის, ქრისტიანი კი პიროვნებაში ხედავს ღვთის უმაღლეს ჩანაფიქრს. სამყაროს სული თეოსოფიისა ითხოვს სიყვარულს ადამიანისგან, რომელიც მასშია გათქვეფილი. მაგრამ ღვთაებრივი შუაგული ქრისტიანული რწმენისა ადამიანს გატყორცნის გარეთ, რათა მან შეძლოს ღვთის სიყვარული". შემდეგ: "ბიზანტი არ გვასწავლის მახლობლის სიყვარულს - მას სურს, რომ ჩვენ თვითონ გავხდეთ ჩვენივე მახლობელნი. ასეთი არის ღრმა და მრავლისაღმთქმელი რელიგია, რომელმაც ყველა უნდა შეარიგოს ერთურთს. არც ერთი თეორია არ იწვევს ჩემში ისეთ გააფთრებულ პროტესტს, როგორც ეს. მე მსურს მახლობლის სიყვარული არა იმიტომ, რომ ის - მე ვარ, არამედ სწორედ, რომ იგი - მე არა ვარ".

"მიუკერძოებელი" ალბათ გაკვეთილის ჩასატარებლად ჩესტერტონს საკლასო ოთახში არ შეუშვებდა. სამაგიეროდ, ამის პატივს მიანიჭებდა ვინმე ათეისტ შახნოვიჩს.

ბატონი ბექა დიდ ნაკლად უთვლის განათლების სამინისტროს, რომ მან ალტერნატიულ სახელმძღვანელოდ III-IV კლასებისთვის დაამტკიცა საბერძნეთის განათლების სამინისტროს სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი "ქრისტეს გზა". მადლობელი ვარ ბ-ნი ბექასი, რომ ასეთი ფაქტი გამაცნო, რის შესახებაც არაფერი ვიცოდი. მე მესმის, როდესაც ბ-ნი ბექა საუბრობს ამ წიგნის "ლიტერატურულ და ესთეტიკურ უგემოვნობაზე", მაგრამ არ მესმის, როდესაც იგი ასე აგრძელებს: "ამაზე მეტად ის არის შემაშფოთებელი, რომ სახელმძღვანელო ერთგვარი თანამედროვე გზამკვლევია, კატეხიზმოა მართლმადიდებლობაზე მოსაქცევად". როგორც ჩანს, ბ-ნ ბექას დაავიწყდა, რომ იგი მორწმუნეა, თორემ ამაზე უფრო დიდი მიზნის განხორციელებას წიგნის მეშვეობით კაცი ვერ ინატრებდა. ანდა ეს უარყოფითი დამოკიდებულება "რელიგიის გაკვეთილის დაწყებამდე ლოცვის წარმოთქმის მიმართ და იმისი მტკიცება, რომ "ლოცვა მხოლოდ ნებაყოფლობითი აქტია". ლოცვა კი არის "ნებაყოფლობითი აქტი", მაგრამ ბავშვებმა ჯერ ხომ უნდა ისწავლონ ლოცვა?! ასეთი პოზიცია ჰეგელის ერთ გამოთქმას მახსენებს, რომელიც მან იხმარა კანტის შემეცნების თეორიის მისამართით: წყალში შესვლამდე ცურვას სწავლობენ...

ანდა სკოლაში "სალოცავი ოთახისა და კუთხის", ან სულაც ეკლესიის არსებობის წინააღმდეგ გალაშქრება! ეს "გალაშქრება" უკვე სოლჟენიცინის გამოთქმას მახსენებს "არქიპელაგ გულაგიდან", რომელიც მან ირონიულად იხმარა ტოლსტოის მისამართით, რადგან ეს უკანასკნელი მოითხოვდა ციხეებში არსებული ეკლესიების გაუქმებას. სოლჟენიცინმა ასე გასძახა საიქიოში მყოფს: აღსრულდა ოცნება ტოლსტოისა და ციხეებში ყველა ეკლესია მოსპეს - ახლა პირდაპირ ჯოჯოხეთში ვართ!

ახლა უკვე აღარ მიკვირს, რომ ბ-ნი ბექა "რელიგიის ბუნების უზუსტეს განმარტებას" მარქსთან ეძებს და არა მეოცე საუკუნის გამოჩენილ რელიგიის ფილოსოფოსებთან, როგორებიცაა რ. ოტტო, რ. გუარდინი, ფრ. ჰაილერი, ი. ვახი, მენშინგი და სხვები. ამ დროს გამოთქმა "რელიგია ოპიუმია ხალხისათვის", ბ-ნ ბექას მარქსის გამონათქვამად მიაჩნია. სინამდვილეში მარქსი წერს: "იგი არის ხალხის ოპიუმი" და არა "ოპიუმი ხალხისთვის, რომელსაც მას გაბატონებული კლასი აწვდის". ანტირელიგიური ბრძოლის გასამძაფრებლად ასე გადაასხვაფერა ლენინმა მარქსის გამოთქმა თავის წერილებში რელიგიაზე (კარლ მარქსის ეს ციტატა, ისევე როგორც მისი ანტირელიგიური ტექსტები, უშუალოდ გერმანულენოვან გამოცემათა მიხედვით გაკრიტიკებული მაქვს ჟურნ. "რელიგიაში", №№4, 5, 6 - 2004, თავი: "კარლ მარქსის მიერ რელიგიის კრიტიკა და მისი ანტიკრიტიკა". რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ რელიგიის ფილოსოფოსებს, იხ. ამავე ჟურნალში: "რუდოლფ ოტტო და წმიდა რომანო გუარდინი და რელიგიური გამოცდილების ფენომენი"; იხ. აგრეთვე ჩემი წერილი "რელიგია და ისტორიული კვლევა", ჟურნ. "რელიგია" №7, 1992).

შემდეგ ბ-ნი ბექა წერს: "ვინც შემთხვევით უარყოფდა გეოცენტრიზმს და სანაცვლოდ ჰელიოცენტრიზმს აღიარებდა, მაგალითად, ზოგჯერ კოცონზე იწვოდა, კურთხევით".

ბ-ნი ბექა დიდ პატივს დამდებდა, თუკი ისტორიიდან ერთ მაგალითს მაინც მომიყვანდა, "ჰელიოცენტრიზმის" გამო ვინ დაწვეს კოცონზე!!!

ახლა იმის თაობაზე, რასაც ბ-ნი ბექა არ ენდობა - "სანამ ურწმუნო თომასავით ჩემი ხორციელი თვალი არ იხილავს" და ა.შ. - იმ სასწაულებს, რომლებსაც ადასტურებს ჩვენი პატრიარქი, კერძოდ, მდინარე იორდანეს თაობაზე, მიუხედავად იმისა, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, რომ "ამ ფაქტს ათასობით მოწმე ჰყავს".

მე არ ვიცი, თუ ბატონი ბექას როგორი განაცხადია ეს - სკეპტიკური, ცინიკური, აგნოსტიკური თუ ყველა ერთად აღებული. თუ მორწმუნეა, საკითხავია, განა სახარებისეული სასწაულები არ სწამს? თუ სწამს, განა იქ წარმოუდგენლად უფრო დიდი სასწაულები არ ხდება როგორც ფიზიკურ, ისე რელიგიურ პლანში? მივმართოთ ისევ ჩესტერტონს, რომელიც ახალი დროის ენით საუბრობს ამ საკითხებზე: "თანამედროვე ევროპაში თავისუფლად მოაზროვნე - ეს არ არის ადამიანი, რომელიც თავისებურად ფიქრობს". ეს არის ადამიანი, რომელმაც თავისებურად იფიქრა და აარჩია გარკვეულ დოგმათა ნაკრები: სამყაროს მატერიალური საწყისი, სასწაულთა და პიროვნული უკვდავების შეუძლებლობა და სხვ. თითქმის ყველა ეს იდეა უცილობლად არათავისუფალია... თუნდაც თავისუფლად უარვყოფდეთ სასწაულებს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არსებობენ. ესაა უსიცოცხლო ცრურწმენა, რომლის სათავე - აზრის თავისუფლება კი არ არის, არამედ მატერიალისტური დოგმა... სასწაული - წამიერი მბრძანებლობაა სულისა მატერიაზე... თუ ადამიანს ძალუძს სასწაულებისადმი რწმენა, იგი სწორედ ამის ძალით უფრო მეტადაა თავისუფალი, რადგან სასწაულები ნიშნავს, პირველ ყოვლისა, სულის თავისუფლებას და მერე მის მბრძანებლობას გარემოებათა ტირანიაზე".

მადლობა ღმერთს, როგორც წარსულში, ისე აწმყოში მრავალი სასწაულია ურყევად დადასტურებული, რომელთა ჩამოთვლა ნამდვილად შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთს მაინც გამოვყოფ, რადგან ვინ იცის, ამის წამკითხველს, შეიძლება იგი დაეხმაროს. ვგულისხმობ ლოცვებს ავადმყოფის გადასარჩენად. აი, რას გვამცნობს ამის თაობაზე 1994 წელს გარდაცვლილი ათონის მთის ნეტარი ბერი პაისი: "თუ არ ვილოცებთ ავადმყოფებისთვის, მაშინ ავადმყოფობა ბუნებრივად განვითარდება. ხოლო მაშინ, როდესაც მასზე ვლოცულობთ, მას ძალუძს იცვალოს თავისი ბუნებრივი სვლა. ამიტომ ყოველთვის ილოცეთ ავადმყოფისთვის". ნეტარ მთაწმინდელს ამაზე დაკვირვებისთვის საკმაო დრო ჰქონდა.

შემდეგ ბ-ნი ბექა თავს ესხმის (სამართლიანად) საქართველოში მოღვაწე არქიმანდრიტ რაფაელ კარელინს. რამდენიმე წლის წინ იგი თავად გავაკრიტიკე პრესაში რუსული შოვინისტური ზრახვებისთვის. ახლა ბ-ნი ბექა ამ არქიმანდრიტის მთელ ცდომილებებს ჩამოთვლის, მათ შორის ქრისტიანობის პოზიციიდან რენესანსის კრიტიკას. ჩემი აზრით, სწორედ აქ აჭარბებს ბ-ნი ბექა. საქმე ისაა, რომ ამ მხრივ ბევრ გამოჩენილ მოაზროვნესა და მწერალს, ცხადია, უფრო ღრმად და მასშტაბურად დაუწერია ამ თემაზე. რად ღირს თუნდაც ამის თაობაზე დაწერილი ჰანს ზედლმაირის წიგნი "ცენტრის დაკარგვა" (იხ. ამაზე ჩემი წერილი "მშვენიერების იდუმალება", ჟურნ. "რელიგია" №1, 2005). ასევე ვერ დავეთანხმები ბ-ნ ბექას, რომ "ფანატიკური სწავლებაა" მოძლვრება ისეთ თემებზე, როგორიცაა "სამყაროს მოახლოებული დასასრული", "თანამედროვე სატანისტურ-ლუციფერული ხდომილებები", ან თუნდაც "ანტისექტანტური პროპაგანდა". ყოველივე ეს დღესაც ღვთისმეტყველების სერიოზული მსჯელობის საგანია.

ასევე სამადლობელო სიტყვების ღირსია ჩემგან ბ-ნი ბექა, რომლისგანაც შევიტყვე, რომ თურმე საპატრიარქოსთან არსებობს ე.წ. "კრეაციული საზოგადოება". რასაკვირველია, ბ-ნი ბექა ირონიზირებს ამ საზოგადოების მიმართ, რაც მთლად მართებულად არ მიმაჩნია, რადგან თვითონ თემა, როგორც თავად ბრძანებს, "კრეაციონიზმისა და ევოლუციონიზმის სწავლების დიალექტიკა" - ყურადღებას იმსახურებს. ამის თაობაზე ბ-ნ ბექას ერთ ჩემს პატარა წიგნზე მივუთითებდი (სპირიტიზმი ქრისტიანულის რწმენის სამსჯავროზე, თბ. 1992), რომლის პირველი თავი მთლიანად ეხმიანება ზემოხსენებულ საკითხს და სადაც ხაზგასმულია, რომ ფსიქიკური ბუნების აბსოლუტური თვისებრივი განსხვავება მატერიისგან უგულებელყოფილია ევოლუციის თეორიაში. მეორე საუკუნის ბუნებისმეტყველის სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს გარემოება ჯეროვნად "არ ფასდება, როდესაც ადამიანს, როგორც მთლიანობას, ბუნებისმეტყველება განვითარების საფეხურზე აყენებს" (Grison, Grheimnis der Schopfung, Munchen 1960, S. 166-167).

ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ "აშაყირებს" ბ-ნი ბექა ბ-ნ კახა ლომაიას. ბექა მინდიაშვილი მოგვითხრობს: "განათლების მინისტრმა ჟურნალისტს საკუთარი აღმსარებლობის გამხელაზე უთხრა უარი, ხოლო ერთი წლის თავზე პატრიარქის წინაშე მუხლი მოიყარა, ჯვარ-ხატებით ხელი დაიმშვენა და იმგვარი მემორანდუმის დადება მოახერხა, რომ მოგვიანებით უკვე სხვა ჟურნალისტმა კრეაციონიზმის სწავლების აუცილებლობაზეც კი ალაპარაკა მართლაც მოჯადოებულივით მომზირალი მინისტრი". ცოტა ქვემოთ: "ხომ არ უღალატა ბატონმა კახა ლომაიამ მასონებს და კრეაციული საზოგადოების ხელდასხმა მიიღო?" ამაზე ორგვარი შეპასუხება შეიძლება. თუ ბ-ნი კახა ლომაია მართლაც მოექცა და ქრისტე იწამა, ეს ვერაფერი სახუმარო თემაა. თუ იგი ფარისევლობს და მორწმუნეობას მხოლოდ "თამაშობს", ეს დიდად საწყენი რამ იქნებოდა, მაგრამ ამ "თამაშსაც" შეიძლება თავისი გაგრძელება მოჰყვეს. მე გავახმოვანებ ერთ ცნობილ ფაქტს (ამ შემთხვევაში კ. ლომაია არაფერ შუაშია), რომელიც საეკლესიო წრეებისთვის ცნობილია. საბჭოთა რეჟიმის დროს ძლევამოსილი "კგბ" ეკლესიის მსახურებს შორის თავის აგენტებს გზავნიდა, რომლენიც ლოცულობდნენ, მარხულობდნენ და ა.შ. მაგრამ ეს აგენტები ერთიორი წლის მერე "კგბ"-სთვის აღარ ვარგოდნენ: ამ რელიგიურმა "თამაშებმა" ისინი სერიოზულად ჩაითრია და ღვთის მადლის შეწევნით მორწმუნენი გახადა! ეს უნდა ახსოვდეს ყველა ამგვარ "მოთამაშეს" და მათაც, ვინც ამაზე იცინის.

დაბოლოს აღვნიშნავ: ეს წერილი არ დაიწერებოდა, ბ-ნი ბ. მინდიაშვილი გამოკვეთილი ათეისტი რომ ყოფილიყო. მაგრამ მე მანუგეშა მისმა წუხილმა: "მართლმადიდებლობა, როგორც პიროვნული ღმერთის ცოცხალი რწმენა, როგორც ადამიანისა და მაცხოვრის ურთიერთსიყვარულის შესაძლებლობა, დღითი დღე ხელიდან გვეცლება..."




| | |
|---|---|
| სახელი ______ | მისამართი |
| გვარი ______ | |
| ასაკი ______ | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______ |
| სიმაღლე ______ | |

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვარო ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ექებს ერუდირებულ, თამამ, მონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**მთხოვთ გვაცნოთ გარკვევით მოანქეთ უფასოდ**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნეიტრალური ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს არაუმეტეს ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი






1. ცირკის მოედანი; 2. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გავრცელებული ტრანსპორტი; 3. დაფქული მარცვლის გარსის ნარჩენი; 4. საპარფიუმერიო საშუალება; 5. გრძელი დანა ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 6. ფიდე-ს პრეზიდენტი 1970-78 წლებში; 7. "რომას" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი; 8. ქალაქის უბანი დისკრიმინირებული მოსახლეობისათვის; 9. მიწის სახვნელი ძველებური იარაღი; 10. ლეგენდარული ამერიკელი როკ-მომღერალი; 11. შტატი აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთში; 12. ქრისტიანული საიდუმლოება; 13. ძველრომაული დღესასწაული დიონისეს პატივსაცემად; 14. ორგანიზმის მოწამვლა, გამოწვეული თირკმლის უკმარისობით; 15. შტატი აშშ-ში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე; 16. იაპონიის ელექტროტექნიკური კომპანია; 17. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში "კაფკა"; 18. სამჭედლო ხელოვნების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 19. მდინარე ბერლინში; 20. ძველებური ფრანგული მონეტა; 21. უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი; 22. ვიწრო და გრძელი თხრილი; 23. ომის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 24. ნიკოლოზ შენგელაიას ფილმი; 25. ბრაზილიელი მწერალი; 26. ორკორპუსიანი სპორტული იახტა; 27. დედნიდან ზუსტად გადაღებული ტექსტი; 28. კანის ქრონიკული დაავადება; 29. შემოსავალ-გასავლის თანხათა შეფარდებითი ნუსხა; 30. ეკლესიას ჩამოშორებული რელიგიური ჯგუფი; 31. ნ. ბარათაშვილის ლექსი; 32. იაპონელი ძალოსანი, ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების ჩემპიონი; 33. იმპერატორის ტიტული ძველ რომში; 34. მთის ქანის აგებულება შემადგენელი ნაწილების ორიენტაციის გათვალისწინებით; 35. ყველაზე დაბალი ჟღერადობის სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი; 36. მილებისა და არხების სისტემა ჩამდინარე წყლების გასადენად; 37. თბილი ქვეყნების მარადმწვანე ხე; 38. სწორი ხაზი.

## TV პროგრამა

29 მარტი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** რობოტი და რობოტუნა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** რობოტი და რობოტუნა **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "არქტიკული ოპერაციები" **00.00** მხ. ფილმი "ფორმულა 51" (18) (ს. ელ ჯექსონი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.20(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **07.00** მოგზაურობა შიმშილის საწინააღმდეგოდ. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** მეტისი. მხ. ფილმი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. **24.30** ბიძაშვილები მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ შაბროლი. **04.25** მაშველები. ტელესერიალი.

### JISI

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" -ჰუსეინი **16.30** დოკ. ფილმი "ცეკვა დეგას შემოქმედებაში" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - ქრისტიანული ოჯახები **23.30** მხ. ფილმი "დინოკროკი" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 17.20, 21.00** ტუწ-ემ **11.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.30** ინდ. მხ. ფილმი "ჯუნგლების მეფე" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "ახალი თაობის სპეცრაზმი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "ავტოგრაფი". ლუკა კურტანიძე. **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** მუსიკა მზეზე **21.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. **23.00** დოკ. ფილმი "ამხანაგი პრეზიდენტი" **00.00** მხ. ფილმი "ექო" (გ) (არმანდ ასანტე)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "პარიზის ცხოველები" **21.45** კონცერტი **22.50** კინოსეანსი "მოლანდება"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.30, 17.10, 03.00, 06.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.30** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 06.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად **01.40** მხ. ფილმი "ჯეიკობის კიბე" (15) (ტიმ რობინსი) **04.00** მხ. ფილმი "არჩევანი" (გ) (ჟაკლინ ბისე) **06.05** ქრონიკა

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** კომედია "ჰუძონის ქორი" **11.25** მუსიკა **12.00** ფანტასტიკა "ვარსკლავური ომები" **14.00** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მხ. ფილმი "ორდერი" **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** თრილერი "დაპირება" **23.00** დოკ. ფილმი "ნაპოლეონი ბონაპარტე" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "მე დინა ვარ"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Хью Джекман в боевике **"ВАН ХЕЛЬСИНГ". 11.30** "Кумиры". Людмила Лядова. **12.20** Николас Кейдж в фильме **"ЭТО МОГЛО СЛУЧИТЬСЯ С ТОБОЙ". 14.10** Док. фильм "Рай по заказу". **15.20** Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Диагноз - квартира". 1-2 с. **18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"БРЕЖНЕВ". 22.40** Спецрасследование. "Фальшивые деньги". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Космос. Обратный отсчет". 1-я серия. **00.30** Искатели. "Свидетель великой осады". **01.00** Эдвард Фокс в триллере **"ДЕНЬ ШАКАЛА".** Фильм, действие которого происходит во Франции в начале 60-х годов, основан на реальных событиях. Картина воспроизводит историю покушения на жизнь президента Франции Шарля де Голля, предпринятую ультраправой террористической организации ОАС. Исполнителем воли преступников стал опытный наемный убийца по кличке Шакал, согласившийся выполнить эту работу на полмиллиона долларов. **03.20** Уильям Макнамара в комедии **"ОТЕЛЬ "ПАРАДИЗ". 04.50** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА"**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: УБИЙСТВО НА МЭДИСОН АВЕНЮ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.40** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: ПОЧЕРК УБИЙЦЫ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Владимир Меньшов в сериале **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 1**-я с. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Александр Лыков в детективном сериале **"ФАВОРСКИЙ". 1**-я с. **20.45** Сергей Маховиков в сериале **"СЛЕПОЙ". 1**-я серия. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 01.15** Журнал Лиги чемпионов. **01.45** Владимир Высоцкий в фильме **"ВЕРТИКАЛЬ".** Шестерка отважных альпинистов отправляется в горы, четверо из них пробуют покорить неприступную вершину. Когда под снежной лавиной пропадают двое и с ними прерывается связь, все оказываются словно в другом измерении - "по вертикали"... **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.40** Чрезвычайное происшествие.

# მზიური ველის სერენადა, ანუ 250 ათასი დოლარი... მანქანის გაჩერებისთვის

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-დან

გეგულებათ სამყაროში მანქანების სადგომი, 250 ათასი დოლარი რომ ღირდეს? არა, არაფერი შემშლია - სწორედ 250 ათასი დოლარი. ლენინის ცნობილი გამოთქმის - "არის ასეთი პარტია!" - პერიფრაზს მოვიშველიებ და კიდევ უფრო დიდი აღტაცებით ვიტყვი: "არის მანქანების ასეთი სადგომი!" და რაც კიდევ უფრო საკვირველია, ეს არ არის მიწისქვეშა ფეშენებელური ფარეხი, ჩვეულებრივი სადგომია, ღია, ცივი ცის ქვეშ და თანაც ყოველგვარი დაცვის გარეშე.

ეს ზეექსტრავაგანტული სადგომი აიდაჰოს შტატში, კეტჩუმში, სახელგანთქმულ ზამთრის კურორტზე - მზიური ველი. ჩემი ასაკის ხალხს კარგად ახსოვს ეს კურორტი ომის წლების კინოფილმიდან "მზიური ველის სერენადა", რომელშიც მოქმედება დაუვიწყარი გლენ მილერის ჯაზ-ბენდის მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს.

ამ მუსიკალურ-ლირიკული კომედიის არენად ბავარიული ალპების სასტუმროების სტილში აშენებული შენობა გამოიყენეს, არაფრით გამორჩეული, თუ არ ჩავთვლით მის სახელწოდებას - "ედელვაისი". ამ შენობას თავისი ისტორიაც აქვს. 30-იან წლებში რკინიგზის მანდატმა, შემდგომში კი ცნობილმა დიპლომატმა ავრელ ჰარიმანმა (ის ამერიკის ელჩიც გახლდათ მოსკოვში) გადაწყვიტა ზამთრის კურორტი აეშენებინა - რაღაც ამერიკული სენტ-მორიცას მსგავსი - ქათქათა ოაზისი, სადაც მსოფლიოს პოლიტიკური და ფინანსური ლიდერები შეიკრიბებოდნენ ხოლმე და ჩვენი პლანეტის ბედზე მსჯელობასთან ერთად თხილამურებზეც ისრიალებდნენ. ოაზისის ძებნა ჰარიმანმა თავის სკაუტს, გრაფ ფელიქს შაფგოთშს დაავალა. 1935 წელს გრაფმა აცნობა ოლიგარქს, რომ აიდაჰოში, ხის მდინარის ხეობაში შესაფერისი ოაზისი იპოვა და რომ ეს ადგილი, თავისი იდეალური მდებარეობით, არაფრით ჩამოუვარდებოდა სენტ-მორიცს. ოლიგარქმაც ისმინა გრაფის რჩევა და დათანხმდა მზიური ველისა და "ედელვაისის" მშენებლობას. ძლიერთა ამა ქვეყნისა და არა ნაკლებ ძლიერ სახელგანთქმულ ადამიანებს შორის ზამთრობით აქ ისვენებდნენ ხოლმე ირანის შაჰი და ჟაკლინ კენედი, მერილინ მონრო და ერნესტ ჰემინგუეი. ასეთ ოთხეულს ვერანაირი კოზირის ტუზი ვერ "გაჭრის"!

მერე კი უძრაობის ხანა დადგა. მათ, ვისაც "მზიური ველის სერენადა" უნახავთ, ემახსოვრებათ "ედელვაისის" ინტერიერი - უფრო მოტელის მსგავსი, საკმაოდ ღარიბული, ცხადია, ამერიკული გაგებით. მაგრამ ბოლო ხანებში მზიურ ველზე უძრაობა დაჩქარებამ, გარდაქმნებმა (პერესტროიკამ) და, რაც მთავარია, საჯაროობამ (გლასნოსტმა) შეცვალა. მზიური ველი მოდური გახდა. იქ დასასვენებლად დადიან მილიარდერი სოროსი, კინოვარსკვლავი დემი მური, სენატორი ედვარდ კენედი. სწორედ იქ, თავისი მილიარდერი ცოლის ტერეზა ჰაინც-კერის აგარაკზე ითქვამდა სულს წინასაპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელების შემდეგ სენატორი ჯონ კერი. დაჩქარებისა და პერესტროიკის ცენტრად ოტელი "ედელვაისი" იქცა. პრინციპში, იქ არავითარი დაჩქარებული პერესტროიკა არც მომხდარა, ყველაფერი "გლასნოსტით" შემოიფარგლა (რაც თავის თავზე სხვადასხვა გაზეთების ელიტარულმა ქრონიკებმა იტვირთეს), ისევე როგორც გორბაჩოვის დროინდელ საბჭოთა კავშირში. შედეგად კი "ედელვაისის" სტუმართა წიგნი ერთგვარად ამერიკის კორპორაციული და გართობის სამყაროს "ვინ ვინ არის" კატალოგს დაემსგავსა. ის ოლიგარქები და ვარსკვლავებიც კი, ვისაც მზიურ ველზე საკუთარი სასახლეები და ვილები აქვთ, ისეთი, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის გაუგებარი მონდომებით ცდილობენ დაძველებული "ედელვაისის" ლუქსის "დაპყრობას", თითქოს, ზღაპრული შანგრი-ლას სავანეში ხვდებოდნენ.

რატომ?

ასეთი დაჟინების საიდუმლო სტატუსში იმალება. სტატუსი კი იმაში მდგომარეობს, რომ პირველი მოხვდე მზიური ველის კალთებზე, როცა თოვლი ჯერ კიდევ "შეუბღალავია". და აი, სწორედ აქ გამოდის ავანსცენაზე "ედელვაისის" სტრატეგიული დისლოკაცია. ის ხომ იმავე ქუჩაზე დგას, სულ რამდენიმე მეტრში საუკეთესო, ჩქაროსნულ, ოთხკაციან სათხილამურო ლიფტთან, რომელსაც თქვენ, უფრო სწორად, მათი უდიდებულესობა ბოლდ მაუნთინის - მელოტი მთის მწვერვალზე აჰყავს (ამასთან დაკავშირებით მე შევცვლიდი მოძველებულ გამოთქმას "იერარქიული კიბე" ახლით - "იერარქიული ლიფტი"). ისინი, ვისაც სურთ პირველები მოხვდნენ ამ ლიფტში, უბრალოდ მდიდრები ვერ იქნებიან, ისინი ზემდიდრები უნდა იყვნენ. ისინი "ედელვაისის" ნომრებს საცხოვრებლად როდი ქირაობენ. იქ ამ ნომრებს "სათხილამურო გასახდელებს" ეძახიან. ამ ნომრებში ოლიგარქები და ვარსკვლავები ბოლდ მაუნთინიდან დასაშვებად სათხილამურო კოსტიუმებს იცვამენ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. როგორც "ედელვაისში" მცხოვრებთ, მათ უფლება აქვთ თავიანთი მანქანები, ძირითადად "ჰამერები", ოტელის წინ გააჩერონ. ეს კი, როდესაც საქმე ლიფტთან მისწრებაზეა, ძალიან მნიშვნელოვანია. მათ ხომ ოტელის ის მაცხოვრებლები, რომლებიც მანქანებს მიწისქვეშა ფარეხში აჩერებენ, გამარჯვების ფორას აძლევენ.

და სწორედ ეს "სათხილამურო გასახდელი", თავისი მანქანის გასაჩერებელი ადგილით 250 ათასი დოლარი ღირს!

მიკი გარსია - ავტობუსის მძღოლი, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავი მოთხილამურეები ყოველდღიურად სრულიად უფასოდ მიჰყავს "ედელვაისთან", ამბობს: **"ეს ისევ ის ძველი ისტორიაა. მე ეს ბატონები, თავიანთი მრავალმილიონიანი სასახლეებიდან შემიძლია ვატარო ყველგან, სადაც მოისურვებენ. ლიფტთან მათი მიყვანა რვა წუთში შემიძლია. მაგრამ მათ არ სურთ რვა წუთი ავტობუსში სხვა მოთხილამურეებთან ერთად გაატარონ. მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან და მზად არიან ნებისმიერი ფასი გადაიხადონ ამოჩემებადქცეული კომფორტისთვის".**

■ ■ ■

მაშინ, როცა ეს სტრიქონები იწერება, მანქანის მეოთხედმილიონიანი სადგომების მფლობელები, ზოგიერთ ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველთან ერთად, არიან: ლას ვეგასის სასტუმროებისა და კაზინოების მფლობელი სტივ უინი. მას ორი სადგომი და "გასახდელიც" კი აქვს ნაქირავები. ჟურნალ "როლინგ სთოუნსის" მფლობელი ჯენ ვენერი კითხვაზე - "რატომ?", მოკლედ პასუხობს: "ძალიან მოხერხებულია": ფინანსური მაგნატის ჰერბერტ ალენის კომპანიას "ედელვაისში" ხუთი ნომერი უკავია; ტანსაცმლის მაღაზიების ქსელის "ჯეი კრიუს" მფლობელი მილორდ დრექსლერი, პოპ-მუსიკისა და კინოს ცნობილი ვარსკვლავები ბეთ მიდლერი და რობი უილიამსი, ასევე "უსაფრთხოების გამო" ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველი სტუმრები.

**"ყველა მათგანს მზიური ველის მიდამოებში მდიდრული ვილები აქვთ, მაგრამ ჩვენი ნომრები მანქანის გასაჩერებელი ადგილისთვის სჭირდებათ,** - ამბობს ოტელის მმართველი შეინ ჟილბერტი, **- ეს მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მათ ბევრი ფული აქვთ. როგორც კი ლუქსი გათავისუფლდება, მიმინოებივით დააცხრებიან ხოლმე მას".**

უფრო ღარიბებს, უფრო სწორად, ნაკლებად მდიდრებს მანქანის სადგომის 50 ათასად ყიდვა უწევთ, ოღონდ მიწისქვეშა ფარეხში.

"ედელვაისის" წინ გაჩერებულ შავ "ჰამერებს" შორის ერთადერთი წითელი გამოირჩევა. ის კალიფორნიის გუბერნატორს, ჰოლივუდის ტერმინატორს არნოლდ შვარცნეგერს ეკუთვნის...

ცოტა ხნის წინათ აქ გარკვეულ ექსცესს, თითქმის სკანდალს ჰქონდა ადგილი. კალიფორნიელმა მშენებლობის მაგნატმა როლანდ ტატორმა სასამართლოში უჩივლა ადგილობრივ აეროპორტს "ფრიდმენ მემორიალს", რომელიც მზიური ველის მახლობლად, ჰეილიში მდებარეობს. საქმე ის გახლდათ, რომ აეროპორტმა უარი თქვა ოლიგარქის პირადი თვითმფრინავის მიღებაზე, რადგანაც ასეთი ზომის მანქანის - გადაკეთებული "ბოინგ-737"-ის - მიღება პატარა აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე ნამდვილად შეუძლებელი იყო. ოლიგარქი ტატორი სასამართლოზე ირწმუნებოდა, რომ აეროპორტის მენეჯმენტმა დაარღვია მისი თავისუფლად გადაადგილების კონსტიტუციური უფლება. დავა ოლიგარქმა წააგო, მაგრამ დაძაბულობამ ამის გამო კიდევ უფრო იმატა. ზემდიდრები ტატორით უკმაყოფილონი არიან, რადგან მისმა სასამართლო დავამ საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად განაწყო "თავგასული ნუვორიშებისადმი". ამან კი მზიური ველის ზამთრის ბუდესაც ავნო.

აქ კი მხსნელად ჰოლივუდელი გმირი - ბრიუს უილისი მოევლინათ. ის აიდაჰოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელია. მან განაცხადა, რომ მზად არის უფასოდ დათმოს 1100 აკრი მიწა, რომ აშენდეს ისეთი აეროპორტი, რომლისთვისაც "ბოინგ-737"-ის მიღება პრობლემა არ იქნება. უილისს მადლობა უთხრეს ასეთი გულუხვობისთვის, მაგრამ აეროპორტის მშენებლობა ჯერჯერობით შეჩერებულია. მთავრობა ფრთხილობს, რადგანაც ბრიუსის საჩუქარი შეიძლება დანაელებისას დაემსგავსოს და ახალი აეროპორტი საკურორტო ტროას ცხენად მოევლინოთ, რომლის საშუალებითაც მათ ძალზე ბევრი ოლიგარქი მოეძალებათ. არადა, ყველაფერი, ოლიგარქებიც კი, თანაც არა მარტო ადგილობრივი, ზომიერად უკეთესია.

გახსოვთ ჰემინგუეის რომანი "ქონა - არქონა"? თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვინმე შეეცდება მიაგნოს ხელშესახებ ზღვარს მქონეთა და არმქონეთა შორის, ვერაფერს იპოვის იმ ქუჩაზე უფრო სიმბოლურს, რომელზეც "ედელვაისი" დგას. ქუჩის ერთ მხარეს მანქანის გასაჩერებელი ადგილი 250 ათასი დოლარი ღირს, მეორე მხარეს კი, უორმ-სპრინგსის კაბინებთან, სადაც მიკი გარსიას ავტობუსი ჩერდება, სულ ერთი დოლარი!

თუმცა, მეორე მხრივ, მდიდართა მხარე ღარიბებისას ეხმარება. ოლიგარქებისგან ამოღებული მაღალი გადასახადები საზოგადოებრივი საცხოვრებლების მშენებლობის საშუალებას იძლევა. ყვავის ქველმოქმედება, ნატურის სახითაც კი. ასე, ერთმა ოლიგარქმა ცოტა ხნის წინ თავისი "ჰამერი", რომელიც, უბრალოდ, "მოწყინდა", ადგილობრივ შერიფს აჩუქა. მიუხედავად ამისა, ოლიგარქების მომსახურე პერსონალი უკმაყოფილოა. მზარეულები, ოფიციანტები, ლიფტიორები და სხვები უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის გამო იძულებული ხდებიან მზიური ველიდან კეტჩუმის ჩრდილიან მხარეს გადასახლდნენ. უნებურად 30-იანი წლების შანსონ-ჰიტი მახსენდება, რომელშიც ასეთი სტრიქონებია":

"მე რომ როკფელერივით მდიდარი ვიყო
ქუჩის მზიან მხარეს ვიცხოვრებდი...."

"ჩრდილში მყოფთ" არ უყვართ "მზეზე მცხოვრებნი", მათი მანქანის სადგომები, მათი "ჰამერები" და "ბოინგები", მაგრამ მათ ხარჯზე ცხოვრობენ. ბუნებაშიც ასეა - მზის გარეშე ჩრდილიც ვერ იქნება.

- ყველაფერი ეს არანორმალურია, მაგრამ ასეთია აქ ცხოვრება, - ფილოსოფიურად აღნიშნავს სოსისის გამყიდველი, "ჩრდილში მყოფი" ჯილ რუბინი.

თუმცა, მზიური ველი კლასობრივი ბრძოლის სარბიელი სულაც არ გახლავთ. აქ ძირითადად შიდაკლასობრივი ბრძოლები მიმდინარეობს. "ჩრდილში მყოფნი" "ჩაევიებისთვის" ჩხუბობენ, "მზეზე მცხოვრებნი" - მანქანის დასაყენებელი ადგილისთვის, რომლებიც "ედელვაისის" წინ სულ 45-ია. სასტუმროს მენეჯერის, მისტერ ჟილბერტის თქმით, ოტელის სტუმრები წონასწორობიდან გამოდიან, თუ სასტუმროსთან მისულთ თავიანთი "ჰამერების" გასაჩერებელი ადგილი არ დახვდათ. "მათ შეიძლება გაუგო, - ამბობს მისტერ ჟილბერტი, - ამ ხალხს მილიარდები აქვთ, თითქმის ნახევარი მსოფლიო მათ ხელშია, აი, მანქანის დასაყენებელი ადგილი კი საკუთარი იდაყვივითაა - ხედავ, მაგრამ ვერ უკბენ".

"ედელვაისის" კონდომინიუმის ასოციაციის შეკრებაზე, რომელიც შარშან 27 დეკემბერს ჩატარდა, მისტერ ჟილბერტმა "ნაკლებად მსხვილ" ოლიგარქებს სთხოვა, ოტელის წინ "დათრეული" მანქანის სადგომები თავიანთი "მსხვილი" კოლეგებისთვის დაეთმოთ, თავად კი მანქანები მიწისქვეშა ფარეხში დაეყენებინათ. ერთ-ერთი "ნაკლებად მსხვილი" იხსენებს: "ეს ნამდვილი კომედია იყო, ჩვენ სიცილით ვიხოცებოდით!", მეორე კი ამატებს: "ვინც პირველი მოვიდა, ჯერ იმას უნდა მოემსახურო. მე რომ ფარეხში მინდოდეს მანქანის გაჩერება, ასეც მოვიქცეოდი. მაგრამ იმიტომ, რომ სხვას დავუთმო ადგილი? არავითარ შემთხვევაში". ნიშანდობლივია, რომ არც ერთმა "ბუნტოვშჩიკმა" "ნაკლებად მსხვილმა" არ ისურვა ჟურნალისტებისთვის თავისი ვინაობის გამხელა - "მეზობლების - მსხვილი ოლიგარქების გაბრაზებას მოერიდნენ".

არის კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც სხვადასხვა წონითი კატეგორიის ოლიგარქებს "საკუთარი ნაგვის შინიდან", უფრო სწორად, "ედელვაისიდან" გატანა არ სურთ. მათ არ სურთ მზიური ველის ზედმეტად ყურადღების ცენტრში მოქცევა. ჯერ ერთი სხვა ოლიგარქები და პოპ და კინოვარსკვლავები რომ არ მიიზიდონ, მეორე - სეირის მოყვარულები რომ არ დააინტერესონ და, რაც მთავარია, პროტესტანტ-ანტიგლობალისტებს ერიდებიან.

"ჩვენ არ გვინდა მზიური ველი მეორე ესპენად რომ იქცეს", - ამბობს იქაურობის ერთ-ერთი ხშირი სტუმარი ოლიგარქი. (ესპენი კოლორადოს შტატში, დენვერის მახლობლად მდებარე ფეშენებელური ზამთრის კურორტია. აქ ძალიან უყვართ აჟიოტაჟის მოწყობა ანტიგლობალისტებს, შეკრებების კი - დიდი ბიზნესისა და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს).

"თუ ოდესმე ამერიკაში ოქტომბრის რევოლუცია მოხდება, ის ნიუ იორკში, უოლ-სთრითის შტურმით კი არ დაიწყება, არამედ მზიურ ველზე "ედელვაისის" აღებით. ეს ზამთრის კურორტი ჩვენ ზამთრის სასახლედ შეიძლება იქცეს", - მითხრა ხუმრობანარევი სერიოზულობით ერთმა ჩემმა კოლეგამ.





რობი ვილიამსი და ბეტ მიდლერი "მზიური ველის" კლიენტები არიან




## კინოგმირი გაგარინი



ალან პარკერი იური გაგარინზე ბიოგრაფიული ფილმის გადაღებას აპირებს. როგორც გაზეთი Daily Mail იტყობინება, რეჟისორს კარგა ხანია სურდა ამ იდეის განხორციელება, მაგრამ გარკვეულმა ოჯახურმა პრობლემებმა ხელი შეუშალა. ახლა კი ალან პარკერი ყოველმხრივ მზადაა დაიწყოს ფილმზე მუშაობა.

შეგახსენებთ, ალან პარკერის მიერ გადაღებული ბიოგრაფიული სურათებიდან, ყველაზე ცნობილია "ევიტა", სადაც მთავარ როლს მადონა ასრულებს.

ამავე გაზეთის ცნობით, იდეას პირველ კოსმონავტზე კინოსურათის შექმნასთან დაკავშირებით, ამერიკული კინოსტუდია "უორნერ ბროზერსიც" განიხილავს.

**იყიდება**

**ურეკში კაფე-ბარი სასტუმრო „მთის ბროლის“ პირდაპირ, 350 კვ.მ, მუშა მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.**

**ტელ: 899 16 28 67 , ამირანი**




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.